ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 2, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2017

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემები და პერსპექტივები

დავითი პიტიურიშვილი - კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის გზები მსოფლიოში და საქართველოში-----6
ნინო არეშვილი - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა ---------- 18

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

ლელა კოჭლამაზაშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი - ელიტარული და მასობრივი მოხმარების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი ---------- 27
ზურა გამთენაძე - სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა ---------- 34
გიორგი ჭინჭარაული, მაია კაპანაძე - ინფლაცია – არაკომპეტენტურობის შედეგი ---------- 44
მეგი ანანიძე - უცხოური ინვესტიციების როლი ერონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ---------- 56
შორენა მჟავანაძე, რევაზ შენგელია - სახელმწიფოს როლი საინოვაციო- საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაში --------- 65

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მარიამ ხაჩიძე - საქართველოს საბანკო სისტემის გაჯანსაღების გზები---------- 77
ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, თამარი ქამხაძე - საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ფორმირების თავისებურებანი ---------- 87

დარგობრივი ეკონომიკა

მარინა მეტრეველი, გიორგი ჯაბნიძე - საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები და მექანიზმები------ 96
ქეთევან კიწმარიშვილი - წარმოების ტექნოლოგიური მომზადება ---------- 107

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ინგა გიგაური, ნიკა ზურიკაშვილი - მცირე და
საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები
და განვითარების პერსპექტივები ---------- 112
ნათია გურაშვილი - ცხოვრებისადმი ადამიანთა
მიდგომები და ადამიანთა ყოფითი სივრცეები ---------- 121
ქეთევან კიწმარიშვილი - ვენჩურული პროექტების სახეები ------ 128
თეიმურაზ ყანდაშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი -
სარეკლამო დიზაინის ფუნქციები და იდეოლოგია ---------- 133

მსოფლიო ეკონომიკა

ასიე ცინცაძე, ბექა ფუტკარაძე - ფინანსური გლობალიზაცია და
სავალუტო კრიზისი: ურთიერთკავშირი და შედეგების ანალიზი -- 141
ამზა ჩარგაზია, ნესტან ჯაჭვლიანი - ლათინური ამერიკის რეგიო-
ნის ენერგოპოლიტიკა: ალტერნატიული ენერგიის მოპოვებისა და
გამოყენების პერსპექტივები ---------- 151

ეკონომისტი აუდიტორიაში

**ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია,
რევაზ შენგელია** - მოგების გადასახადის დაბეგვრის
ესტონური მოდელი-ქვეყნის საინვესტიციო გარემოს
გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი ---------- 162

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 171

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Davit Pitiurishvili - The Ways to Improve the Investment Policy of the Commercial Banks in the World and in Georgia ---------- 6
Nino Aroshvili - The Need for State Regulation of Economy ---------- 18

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Lela Kochlamazashvili, Ekatherine Kochlamazashvili - Some Methodological Issues of Elite and Mass Consumption ---------- 27
Zura Gamtenadze - Economic Definition of the Social Capital ---------- 34
Giorgi Chincharauli, Maia Kapanadze – Inflation - As a Result of Incompetence ---------- 44
Megi Ananidze - The Role of Foreign Investments in Increasing the Competitiveness of the National Economy ---------- 56
Shorena Mzhavanadze, Revaz Shengelia - The State's Role in Intensifying the Innovative-Investment Activity ---------- 65

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Mariam Khachidze - The Ways to Improve the Banking System of Georgia ---------- 77
Vaja Zeikidze, Giorgi Maisuradze, Tamar Qamkhadze - The Formation Peculiarities of the Loan Portfolio of the Banking Sector in Georgia ---------- 87

SECTORAL ECONOMY

Marina Metreveli, **Giorgi Jabnidze -** The Mechanisms and Activities of the Tourism Policy in Georgia ---------- 96
Ketevan Kitsmarishvili - Technical Preproduction ---------- 107

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Inga Gigauri, **Nika Zurikashvili -** The modern problems
and prospects of the development of small and medium businesses------- 112
Natia Gurashvili – Humans approaches to life
and their everyday living spaces ---------- 121
Ketevan Kitsmarishvili - The Types of Venture Projects ---------- 128
Teimuraz Kandashvili, Ekatherine Kochlamazashvili -
Advertising Design Features and Ideology---------- 133

WORLD ECONOMY

AsieTsintsadze, Beka Phutkaradze - Financial Globalization
and Currency Crisis: Interconnection and Analysis of the Results--------- 141
Amza Chargazia, Nestan Jachvliani - The Energy Policy
of Latin America: the Perspectives of Generating
and Exploiting of the Alternative Energy Sources---------- 151

THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM

Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, Revaz Shengelia -
The Estonian Model for Corporate Taxation - as one of the
Factors for Improving the Investment Environment of a Country --------- 162

PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 171

კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის გზები მსოფლიოში და საქართველოში

დავით პიტიურიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში, ეკონომიკისა და საბანკო ინსტიტუტებისათვის, საბანკო და არსაბანკო სექტორს შორის ურთიერთკავშირს მოაქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

მსგავსი კავშირები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სახის შეზღუდვებს და რეგულირებებს ექვემდებარება და მათი ფორმები, როგორც წესი გამოიხატება ორი სახის ურთიერთობით:1. დაკრედიტების ფარგლებში;2.ურთიერთმფლობელობითი.

დღეისათვის, ბევრი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო ასეთი კავშრების მიზანშეწონილობის ანალიზმა და მათ მიერ შემუშავდა განსხვავებული თეორიული და ემპირიული არგუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერს ასეთი კავშრების ფორმებს, ზოგიერთი კი ეწინააღმდეგება.

ბოლო წლებში, საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდა. აღსანიშნავია, რომ დღეს, საქართველოში, არსებული ზედამხედველობისა და რეგულირების დონე შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და ადგილობრივ დონეზეა მორგებული. ეს ფაქტი, თავის მხრივ ხელს უწყობს, შენარჩუნებული იყოს კომერციული ბანკების ინვესტიციების მონიტორინგის დონე, რათა მომავალში ინვესტიციბის სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდეს, აღნიშნული სურათის ცვლილებაც.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, ინსტიტუტი, ეკონომიკა, ინვესტიცია, სადაზღვეო საქმიანობა, საფინანსო საქმიანობა, ფასიანი ქაღალდები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, ეკონომიკისა და საბანკო ინსტიტუტებისათვის, საბანკო და არსაბანკო სექტორს შორის ურთიერთკავშირს მოაქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

მსგავსი კავშირები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სახის შეზღუდვებს და რეგულირებებს ექვემდებარება და მათი ფორმები, როგორც წესი, გამოიხატება ორი სახის ურთიერთობით:დაკრედიტების ფარგლებში;ურთიერთმფლობელობითი.

დღეისათვის, ბევრი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო ასეთი კავშრების მიზანშეწონილობის ანალიზმა და მათ მიერ შემუშავდა განსხვავებული თეორიული და ემპირიული არგუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერს ასეთი კავშრების ფორმებს, ზოგიერთი კი ეწინააღმდეგება.

ბოლო წლებში, საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ზრდა. აღსანიშნავია, რომ დღეს, საქართველოში, არსებული ზედამხედველობისა და რეგულირების დონე შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და ადგილობრივ დონეზეა მორგებული. ეს ფაქტი, თავის მხრივ ,ხელს უწყობს, შენარჩუნებული იყოს კომერციული ბანკების ინვესტიციების მონიტორინგის დონე, რათა მომავალში ინვესტიციების სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდეს, აღნიშნული სურათის ცვლილებაც.

ძირითადი ტექსტი

კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვა.თანამედროვე პერიოდში, საბანკო და არასაბანკო სფეროების დაკავშირების მომხრეთა მტკიცებით, ამ ორ სექტორს

შორის ურთოერთობაში არსეობობს ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემა. ამ უკანასკნელის შემცირების ხარჯზე, ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობები, ფლობდნენ კლიენტის საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას,რაც თავისთავად უზრუნველყოფს მათ მიერ გადახდისუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას და მაღალი რისკის მქონე საქმიანობის სფეროებში დაკრედიტებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამარტივებას.

ბოლო პერიოდში, საზოგადოების დაინტერესება აღნიშნული საკითხის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა. ინვეტიციები, კომერციული ბანკების მხრიდან, უფრო მეტად იძულებით ხასიათს ატარებენ, რადგან ბანკებს სხვადახვა სექტორში საქმიანობის დაწყებისკენ უბიძგებს დასაკუთრებული უძრავი ქონებების მატება. როდესაც ისინი ხდებიან ინვესტორები კლიენტ კოპმანიებში, იზრდება სქმიანობის არაეფექტურობა, რადგან ამ დროს რთულდება წარუმატებელ პროექტებზე ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღება.

ბანკები წლების მანძილზე ახორციელებდნენ არასაბნკო საქმიანობაში ჩართვის მონიტორინგს. აღასანიშნავია, რომ მათ გარკვეულ ნაწილზე წესდება აკრძალვები და ლიმიტები. კომერციული ბანკებისათვის, ქვეყნების უმრავლესობაში შეუზღუდავია ფასიანი ქაღალდების ფლობა და გარკვეულწილად შეზღუდულია სადაზღვევო საქმიანობის წარმოება. ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში უძრავი ქონების სექტორში ბიზნეს-აქტიურობა აკრძალულია, ან შეზღუდულია ისე როგორც სხვა არასაფინანსო სექტორთან დაკაშირებულ საქმიანობაში მოღვაწეობა.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარდა „ბანკის რეგულირების და ზედამხედველობის კვლევა“, 135 ქვეყანაში, სადაც ერთ-ერთი საკითხი დაეთმო კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობას. ძირითადი დაინტერესება გამოიხატა შემდეგ ოთხ საკითხზე:

- ფასიანი ქაღალდების ფლობის საკითხი;

- სადაზღვეო საქმიანობის განხორციელება;
- უძრავ ქონებაში საქმიანობის წარმოება;
- არასაფინანსო საქმიანობის წარმოება.

კვლევის დროს შეისწავლა, თუ რომელ ქვეყანაში ხდება ზემოხსენებული ოთხი საკითხის:

- ***შეუზღუდავად*** განხორციელება;
- ***ნებადართულ*** საქმიანობად აღიარება;
- საქმიანობის დიდი ნაწილის ***შეზღუდვა***;
- საქმიანობის სრულად ***აკრძალვა***.

კვლევამ აჩვენა შემდეგი სურათი:

ფასიანი ქაღალდების ფლობის საკითხი:



სადაზღვეო საქმიანობის განხორციელება:



უძრავ ქონებაში საქმიანობის წარმოება:



არასაფინანსო საქმიანობის წარმოება:



მოცემული ინფორმაციების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ქვეყნების უმეტესობაში კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ფასიანი ქაღადების შეუზღუდავად ფლობა, სადაზღვეო საქმიანობის წარმოება უმეტეს ქვეყანაში ნებადართულია, ხოლო ყველაზე მეტად აკრძალლია უძრავ ქონებაში საქმის წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების მიერ საინვესტიციო საქმიანობის გამხორციელება დაკავშირებულია სხვადასხვა რისკთან, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს

ინვესტირებული თანხის ნაწილობრივი, ან სრული დაკარგვა. გარდა ამისა, რისკი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მოსალოდნელზე ნაკლები შედეგის მიღებასთან, ან მისაღები შემოსავლის დაგვიანებასთან. სწორედ ამ ფაქტორების გამო, კომერციული ბანკები ახდენენ შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირებას. ამავე მიზანს ემსახურება ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ საინვესტიციო პოლიტიკის დამტკიცება, რომელშიც, როგორც წესი, განისაზღვრება: საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მიზნები, საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის წესი.

კომერციული ბანკების ინვესტიციების ხასიათისა და მათზე არსებული რეგულირებისა და შეზღუდვების განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: აღნიშნული დღეისათვის, არც საბანკო სექტორისათვის და არც ეკონომიკისათვის გადაჭარბებული რისკების მატარებელ საქმიანობას არ წარმოადგენს, რაც კარგად აჩვენა მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ.

საქართველოში არსებული კომერიციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკისთვის დამახაიათებელი თავისებურებები. ქართულ რეალობაში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში საბანკო და არასაბანკო სექტორს შორის არსებულ ურთიერთკავშირს მოაქვს, როგორც წარმატება, ისე წარუმატებლობა. ამიტომ, შეუძლებელია, ცალსახად მივიღოთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, ინვესტიციები წახალისებული უნდა იყოს, თუ არა არასაბანკო სექტორში. თუმცა, ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში, კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ხასიათდება მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით, სადაც ინვესტიციების დიდი რაოდენობა განხორციელებულია საფინანო (საინვესტიციო, საბროკერო, სალიზინგო და სხვ.) და სადაზღვეო სექტორში, ხოლო დარჩენილი ნაწილი მოდის არასაფინანსო და უძრავი ქონების სექტორში განხრციელებულ ინვესტიციებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბა-

ნკების აქტიურობაზე დაწესებული შეზღუდვები დიდწილად შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკასთან. როგორც წესი, საბანკო ინსტიტუტებისთვის ფასიანი ქაღალდების ფლობა შეზღუდულია და ნებადართულია სადაზღვეო პროდუქტების შეთავაზება. კომერციულ ბანკებს, არ აქვთ უფლება არასაბანკო საქმიანობის განხორციელების და მათი მხრიდან ინვესტიციები ექვემდებარება საქართელოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი არ კრძალავს ინვესტიციების განხორციელებას კომერციული ბანკების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ითალისწინებს რიგ შეზღუდვებს, როგორიცა ნებართვები და ლიმიტები ბანკის კაპიტალთან მიმართებაში, რათა დარეგულირდეს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი.

კომერციული ბანკების ინვესტიციები, საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების მიერ აქტიური კონტროლის საგანს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მსგავსი სახის ინვესტიციების ხარისხს აფასებს სესხების ანალოგიურად. აღსანიშნავია, ისიც, რომ ხორციელდება მთლიანი ჯგუფის რისკების შეფასებაც, რაც გულისხმობს ანალიზს იმის შესახებ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ინვესტიციებს ჯგუფის სტრუქტურაზე.

საქართველოში კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ მე-10 მუხლი არეგულირებს, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშიებულ შეზღუდვებს. აღნიშნული კანონის შესაბამისად, საქართველოში კომერციული ბანკი უფლებამოსილია:

- „ეროვნული ბანკის სპეციალური ნებართვის გარეშე ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის მხოლოდ 20-% მდე. ამასთან, ეს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა იყოს თვითონ ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15-% ზე მეტი;
- შეზღუდული ოდენობით ფლობდეს წილს იმ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ამ შემთხვევაშიც ეს წილობრივი მონაწილეობა არ

უნდა იყოს თვითონ ამ ბანკის სააქციო კაპიტალის 15-% ზე მეტი;

• შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო - საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში და ფლობს წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება სააქციო კაპიტალის 15%-ს.“

საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებს აძლევს წერილობით ნებართვას, რომ შეიძინონ და/ან შექმნან შვილობილი საწარმოები, რომლებიც სხვა სახის საქმიანობას ეწევიან და მიიღონ წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად.

მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით ეძლევათ კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა კონრეტული ლიმიტის ზემოთ გარკვეული იურიდიული პირების წილის ფლობა.

დღეს საქართველოში არაპროფილურ აქტივებს, მომქმედი კომერციული ბანკებიდან, ძირითადად ორი მათგანი ფლობს: საქართველოს ბანკი (შპს „თელიანი ველი“, შპს „ჩემი კლინიკა“, შპს „ინტერტური“,კალათბურთის კლუბი „დინამო“ და სხვ.) და თიბისი ბანკი (სს „თიბისი ლიზინგი“, „თიბისი ბროკერი“, „უძრავი ქონების მართვის ფონდი“ და სხვ.

დასკვნები და რეკომენდაციები

• კომერციული ბანკების ინვესტიციების ხასიათისა და მათზე არსებული რეგულირებისა და შეზღუდვების განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: აღნიშნული დღეისათვის არც საბანკო სექტორისათვის და არც ეკონომიკისათვის გადაჭარბებული რისკების მატარებელ საქმიანობას არ წარმოადგენს. აუცილებელია, შენარჩუნდეს მათზე არსებული ზედამხედველობის პოლიტიკა. ინვესტიციების ფორმებისა და მოცულობების ცვლილება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხო-

რციელდეს, თუ ასეთი პოლიტიკა გადაიხედება.

• მნიშვნელოვანია, რომ კოერციულ ბანკებმა კანონში, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მოითხოვონ სხვადასხვა ცვლილებების განხორიციელება, რათა გაუადვილდეთ საკანონმდებლო ბაზაზე ამ ოპერაციების განხორიცელება.

• კომერციულმა ბანკებმა საჭიროა, იზრუნონ მიმზიდველი გარემოს შექმნაზე, რომ მოხდეს ფასიანი ქაღალდების მოთხოვნაზე გაზრდა.

• კომერციულმა ბანკებმა საკუთარი ფასიანი ქაღალდები უნდა დაუშვან სავაჭრო ბირჟაზე, რაც თავისთავად განაპირობებს ინვესტორების მხრიდან ობიექტურ ფასწარმოქმნას და მეტი ნდობის გაჩენას.

• კომერიცულმა ბანკებმა უნდა იზრუნონ, არასაბანკო სექტორის ემიტეტნტებთან მოიპოვონ ნდობა, რადგან მათ დისკომფორტს უქმნის ბანკების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ინვესტიციების მოზიდვა და სწორედ ბანკების არამართლზომიერი დომინირებისგან თავის დაღწევის გზად მიაჩნიათ.

• სადაზღვეო საქმიანობაში ინვესტირება, როგორც ჩანს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში კომერციული ბანკებისთვის მეტად შემოსავლიანი და სასურველი საქმეა, რასაც ადასტურებს მსოფლიო ბანკის მიერ დადებული კვლევები, ამიტომ ქართულ კომერციულ ბანკებმა მეტი ინვესტიციები უნდა გამოჰყონ ამ სფეროში.

• ყველაზე ნაკლებად სასურველი სფერო მაინც უძრავი ქონების წარმოებაში ინვესტიციების ჩადებაა, ვინაიდან მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში აღნიშნული საქმიანობა ან შეზღუდულია, ან აკრძალულია. ცხადია ამას თავისი უარყოფითი შედეგების საფუძველზე ვასკვნით, შესაბამისად ამ პრაქტიკას თუ გაიზიარებენ საქართველოს კომერციული ბანკები კარგი იქნება. სასურველია, რომ შედარებით ნაკლები ინვესტიციები მიმართონ აღნინულ სფეროში.

• არასაფინანსო საქმიანობაში ინვესტიციების ჩადება კომე-

რციული ბანკების მიერ, როგორც ჩანს ან ძალიან რისკიანი, ან არამომგებიანია, ვინაიდან მას მსოფლიოს უმეტესი ქვეყანა ან ზღუდავს, ან კრძალავს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ პრაქტიკის გაზიარება და შესწავლა მოხდება საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მხრიდან.

ლიტერატურა

1. დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი

2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014.

3. გოგოლაძე ს., მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის

4. http://go.worldbank.org/WFIEF81AP0

5. https://www.mogo.ge/ka/leasing/

6. http://sab.ge/

7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

8. http://bankofgeorgia.ge/

9. http://tbcbank.ge/

10. http://www.procreditbank.ge/

11. https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/sharumashvili_agladze.pdf=

REFERENCES:

1. Ordes N71 of the President of National Bank of Georgia on Regulations about risk management in commercial banks; March 17, 2008

2. Kovzanadze I, Kontridze G, „ Modern banking: theory and practicle“, 2014, Tbilisi

3. Gogoladze S., Creating of banking models in the period of excerssive comoetition and financial crisis, Georgian Technical University, 2013

4. http://go.worldbank.org/WFIEF81AP0
5. https://www.mogo.ge/ka/leasing/
6. http://sab.ge/
7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
8. http://bankofgeorgia.ge/
9. http://tbcbank.ge/
10. http://www.procreditbank.ge/
11.https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2013/n_1/sharumashvili_agladze.pdf

THE WAYS TO IMPROVE THE INVESTMENT POLICY OF THE COMMERCIAL BANKS IN THE WORLD AND IN GEORGIA

Davit Pitiurishvili
PhD student, GTU

RESUME

In the modern world the mutual connection between the banking and non-banking sectors leads to the certain positive as well as the negative outcomes for the economy and banking institutions.

The similar connections in different states are subjected to the variety of limitations and regulations and their forms are expressed in two types of relationships:

1. Scope of crediting; 2. Mutual possession;

Nowadays, a number of researchers' attention is attracted to analyzing the reasonability of such relations and they have adopted the different theoretical and empirical argumentation. It shall be noted that some of them support the forms of the mentioned relationships, while others go against it.

In recent years the increase of investments allocated by the

commercial banks in the real sector of the economy became more actual. It is to be noted that sthe upervisory and regulatory levels currently existing in Georgia are in compliance with the international practice and adjusted to the local level. This fact, for its part, contributes to the maintenance of the level of monitoring the investments allocated by the banks in order to make amendments to current picture possible, if the structure of the investments is changed in the future.

Keywords:: bank, institute, economy, investment, insurance activities, financial activities, securities.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა

ნინო არაშვილი
ეკონომიკის მაგისტრი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია, ქვეყნის მხრიდან პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება ბიზნესზე. პროტექციონისტული პოლიტიკა და მისი გამოყენების აუცილებლობა.

ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობას.

კონკურენციის პოლიტიკის გატარება აუცილებელი პირობაა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, რადგან კონკურენცია წარმოადგენს დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე დიდ როლი ენიჭება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომლის მთავარი დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა და სტიმულირება.

საკვანძო სიტყვები:რეგულირება, ღია ეკონომიკა, საბაზრო ეკონომიკა, ანტიმონოპოლიური რეგულირება, პროტექციონიზმი.

შესავალი

ღია ეკონომიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახელმწიფოებმა. მათ საკუთრ თავზე აიღეს საექსპორტო წარმოების სტიმულირების ფუნქცია. ხელი შეუწყვეს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, ეროვნული ბიზნეს-სუბიექტების უცხოურ ფირმებთან კოოპერაციას, საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

ეკონომიკის ღიაობა არ ხსნის სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. ქვეყნის ეკონომიკა უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიანობის,

კონკურენტუნარიანობის და ეროვნული უსაფრთხოების პრინციპების დაცვას. ამისათვის საჭიროა საელმწიფომ შეიმუშაოს ექსპორტ-იმპორტისა და კაპიტალის მიგრაციის სტრატეგია, ეგრეთვე საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო, საკრედიტო, ინვესტიციური პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ეკონომიკაში მათ მაქსიმალურ ჩართვას.

ძირითადი ტექსტი

სხვადასხვა ქვეყანაში დროის განსხვავებულ პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და მასშტაბები განსხვავებულია. გასული საუკუნის დასაწყისამდე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებდა თავისუფალი კონკურენციის პრინციპი, რაც განაპირობებდა ეკონომიკაში საელმწიფოს ჩაურევლობას. თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე წარმოქმნა მსხვილი კორპორაციები, რომლებიც აკონტროლებდნენ მთელი დარგის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, თავს ახვევდნენ ბაზარს მონოპოლიურ ფასებს. ამით ისინი ხელს უშლიდნენ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და საბაზრო მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებას. წარმოიქმნა სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურესობანი, რაც მოითხოვდა უთანასწორობის რაღაც თანაფარდობაში მოყვანას. ყოველივე ზემოთ თქმულმა განაპირობა, თითოეული ადამიანის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. გადასაწყვეტი იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმები და ფარგლები. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის რეგულირების მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენება, რომლებიც ახორციელებენ არა მხოლოდ ბიზნესის მოქმედების რეგლამენტირებას, არამედ მისი მხარდამჭერი აქტიური პოლიტიკის გატარებასაც. ბიზნესის მხარდაჭერის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას მრავალი ქვეყანა არასაკმარისად მიიჩნევს, და სახელმწიფოსგან მოითხოვს უფრო ფართო მხარდაჭერას.[1] უმეტესად აპროტესტებენ მკაცრ საგადასახადო

1 Мировая экономика и Международный бизнес. Учевник.2-е изд. Перепаб. И доп./кол. авт. Под общ. Ред. Д-ра Экон. наук, проф. В.В. Полякова и д-ра экон. наук, проф. Р. К. Щенина. - М. ЖКнОРУС, 2005.

სისტემას და მაღალ საშემოსავლო გადასახადებს. ზოგიერთ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის მოძველებული კანონმდებლობა, პოლიტიკური სიტუაცია და არასტანდარტული ეკონომიკური მდგომარეობა.[1]

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ძირითად პარამეტრებად ინფორმაციული ტექნოლოგიები გვევლინება, რომლთა ბაზაზე ყალიბდება გლობალური ბიზნესი, რაც განაპირობებს გლობალური მონოპოლიების გაბატონებას, თავისუფალ კონკურენციის შეზღუდვას და მათ საქმიანობაზე სახელმწიფოს ზეგავლენის შესუსტებას. საჭიროა სახელმწიფომ კორექტირება შეიტანოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში, რათა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით უზრუნველყოს მყარი ეკონომიკური ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ამაღლება. ჩვენს ქვეყანში სახელმწიფოს როლი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში დაბალ დონეზეა, რიგი ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული, რაც ვერ უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპს, საწარმოო ძალთა სათანადო დონეზე განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას და ასე შემდეგ. აქ საჭიროა საბაზრო თვითრეგულირების ქმედითუნარიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩართვას საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში, თუმცა აუცილებელია, საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური ბალანსის მიღწევა. ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების სფეროში.[2]

ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნესგარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობას. კონკურენციის პოლიტიკის გატარება აუცილებელი პირობაა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათ-

1 რ. ჯავახიშვილი. საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები. თბ., 2007.
2 ღურცკაია კ., ღურცკაია თ., საერთაშორისო ბიზნესი. თბ., 2010წ.

ვის, რადგან კონკურენცია წარმოადგენს დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე დიდ რილი ენიჭება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომლის მთავარი დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა და სტიმულირება. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარი დანიშნულებაა, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკური უპირატესობების გამოყენება და, მეორე მხრივ, განახორციელოს კონკურენციის განვითარების მიზნით, ამ ეკონომიკის შესაძლო ნეგატიური შედეგების განეიტრალება. კონკურენციის პოლიტიკისა და რეგულირების სფეროში მიღებული სამართლებრივი ნორმები ემსახურებიან მონოპოლიათა ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რომლის მიღწევის საქმეში, კონკურენციის კანონმდებლობა და რეგულირება ასრულებს მთავრობის ძირითადი ინსტრუმენტის ფუნქციას. თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს ინსტრუმენტები განხორციელდებიან ხასიათისა და ზემოქმედების ზომების მიხედვით. შესაბამისად, კანონმდებლობა კონკურენციის სფეროში და რეგულირება არ წარმოადგენს სინონიმურ მცნებებს. უფრო მეტიც, შეიძლება გამოიყოს კონკურენციის კანონმდებლობის და რეგულირების პრობლემის შესაძლო შეთანხმებულობის შემდეგი ოთხი ვარიანტი. —

- ✓ რეგულირება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონკურენციის პოლიტიკას;
- ✓ რეგულირებას შეუძლია შეცვალოს კონკურენციის პოლიტიკა;
- ✓ რეგულირებას შეუძლია მოახდინოს კონკურენციის პოლიტიკის კოპირება;
- ✓ რეგულირების სისტემას შეუძლია გამოიყენოს კონკურენციის საკითხებით დაკავებული ორგანოს მეთოდები.[1]

---

1 Типовой закон о конкуренции – Серия документов ЮНКТАД по проблематике законодательства и политики в области конкуренции. Организация объединенных наций. Женева, 2003.

ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობიდან ღია ეკონომიკაზე ქვეყნების თანდათანობით გადასვლა, რომლის მიზანია მათი მსოფლიო ინტეგრაციული პროცესში ჩართვა გასული საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა. ტრანსეროვნული კომპანიების ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა ამ პროცესის დაჩქარებას უწყობდა ხელს. ტრანსეროვნული კომპანიები, მიისწრაფვიან რა ახალი ბაზრების შექმნისა და საბაჟო ბარიერებისაგან თავის არიდებისაკენ, სხვადასხვა ქვეყნებში ქმნიან მრავალრიცხოვან ფილიალებს, შვილობილ კომპანიებს, რაც საბოლოოდ იწვევს საერთაშორისო ბიზნესის ინტეგრაციისა და ქვეყანათაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

ღია ეკონომიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახელმწიფოებმა. მათ საკუთრ თავზე აიღეს საექსპორტო წარმოების სტიმულირების ფუნქცია. ხელი შეუწყვეს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, ეროვნული ბიზნეს-სუბიექტების უცხოურ ფირმებთან კოოპერაციას, საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეკონომიკური საზღვრების ლიბერალიზაცია თანდათანობით გაღრმავდა ზოგიერთ განვითრებად ქვყანაში, მათ შორის ჩინეთში და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ეკონომიკაში საგარეო ფაქტორების გამოყენებას, უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების დანერგვას. ეკონომიკური კავშირების გამარტივებამ შექმნა დამატებითი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების საერთაშორისო საწარმოო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. ამასთანავე ეკონომიკის ღიაობა არ ხსნის სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. ქვეყნის ეკონომიკა უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობის და ეროვნული უსაფრთხოების პრინციპების დაცვას. ამისათვის საჭიროა საელმწიფომ შეიმუშაოს ექსპორტ-იმპორტისა და კაპიტალის მიგრაციის სტრატეგია, ეგრეთვე საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო, საკრედიტო, ინვესტიციური პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორ-

ისო ეკონომიკაში მათ მაქსიმალურ ჩართვას.

ეკონომიკის გახსნილობას თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები. იგი, აღრმავებს რა ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, რაც ხსნის, ერთი მხრივ, წინააღმდეგობას ქვეყანათა თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტაციასა და, მეორე მხრივ, შიდა ბაზრების დაცვასა და საექსპორტო ექსპანსიის სტიმულირებას შორის. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა ან შენელება შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას, რომლის დროსაც სახელმწიფო ახდენს ზემოქმედებას რესურსების და შემოსავლების განაწილებაზე, ეკონომიკური განვითარების დონისა და ტემპებზე, ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ხასიათის ტიპურ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიზნით. დღევანდელ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო სისტემები და მექანიზმები კარგადაა აპრობირებული და მისაღების მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის, ეკონომიკის სტაბილური განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ამის ნათელი მაგალითია 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ სახელმწიფოთა ერთობლივი ჩარევის გზით იქნა მიღწეული. კრიზისის შემდგომ მსოფლიო თანასაზოგადოებამ და სახელმწიფოთა მეთაურებმა (G-20, G-8) ერთხმად აღიარეს ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.[1]

დღევანდელ პირობებში საუბარი მიდის არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანშეწონილობაზე, არამედ მის მასშტაბებზე, ფორმებზე და ინტენსივობაზე.

1 ი. მესხია. საერთაშორისო ვაჭრობა. თბილსი 2011.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო შემადგენელი ნაწილია, საგარეო ბიზნეს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ქვეყნებთან და ქვეყნის ჯგუფებთან სავაჭრო ურთიერთობათა რეგულირებისა და განვითარებისაკენ. ამ პოლიტიკის მიზანია, ქვეყნისა და მისი ბიზნესის პოზიციების გამტკიცება მსოფლიო ბაზარზე და მთლიანად ეკონომიკური განვითარების პირობების გადაწყვეტა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის დახმარებით.

სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს, როგორც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე ჰარმონიზაციის პოზიტიური ტენდენციების, ასევე ის ნეგატიური მხარეები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასთან და სხვა ფაქტორებთან. ამიტომ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, ანუ, რაც იგივეა, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, თავის თავში მოიცავს ორ ტენდენციას: ლიბერალიზაციას და პროტექციონიზმს. უნდა ითქვას, რომ დილემა, რომელია უკეთესი - პროტექციონიზმის თუ თავისუფალი ვაჭრობა, ჯერჯერობით ეკონომისტების და პოლიტიკოსების თავსატეხ გამოცანად რჩება. ასე იყო წინა საუკუნეში და ასე რჩება დღესაც. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე ჭარბობდა ხან ერთი, ხან მეორე შეხედულება. გასული საუკუნის 30-60-იან წლებში მსოფლიო მეურნეობაში განმტკიცდა ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ტენდენცია, მაგრამ 70-იანი წლებიდან სახელმწიფოებმა დაიწყეს შიდა ბაზრების დახურვა, რისთვისაც იყენებდნენ არ მხოლოდ სატარიფო სისტემას, არამედ არასატარიფო ბარიერებსაც. განსაკუთრებით მაღალი სატარიფო დაცვის დონით გამოირჩეოდნენ ამერიკული და იაპონური ბაზრები.

1980-იანი წლებიდან მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა აქცენტი კვლავ ლიბერალიზაციისაკენ აიღეს. 1990-იან წლებში მზა პროდუქციაზე იმპორტის საშუალო არითმეტიკულმა საბაჟო გადასახადმა ამერიკის შეერთებულ შტატებში 7%-მდე დაიწია, რაც უმნიშვნელოდ აღემატებოდა იაპონიას, ხოლო ჩამორჩებოდა კანადისას და უტოლდებოდა ევროკავშირში დადგენილ სიდიდეს.

ამ ქვეყნებში ნახევარფაბრიკატებზე ბაჟი მერყეობდა 6,1-6,3 პროცენტის ფარგლებში, ამასთან ამერიკული იყო მინიმალური. მაგრამ ბაჟი ნედლეულზე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროკავშირსა და იაპონიაში. აშშ, გამოდის რა საერთაშორისო ბიზნესის ლიბერალიზაციის მხარდასაჭერად, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, მაქსიმალურად ცდილობს ეროვნული ბაზრის უცხოური ბაზრების კონკურენტებისაგან დაცვას.[1]

ლიტერატურა:

1. მესხია ი;. საერთაშორისო ვაჭრობა. თბილსი 2011.

2. ღურცკაია კ; ღურწკაია თ; საერთაშორისო ბიზნესი. თბ., 2010წ.

3. ჯავახიშვილი რ; საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები. თბ., 2007.

4. Мировая экономика и Международный бизнес. Учевник.2-е изд. Перепаб. И доп./кол. авт. Под общ. Ред. Д-ра Экон. наук, проф. В.В. Полякова и д-ра экон. наук, проф. Р. К. Щенина. - М. ЖКнОРУС, 2005.

5. Типовой закон о конкуренции – Серия документов ЮНКТАД по проблематике законодателъства и политики в области конкуренции. Организация объединенных наций. Женева, 2003.

6. S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009

7. www.cigionline.org

8. www.internationallawoffice.com

REFERENCES:

1. Meskhia I; International Trade, Tbilisi, 2011 (in Georgian Language);

2. Ghurckaia K; Ghurckaia T; International Bussines, Tbilisi 2010 (in Georgian Language);

1 S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009

3. Javakhishvili R; Problems of International Bussines, Tilisi 2007 (in Georgian Language);

4. World economy and International business. Book 2-e prod. Repub. And additional. bus. Under a general Edition. Dr. Econ. sciences, prof. V. V. Polyakov and Dr. econ. sciences, prof. R. K. Shchenin. - M. ZHK-NORUSS, 2005.

5. The model faire about the competition – a Series of documents of UNCTAD on a perspective of the legislation and policy in the field of the competition. United Nations Organization. Geneva, 2003.

6. S.J. Evenett, Crisis-era protectionism one year after the Washington G20 meeting, The Great Trade Collapse: Causes, Consequences and Prospects, 2009

7.www.cigionline.org

8.www.internationallawoffice.com

THE NEED FOR STATE REGULATION OF ECONOMY

Nino Aroshvili

Master in Economics, PhD

RESUME

The article discusses the direct and indirect impact on business, the protectionist policies and the need for its use.

The business development of any country depends on the economic and social development that is an important factor. The business environment is of great importance for the normal functioning of free competition in the country.

The competition policy is the necessary condition for the development of civilized market relations, because the competition is one of the important objective basis for the development of democracy. Furthermore, the major role of the anti-monopoly regulation is to protect and stimulate competition.

Keywords: Regulation; The open economy; Market Economy; Regulation; Antimonopoly; Protectionism.

ელიტარული და მასობრივი მოხმარების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

ლელა კოჭლამაზაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია განსხვავებები მასობრივსა და ელიტარულ მოხმარებას შორის. ავტორი თვლის, რომ ცნების „ელიტარული“ შინაარსი ცვლადია დროსა და სივრცეში, ვინაიდან ბევრწილად პირობითია. ამიტომაც მასობრივისა და ელიტარულის შესწავლისათვის რეკომენდებული აქვს სამი მეთოდოლოგიური მიმართულება.

გარდა ამისა, სტატიაში აღინიშნება, რომ საჭირო ხდება მასობრივისა და ელიტარულის დიფერენცირება მოხმარების თვალსაზრისით, რომელშიც გარკვეულ სოციალურ კლასსა და მოხმარების მისეულ პრაქტიკას შორის კავშირი მკაფიოდ გამოიხატება.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი მოხმარება, ელიტარული მოხმარება, სეგმენტირებული მომხმარებელი, მოხმარების დიფერენციაცია.

ძირითადი ტექსტი

მოხმარების დიფერენციაცია პოსტმოდერნის ეპოქაში ერთობ რთულია მასობრივსა და ელიტარულ მოხმარებას შორის განსხვავებების დადგენა. ცნების „ელიტარული“ შინაარსი

ცვლადია დროსა და სივრცეში, ვინაიდან ბევრწილად პირობითია და კონტექსტუალური. ვფიქრობთ, რომ მასობრივისა და ელიტარულის შესწავლისათვის საჭიროა სამი მეთოდოლოგიური მიმართულების განსაკუთრებული გამოყოფა:

• ჯერ ერთი, ელიტარული/მასობრივი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მენტალიტეტით განპირობებული, ანუ მენტალური ფენომენი. მაგალითად, გემოვნება, მსოფლმხედველობა და სხვა;

• მეორე. შესაძლებელია მისი, როგორც სოციალური ნორმების ან ღირებულებების განხილვა (მიუხედავად იმისა, ფიქსირებულია ის ტექსტებში თუ არა);

• მესამე. იგი განიხილება, როგორც გარეგნულად შესამჩნევი ქცევა, რომელიც არის რაიმე წარმოდგენის ანდა გარკვეული სოციალური მაგალითის შედეგი.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ საჭირო ხდება მასობრივისა და ელიტარულის დიფერენცირება მოხმარების თვალსაზრისით, რომელშიც გარკვეულ სოციალურ კლასსა და მოხმარების მისეულ პრაქტიკას შორის კავშირი მკაფიოდ გამოიხატება.

მარკეტინგში, როგორც გასაღების მართვის ტექნოლოგიურ სისტემაში, შეიძლება გამოიყოს ბაზრისადმი ორი მიდგომა. პირველი გულისხმობს ბაზრის, როგორც აგრეგირებული (ერთობლივი) ფენომენის განხილვას. შესაბამისად მასში გამოყენებულია ე.წ. „მასობრივი მარკეტინგის“ და „მასობრივი საქონლისა და მომსახურების“ ცნებები. მასობრივი, კონვეირული წარმოება ქმნის მასობრივ მომხმარებელს, რომელსაც უნივერსალური შეიძლება ვუწოდოთ.

თანამედროვე ლიბერალურ მსოფლიოში ნიველირებულია გემოვნების „სიწმინდეზე“ სოციალური ნორმების წნეხი, რის შედეგიცაა სოციალური სტრუქტურის დიფუზიურობა. გარდა ამისა, გაჩნდა ტერმინი საყოველთაო მოხმარების ცნება, რომელიც თანამედროვე ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

მეორე მიდგომა გულისხმობს სეგმენტირებული ბაზრის განხილვას, რომელზეც მომხმარებლები დაყოფილია სეგმენტებად და ელიტარული მოხმარება წახალისებულია ელიტარული

საგნებისა და მომსახურების წარმოებით. ამ მიდგომის ჩარჩოებში ნებისმიერი საქონელი და მომსახურება მკაფიოდაა გამიჯნული მასობრივად ან ელიტარულად, რეკლამა კი ახერხებს მათთვის დამახასიათებელი სტრატიფიკაციული ნიშნების მინიჭებას. აქედან გამომდინარე, რეკლამა იქცევა სოციალური სემანტიკის სახელმძღვანელოდ, რომელშიც იხსნება საქონლის იერარქიულობა, ანუ მისი შესაბამისობა ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან და სიტუაციასთან. დღეს უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც პოლიტიკაში, არც სოციოლოგიაში არ არსებობს არაფერი, რასაც არ გააჩნია „ალტერ ეგო“ სამომხმარებლო საქონლის სახით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე ელიტარული მოხმარება მოითხოვს მარკეტინგულ მხარდაჭერას (რეკლამასა და პრომოციას). ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მასობრივი წარმოების ეპოქამდელი სოციალური მექანიზმები, რომლებიც არეგულირებდა ელიტარულ მოხმარებას, დღეს უკვე მოძველდა.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ორი ტენდენცია წარმოდგენილია როგორც რეალურ წარმოებაში, ისე სოციალური სტრუქტურის ცვლილების დინამიკაში და ინდივიდის მენტალიტეტშიც. მოხმარების გლობალიზაციასა და ლიბერალიზაციას შორის კონკურენცია, ერთი მხრივ, მისი მასობრიობისადმი, მეორე მხრივ კი - ელიტარულობისადმი სწრაფვა, ბაზარზე რთულსა და მრავალდონიან სამომხმარებლო სიტუაციას ქმნის.

პ. ბურდიე გამოყოფს კაპიტალის რამდენიმე სახეობას: ეკონომიკურს (მატერიალური სიკეთეები), კულტურულს (კულტურული დონე, განათლება), სოციალურს (ოჯახი, მეგობრები, ეკლესია და ა.შ.) და სიმბოლურს, როგორც სოციალური კაპიტალის შემადგენელ ნაწილს (ავტორიტეტი, რენომე, რეპუტაცია და სხვა). ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი მოხმარება (აქტორის მიზნის მიუხედავად) ჯერ ერთი, თვალსაჩინოა, მეორე - ინსტრუმენტი მისი დიფერენცირებისათვის, ვთვლით, რომ ელიტარული მოხმარება შესაძლებელია ოთხივე კაპიტა-

ლის ჩარჩოებში და მის მთავარ ფუნქციას ამა თუ იმ მომხმარებლის გარკვეული კლასისადმი კუთვნილების გამოაშკარავება წარმოადგენს.

ნებისმიერ სოციალურ კლასში ყალიბდება მოხმარების საკუთარი, სპეციფიური რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნორმები, ამასთან, მისი სტრატიფიკაციული დატვირთვა ძირითადი ხდება. თანამედროვე სტრატიფიცირებული მოხმარება - ესაა თვით მოხმარება, და არა წარმომავლობა, საბანკო ანგარიშის სიდიდე, გვარიშვილობა, წარმომავლობა თუ სხვა. ამდენად, ვთვლით, რომ ნებისმიერ სოციალურ კლასს შეესაბამება ელიტარული მოხმარების საკუთარი პროფილი ოთხივე კაპიტალის ჩარჩოებში, ხოლო მომხარების აქტების ერთობლიობა კი ქმნის „ცხოვრების სტილს“, რომელიც ძირეულად განსხვავდება წინა საუკუნეების ელიტარული მოხმარების „დემონსტრაციული“ სახეობისგან. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ საკუთარი აზრი, აღვნიშნავთ, რომ ელიტარულად მიგვაჩნია არა მომხმარების აქტი, არამედ ცხოვრების სტილი.

საზოგადოებაში განუხრელი ბრძოლა მიმდინარეობს ამა თუ იმ კლასის კულტურის ლეგიტიმაციისა თუ სტატუსის ამაღლებისათვის (კულტურული კაპიტალის ღირებულების ზრდა), რის შედეგადაც მატულობს კულტურული მოხმარების მნიშვნელობა. ადამიანები ამა თუ იმ ბრენდს არჩევენ, ვინაიდან თვლიან, რომ ამ საქონლის მოხმარება ქმნის გარკვეულ იმიჯს, ატყობინებს რეფერენტული ჯგუფის წევრებს იმის შესახებ, რომ ეს ადამიანები მას განეკუთნებიან.

ვვარაუდობთ რა, რომ განსხვავებული კაპიტალები ელიტარულობის განსხვავებულ მოცულობას შეიცავენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელიტარული მოხმარება ეკონომიკური სფეროდან თანდათან კულტურული და სოციალური კაპიტალების სფეროებში ინაცვლებს. ყველაზე ელიტარული ნივთიც კი შეიძლება იქნას შეძენილი კრედიტით, ანდა მოგებულ იქნას ლატარეაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური კაპიტალი გაცილებით ლიბერალურია და გახსნილი, რასაც ვერ ვიტყოდით

კულტურულ და სოციალურ მოხმარებაზე - აქ ელიტარული მოხმარების ანკლავები დღემდეა შენარჩუნებული.

სიმბოლური სახსრების დეფიციტის დროს, ანუ საკმარისი რესურსების არარსებობისას (სოციალური სემანტიკის ცოდნის ჩათვლით), მომხარება შესაძლოა განვითარდეს რაოდენობრივი პროგრესიით, ანუ შეძენილის რაოდენობრივი ზრდით. მეორე მხრივ, ეკონომიკური კაპიტალის დეფიციტი წარმოშობს ამ დეფიციტის კომპენსირებას. მოხმარებაში კაპიტალების შეფარდება რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ განეკუთვნება მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული განვითარების დონე.

ამდენად, შეიძლება რამოდენიმე **დასკვნის** გაკეთება:

1. საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და პრომოციაში ორი მარკეტინგული მიდგომა განსაზღვრავს განვითარების ორი სხვადასხვა მიმართულების მქონე ტენდენციას. პირველია მასობრივი ბაზარი და იდენტური მასობრივი საქონელი და მომსახურება; მეორე - სეგმენტირებული ბაზარი და, შესაბამისად, ელიტარული საქონლისა და მომსახურების წარმოება და პრომოცია;

2. ელიტარული საქონლის მხარდაჭერის ძირითად მარკეტინგულ მექანიზმს წარმოადგენს მათი მკაფიო პოზიციონირება და მასობრივ შეგნებაში გარკვეული სამომხმარებლო მოტივების დანერგვა;

3. ელიტარული მომხარების მხარდაჭერის სოცილაური მექანიზმები მოძველებულია და არაეფექტური. ამ დეფიციტს ავსებს რეკლამა და მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა ინსტრუმენტები;

4. მოხმარება საშუალებას იძლევა სოციალური სემანტიკის ცოდნის გავრცელებისათვის, რაც გამოიხატება ქცევის ნორმებისა და წესების მკაფიო დაცვაში, სოციალური კლასისადმი კუთნილებაში, ანუ რეკლამა იქცა სტრატიფიკაციის სახელმძღვანელოდ;

5. ელიტარული საქონლისა და მომსახურების მოხმარება ხელს უწყობს კაპიტალების სტრუქტურის მოცულობის ზრდა-

სა და სტრუქტურის ცვლილებას, რაც განსაზღვრავს მომხმარებლის რესურსს;

6. ცხოვრების სტილი დანაწილებულია სოციალურ სკალაზე ქვედა კლასებიდან ზედასკენ, ამავდროულად, არაა აუცილებელი, რომ ცხოვრების სტილის ტრანსლირება ამავე მიმართულებით ნაწილდებოდეს;

7. პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში სამომხმარებლო ელიტარულობის აქცენტი ეკონომიკური კაპიტალიდან გადატანილია კულტურულ კაპიტალზე, რპმელშიც უფრო მკაფიოდაა წარმოდგენილი პრესტიჟისა და ელიტარულობის სტრატიფიკაციული ნიშნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. O' Гуинн Т.С., Ален К.Т., Семеник Р. Дж., Реклама и продвижение бренда., С-Пб., 2014. с. 298.

2. Бурдье П., Различения: социальная критика суждения// Экономическая социология. 2015. т.6.№ 3. с. 25-48.

3. Бурдье П., Рынок символической продукции//Вопросы социологии. 1993, № ½. с. 49-62.

REFERENCES:

1. Thomas O'Guinn , Chris Allen , Richard J. Semenik -Advertising and Integrated Brand Promotion. 2014. P.298 (in Russian);

2 Pierre Bourdieu. Distinction: social criticism of judgment, / Economic sociology. 2015. №3 p.25-48 (in Russian);

3. Pierre Bourdieu. Market of symbolical production//sociology Questions. 1993, № ½. p. 49-62. (in Russian).

SOME METHODOLOGICAL ISSUES OF ELITE AND MASS CONSUMPTION

Lela Kochlamazashvili
Professor of Georgian Technical University
Ekatherine Kochlamazashvili
The Doctoral Student of Georgian Technical University

RESUME

The article discusses the differences between mass and luxury. The author believes that the concept of „elite" content is variable in time and space, since a large extent conditional. Therefore the mass and elite study has recommended three methodological direction.

Furthermore, the article states that it is necessary to distinguish between the elite and mass, in terms of differentiated consumption in terms of a certain social class and practice the relationship between the consumption of his clearly expressed.

Keywords: Mass consumption, Elite consumption, Segmented consumers,Consumption differentiation.

სოციალური კაპიტალის ეკონომიკური მნიშვნელობა

ზურა გამთენაძე
თსუ ბაკალავრიატის
მე-4 კურსის სტუდენტი

რეზიუმე

ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ ახალი დამკვიდრებულია როგორც სოციალურ მეცნიერებებში, ასევე, ეკონომიკაში. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ სოციალური კაპიტალის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, რომელსაც შევადარებთ ეკონომეტრიკულ და სხვა კვლევების ემპირიულ მონაცემებს, რათა შევძლოთ ვიპოვოთ კავშირი სოციალური კაპიტალის ზრდასა და ინდივიდუალურ ფინანსურ კაპიტალს შორის. პირველ მათგანში ჩვენ ვგულისხმობთ სოციალური აქტიურობების ინტენსივობას, ხოლო უკანასკნელში კი - სოციალური კაპიტალის მომხმარებლების ფინანსურ-მატერიალურ შემოსავლებს. ნაშრომის ბოლოს შეჯამებული იქნება სოციალური კაპიტალის გავლენა საქართველოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი; ეკონომიკური ზრდა; რესურსების კონვერსირება; სოციალური აქტიურობა.

ძირითადი ნაწილი.

ჩვენი კვლევა ორი მიმართულებით იქნება წარმართული. ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, რომლებიც ხელს უწყობს სოციალურ კაპიტალს გავლენა იქონიოს პირად და საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ადასტურებს კავშირს საზოგადოებრივი საწარმოო რესურსების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების აქტიურ გამოყენებასა და საზოგადოების წევრთა ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას შორის.

სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებში იგულისხმება სოციალური რესურსების ფინანსურ რესურსებში კონვერსირების

გზები. ეკონომისტები ათწლეულების განმავლობაში მსჯელობდნენ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა კომპონენტებზე და მართალია, ისინი იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ ადამიანური ურთიერთობები მოქმედებს როგორც ინდივიდუალურ ეკონომიკური, თუმცა, მათ ამგვარი ურთიერთობების არსებობა და გავლენა ეკონომიკაზე მხოლოდ დროის მონაკვეთებზე მიაჩნდათ შესაძლებელი. კავშირი სოციალური კაპიტალის სხვადასხვა ასპექტების გამოყენებასა და ამ კაპიტალის მოსარგებლეთა შორის ირიბია, თუმცა, არსებობს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წევრთა რაოდენობის ზრდისა და ამ ჯგუფების სოციალური აქტიურობის კორელაცია თითოეული წევრისა თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან.

სოციალური კაპიტალის გაზომვა.

სოციალური კაპიტალის რაოდენობის გაზომვა ხდება სამი მიმართულებით, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ სხვადასხვა ასპექტებად იყოფიან. ესენია (ა) კავშირები (ბ) ნდობა და (გ) სამოქალაქო მდგომარეობა(civism), რომელიც ხასიათდება რაციონალური და ემოციური ზეგავლენით.

კავშირები ხასიათდება, ერთი მხრივ, მოხალისეობრივი საქმიანობების დროს ურთიერთობებით, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახური, სამეგობრო და სხვა სახის სოციალიზაციით. პირველი მათგანი გულისხმობს რომელიმე ორგანიზაციის წევრობას მოხალისეობრივი საქმიანობის დროს ან იშვიათად იკვლევს ინდივიდუალურ აქტიურობას. მეორე მათგანი კი დაინტერესებულია ინდივიდების ყოველდღიურ საქმიანობაში თუ რამდენი წილია განსაზღვრული ახლობლებთან დროის გასატარებლად.

ნდობაც შესაძლოა ორ განზომილებად გავყოთ. ერთ-ერთი იქნება ნდობა ჰორიზონტალურად, ანუ ნდობა თავად საზოგადოებაში მის წევრებს შორის, ხოლო მეორე სახის ნდობა არის ვერტიკალური, რომელიც საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური თუ სხვა ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებებს საზღვრავს.

ზემოთ მოყვანილი საზომი ერთეულების გარდა, ეკონომისტე-

ბი ცდილობენ დაუმატონ დემოგრაფიული მახასიათებლები, კერძოდ, განათლების დონე, სამსახურის ადგილმდებარეობა, ტიპი და ინტენსივობა და ასევე ოჯახური მდგომარეობა. ეს უკანასკნელი დამატებები საშუალებას იძლევა სხვადასხვა წინაპირობებითა და სოციალური მდგომარეობით ავხსნათ ინდივიდის კავშირები, ნდობა და სამოქალაქო მდგომარეობა, რომელიც ეხმარება მას სოციალური კაპიტალის ინვესტირება მოახდინოს საზოგადოებაში და შემდეგ გამოიყენოს ის.

სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები.

სოციალური კაპიტალი ერთდროულად ბუნებრივად წარმოქმნადი და გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგია. ბუნებრივ წარმოქმნაში ხელს უწყოს ის ისტორიული და კულტურული პროცესები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ეს თუ ის საზოგადოება, ხოლო გარემო ფაქტორებში კი სახელმწიფოს როლია უპირველესი. აღნიშნული ორი იმპულსი წარმოადგენს სოციალურ ასპექტებს საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნისა და გაძლიერებისა, ხოლო მათგან გამომდინარე და ასევე იმ შედეგების გააზრებიდან გამომდინარე, რასაც ინდივიდი ხედავს თუნდაც მცირე სოციალური კაპიტალის მოხმარებისას, ინდივიდის სურვილი, რომ კიდევ მოიხმაროს ეს რესურსი იზრდება, ეს უკანასკნელი კი ფსიქოლოგიურ ასპექტს წარმოადგენს.

მეცნიერები წლების განმავლობაში ცდილობდნენ კულტურის უგულვებელყოფას სოციალური კაპიტალის გააზრებისას და მის, როგორც უნივერსალურ ფენომენად წარმოჩენას. თუმცა, ამ მოსაზრების კრიტიკოსებს მაგალითად მოჰყავდათ იაპონიისა და იმ აზიური სახელმწიფოების მაგალითი, რომელთაც შეძლეს მიუხედავად დასავლური კულტურისგან რადიკალური სხვაობისა, შეექმნათ საკმაოდ მტკიცე სოციალური კაპიტალი.

შესაბამისად, მკვლევარები ეტაპობრივად ითვალისწინებდნენ კულტურის მნიშვნელობას სოციალური კაპიტალის წარმოქმნისას. მრავალი კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კულტურებს შორის ისეთი სხვაობის წარმოჩინება, რომელიც ხელს უწყობს, ასე ვთქვათ, მთლიანად საზოგადოებისთვის სასარგებ-

ლო სოციალური კაპიტალის წარმოქმნას ან მხოლოდ ცალკეული ჯგუფებისთვის, რომელიც საკუთარ იდენტიფიცირებას კონკრეტული ნიშნის, მაგალითად, ეთნიკური, რელიგიური ან ნათესაური ნიშნის მიხედვით ახდენს. ამავდროულად მეცნიერებმა გამოყვეს ერთი საინტერესო მომენტი კულტურების კვლევისას. მათ განასხვავეს კულტურები, რომლებიც ახდენენ ინდივიდების ქმედებების რაციონალიზაციას ან პირიქით, ხოლო ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ადამიანთა ნდობის მაჩვენებელზე, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით. მოცემული მახასიათებლების ღირებულებებად გადაქცევის შემდეგ, ავტომატურად ხდება სოციუმის წევრების მიერ სხვა წევრების დასჯა ან წახალისება, იმის მიხედვით არ ემორჩილებიან თუ ემორჩილებიან საზოგადოებაში გავრცელებულ ნორმებს, ხოლო ეს ხელს უწყობს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და ეკონომიკური აქტიურობის სტაბილურ და ეფექტურ მუშაობას.

გაერთიანებებში წევრობის მნიშვნელობა.

სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი დამახასიათებელი კომპონენტი და მისი საზომი ინდივიდების მიერ სხვადასხვა გაერთიანებებში წევრობაა, რომელიც სოციალურ კაპიტალზე გავლენას ახდენს იმის მიხედვით, თუ რამდენად ბევრი ინდივიდია ჩართული ასოციაციურ საქმიანობაში, ასევე იმის მიხედვით თუ რა სახის საქმიანობებში არიან ჩართულნი. გაერთიანებებში წევრობასა და მათ საქმიანობებში მონაწილეობას ან თუნდაც ინდივიდუალურ (ინდივიდუალურში ასევე იგულისხმება, სამეგობროს, სამეზობლოს და სხვა ჯგუფური, არაფორმალური საქმიანობებიც) აქტიურობას, მეორე მხრივ, იყენებ, სოციალური ინტეგრაციის საზომად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაში ამა თუ იმ კონკრეტული მიზნის მისაღწევად საზოგადოების ერთიანობას, იმის ფონზე, რომ მაქსიმალურად ყველას ინტერესი არის გათვალისწინებული.

სხვადასხვა სახის გაერთიანებები არის ერთგვარი საშუალება, რომელიც, ერთი მხრივ, ვერტიკალურად მოქმედებს და მის წევრთა ინტერესების ასახვისას ცდილობს პოლიტიკის შე-

მუშავების ფორმირებაზე გავლენის მოხდენას, ხოლო, მეორე მხრივ, ჰორიზონტალურად არეგულირებს წევრებს შორის საქმიანობას, რომელიც მათ აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად, პოლიტიკაში ჩარევის გარეშე მიაღწიონ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას. დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში სწორედ მრავალფეროვანი პროფილის გაერთიანებები არის ერთგვარი შედეგიცა და საშუალებაც უზარმაზარი სოციალური კაპიტალის არსებობისა.

დასავლური გაერთიანებების შექმნის საფუძველი.

დასავლეთში გავრცელებული სოციალური კაპიტალი გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკის სისტემის ელემენტარულ პრინციპზე, ინვესტირება მომგებიან საქმიანობაში ზრდის მოგებას. სოციალურ კაპიტალში ინვესტირებას კი მკვლევარები განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივ ქსელებში, იგივე ასოციაციებში წევრობას. ინვესტირება არის არა თავად წევრობა, არამედ წევრობის დროს კომუნიკაციის პროცესი, როდესაც, უხეშად რომ ვთქვათ, ინდივიდები ეცნობიან „საჭირო“ ადამიანებს, უახლოვდებიან მათ და საჭირო მომენტში შეეძლებათ მათთვის დახმარების თხოვნა, ხოლო საერთო ძალებით და სხვა საშუალებებით ის პრობლემა, რომელიც მანამდე ინდივიდს დამოუკიდებლად უნდა გადაეჭრა, ახლა სხვებთან ერთად გვარდება.

გაერთიანებებში წევრობას სოციალური კაპიტალის მკვლევარები ეკონომიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის მეშვეობით ხსნიან. როდესაც ინდივიდი ხდება ამა თუ იმ გაერთიანების წევრი, ხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა. უმთავრესი გარდატეხა დისტანციის შემცირება ინდივიდსა და ჯგუფს შორის, ხოლო დისტანციის შემცირება აქრობს გაუცხოების მომენტს, რაც ინფორმაციის გაცვლას უწყობს ხელს. ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ინდივიდიც და ჯგუფიც სარგებელს იღებენ კონკრეტულ საკითხზე დამატებითი ცნობის მოპოვების შედეგად. ამასთან ერთად, დისტანციის შემცირება ზრდის ინდივიდსა და ჯგუფს შორის ნდობის მაჩვენებელსა და თანამშრომლობის

სურვილს. აღნიშნული მომენტი აშკარაა, როგორც ფორმალურ გაერთიანებებში, ასევე არაფორმალურ, სამეგობრო წრეებშიც, თუმცა, ფაქტია, რომ იმ დროისა და, შესაძლოა, ფინანსური სახსრების დახარჯვის ფონზე, რაც საჭირო გახდა გაერთიანებაში გასაწევრიანებლად, ინდივიდმა მიიღო სოციალური, მორალური და გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსური მხარდაჭერაც, რამაც გაზარდა მისი შესაძლებლობები.

დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში პოლიტიკური და სამოქალაქო სოციალიზაცია ცხოვრების ყველა საფეხურზე და თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში ხდება, ერთ-ერთი ასეთი ადგილი კი მოქალაქეთა გაერთიანებებია. გაერთიანებების საქმიანობებში ჩართულობის ან მათი ოფიციალური/არაოფიციალური შეხვედრებისას, მონაწილეები საუბრობენ შეუზღუდავი რაოდენობისა და სფეროს საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მათ შორის ინფორმაციის გაცვლას, საკითხებისადმი მიდგომის ჩამოყალიბება-დახვეწას და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქმედებების განსაზღვრას.

დასავლური გაერთიანებების გავლენა ეკონომიკაზე.

დასავლურ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახის გაერთიანებებს პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ წევრთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ასეთი გაერთიანებები ყველაზე ხშირად არიან პენსიონერთა, პროფესიულ კავშირთა და სხვა სახის მატერიალური ბაზის საკითხებზე შექმნილი ასოციაციები, რომელთაც უდიდესი სიტყვა ეთქმით მათს სფეროზე პოლიტიკის შემუშავების პროცესების დროს. ეკონომიკურ მახასიათებლებზე გავლენას სოციალური კაპიტალის ორი ასპექტი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და თანამშრომლობა ახდენს.

ევროპაში ღირებულებათა კვლევების ჩატარებისას, შედეგებმა აჩვენებს, რომ ინფორმაციის მიღების არაფორმალური გზები დამოკიდებულია ჰორიზონტალურ ნდობაზე, ხოლო იქ, სადაც მეტია ნდობა ერთმანეთისადმი, მაღალია თანასწორი და სპონტანური ეკონომიკური ურთიერთობებიც. (Inglehart, 2000) იმავე კვლევების საშუალებით დადგინდა, რომ იქ სადაც ერთ-

მანეთისადმი ნდობა მაღალია, დაახლოებით იმავე პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენს ინდივიდთა მინიმუმ მოხალისეობრივ ასოციაციებში გაწევრიანება. (იქვე) რთულია იმის მტკიცება, რომ ასოციაციებში გაწევრიანება არის შედეგი ნდობისა, თუ ნდობა არის შედეგი გაერთიანებებში წევრობისა.

ევროპაში ჩატარებული სხვა კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა კორელაცია სოციალური კაპიტალის მოხმარების ინტენსივობის ზრდასა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას შორის. ეკონომიკურ მაჩვენებლებში მკვლევარებმა გამოიყენეს მთლიანი შიდა პროდუქტი თითოეულ ადამიანზე. სოციალური ქსელების წევრების ყოველ 1%-იან ზრდაზე, მშპ თითოეულ ადამიანზე იზრდებოდა 0,002%-ით, ხოლო სოციალური კაპიტალის მოქმედებით ადამიანური კაპიტალის მოხმარების ყოველ 1%-ზე, მშპ იზრდებოდა 0,02%-ით. (Nei02)

მეორე საკითხია, როგორ ხდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი კომპონენტის, გაერთიანებებში ჩართულობით. უმთავრესი აქ ორი მომენტია. ერთი ის, რომ წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს ასოციაციის სიძლიერეს, ხოლო მეორეა, რომ სწორედ სიძლიერიდან გამომდინარე, აქვს პრეტენზია გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. მაგალითად, ამერიკის პენსიონერთა ასოციაცია ან მასწავლებელთა კავშირი, როდესაც ქვეყანაში ნებისმიერი მიზეზის გამო იზრდება ფასები ან რეგულაციები ისე იცვლება, რომ ეს გავლენას ახდენს გაერთიანებების მსყიდველობით უნარზე, ისინი, პირველ რიგში, ლობირების, შემდგომ კი მანიფესტაციების საშუალებით ცდილობენ ან პენსიის(ხელფასების) მომატებას ან რეგულაციების შემსუბუქებას.

სოციალური კაპიტალი და საქართველოს ეკონომიკა.

საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ კაპიტალს შორის კორელაციაზე კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა, სოციალური კვლევის ზოგიერთი ასპექტი(ნდობა, მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართულობა და სხვა) გამოკვლეულია და მდგომარეობა ყველაზე უფრო ცუდია მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ყველაზე

ცუდი შედეგი აღმოჩნდა საკუთარი შესაძლებლობების სახელმწიფოსთან მიმართების კვლევისას, როდესაც მოქალაქეთა უდიდეს უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეკონომიკური საქმიანობების უმრავლესობა სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. ეს თითქოს პარადოქსულად არ ეთანხმება საქართველოს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ძალიან დაბალია. ასევე დაბალია ნდობა ერთმანეთის, სხვადასხვა გაერთიანებების პარტიების მიმართ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმის გააზრება, თუ რატომ არის მოქალაქეთა კეთილდღეობა ძალიან დაბალი. რასაკვირველია, გავლენას ეკონომიკაზე მხოლოდ სოციალური კაპიტალის ნაკლებობა არ ახდენს და ეს ისტორიული პროცესებითაცაა განპირობებული, თუმცა, უდავოა ისიც, რომ ერთმანეთისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებელი, მოხალისეობრივი საქმიანობების ნაკლებობა და კერძო ინიციატივები აფერხებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას და ეს მაშინ, როდესაც საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ მსოფლიოში მე-15 ადგილზეა. (ბიზნესის კეთების სიადვილე 2015, 2015) ამასთან ერთად საქართველოში აშკარად შეინიშნება ემოციური და ხშირად არარაციონალისტური კულტურა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ქცევებზე. თანამშრომლობის დროს უფრო მეტად ენიჭება უპირატესობა ემოციურად ახლოს მდგომ ადამიანებს, რაც ხშირად გამორიცხავს პროფესიონალიზმს და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დასკვნა

შეჯამების სახით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს სოციალური კაპიტალის უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების პროცესებზე 21-ე საუკუნეში. სოციალური კაპიტალი არ არის სასარგებლო მხოლოდ ინდივიდებისთვის, არამედ ის მომგებიანია მთლიანად სახელმწიფოსთვის, პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, შესაბამისად, სოციალური კაპიტალის გაზრდაში დაინტერესებულია სახელმწიფოც. ამას კი ის საკუთარ მიზნადაც ისახავს. საზოგადოებრივი კაპიტალის ხშირ გამოყენე-

ბასა, რაც მას კიდევ უფრო ზრდის, და ინდივიდუალურ თუ ზოგადად ეკონომიკურ განვითარებას შორის არის აშკარად დადებითი კორელაცია და ამას მრავალი კვლევა ადასტურებს, რომელიც ევროპაში ჩატარდა. მართალია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მხოლოდ სოციალური კაპიტალი არ იქნება საკმარისი, თუმცა, მისი გამრავალფეროვნება და გაზრდა, ნამდვილად იმოქმედებს, როგორც თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

REFERENCES:

1. Bowles, S., Gintis, H., & Osborne, M. (2001). The Determinants of Earnings: A Behavioral Approach. *Journal of Economic Literature*, pp. 1137-1176.

2. Fedderke, J., Luiz, J., & Kadt, R. d. (1999). Economic Growth and Social Capital: A Critical Reflection. *Theory and Society*, pp. 709-745.

3. Glaeser, E. L., Laibson, D. I., Scheinkman, J. A., & Soutter, C. (2000). Measuring trust. *Quarterly Journal of Economics*, pp. 811-846.

4. Glaeser, E., Laibson, D., & Sacerdote, B. (2002). An Economic Approach to Social Capital. *The Economic Journal*, pp. F437-F458.

5. Hamilton, K. (2006). *Where is the wealth of nations?: measuring capital for the 21st century.* Washington DC: World Bank Publications.

6. Helliwell, J., & Putnam, R. (1995). Economic Growth and Social Capital in Italy. *Eastern Economic Journal*, pp. 295-307.

7. Inglehart, R. (2000). *World Values Surveys and European Values Surveys, 1981-1984, 1990-1993, and 1995-1997.* Michigan: Interuniversity Consortium for Political and Social Research.

8. Lazear, E. P. (1995). Culture and language. *National Bureau of Economic Research*.

9. Neira, I., Vázquez, E., & Portela, M. (2009). An Empirical Analysis of Social Capital and Economic Growth in Europe (1980-2000). *Social Indicators Research*, pp. 111-129.

10. Rotberg, R. (2014, March 19). China's trade with Africa at re-

cord high.

11. Schyns , P., & Koop, C. (2010). Political Distrust and Social Capital in Europe and the USA. *Social Indicators Research*, pp. 145-167.

12. Thaler, R. (1994). *Quasi rational economics.* Russell Sage Foundation.

13. (2015, June). http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2015_geo_1.pdf

ECONOMIC DEFINITION OF THE SOCIAL CAPITAL

Zura Gamtenadze
Bachelor Students of TSU,
Third and Fourth Year.

RESUME

The term of Social Capital is newly established in social sciences and economics. In this working we discuss the social and psychological parts of Social Capital and additionally, using the econometrical and empirical results of previous researches, we attempt to find correlation between the growth of Social Capital and Individual Financial Capital. By the Growth of Social Capital we mean the intensity of social activities and by the Individual Financial Capital we imply the Financial Income of *Users* of Social Capital. The working will be ended by the discussion of Georgian Social Capital and it's impact on Georgians Financial Conditions.

Keywords: Social capital; Economic Growth; Resources Conversion; Social Activity .

ინფლაცია – არაკომპეტენტურობის შედეგი*

გიორგი ჭინჭარაული
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი, პროფესორი

მაია კაპანაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში ინფლაციიის წარმოშობის მიზეზები და მათი დაძლევის გზები. გაანალიზებულია კანონმდებლობისა და ფინანსური პოლიტიკის არასრულყოფილება, შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირების არაკომპეტენტური და არასწორი ფუნქციონირების შედეგები, რომელთა სრულყოფის გარეშე შეუძლებელია ინფლაციური პროცესების შეჩერება. მოთხოვნისა და მიწოდების ინფლაციის ასპექტში განხილულია სოცუზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურების, სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სახის ორგანიზაციების დაუსაბუთებელი დაფინანსების, ორმაგი დაბეგვრის და სხვა საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, ჰიპერინფლაცია, დეფოლტი, ინფლაციური სპირალი; "ხრუტუნას'' ეფექტი, ორმაგი დაბეგვრა, დუალიზმი.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირება ორ ათეულ წელზე მეტია დაფუძნებულია, მიზანმიმართულ თუ არამიზანმიმართულ, არაკომპეტენტურ რეგულირებაზე. ძირითად ეს გამოწვეულია იმით, რომ სპეციალისტია თუ არასპეციალისტია, ეკონომისტად არის მიჩნეული და ჩართულია ეკონომიკური კანონმდებლობის შექმნისა და რეალიზაციის პროცესში. ხშირად ანალოგიურ მდგო-

*** იბეჭდება ავტორებისეული სტილის დაცვით**

მარეობაში იმყოფებიან კონსულტანტებად მოწვეული სხვა ქვეყნის ექსპერტ-ეკონომისტებიც, რომელთა მოწვევაზეც უამრავი ფული იხარჯება, რაც ასევე მოქმედებს ლარის ინფლაციაზე.

ძირითადი ტექსტი

რაიმე ძალის არაკეთილმოსურნეობას თუ გამოვრიცხავთ, ასეთი სპეციალისტებით და მათი კონსულტაციებით რეგულირებული საქართველოს ეკონომიკა დეფოლტისაკენ მიექანება. მაღალი დონის ინფლაცია დროთა ვითარებაში ქრონიკულ ხასიათს მიიღებს. ჯერჯერობით ჰიპერინფლაციის წარმოშობას ხელს უშლის წარსულიდან გადმოყოლილი სახელმწიფო ქონების რეალიზაციით და საზღვარგარეთიდან გზავნილებით უზრუნველყოფილი ლარის კურსი. ამ მიმართულებით თუ რაიმე არ შეიცვალა დროთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. თუნდაც იმიტომ, რომ გასაყიდი აღარაფერი იქნება და დეფოლტი აუცილებელი გახდება. ამ კანონზომიერებას ადასტურებს ის ვითარებაც, რომ ლარის ინფლაცია ყოველწლიურად მატულობს: მაგალითად, 2016 წელს 2010 წლის საშუალოსთან შედარებით ლარის ინფლაცია 16,2%-ით გაიზარდა. ხოლო ლარის ვალუტად მიღებიდან დღემდე დოლართან მიმართებაში 50%-ით გაუფასურდა[2]. თუკიმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვი ორჯერ აღემატება, „გაეროს“ სტანდარტებს, ხოლო ბუნებრივი მატება სისტემატიურად მცირდება, ასეთი მდგომარეობა მოსახლეობის დღევანდელი დაუსაქმებლობის პირობებში პერმანენტული ინფლაციის წარმოშობის წაყროა, ხოლო მომავალში ქართული წარმოების მოსპობის.

აბსტრაგირებას თუ გავაკეთებთ სხვა სახელმწიფოებიდან ფულადი (არაფულადი) გზავნილებისა და ყოფილი სახელმწიფო ქონების რეალიზაციისგან, რომლებიც საქართველოში ლარის სიმყარის უზრუნველყოფას ხმარდება, დღევანდელი სამამულო წარმოების არნახულ დაბალი დონის პირობებში, საქართველოს საბაზრო სივრცის მოთხოვნის შესაბამისად, ლარის რაოდენობის მიმოქცევაში გაშვება, გამოიწვევს უსწრაფეს ჰიპერინფლაციას

და საბოლოო ჯამში დეფოლტს. ლარის არსებულ შედარებით სიმყარეს ანუ ფარულ ინფლაციას ჯერჯერობით ხელს უწყობს ქვეყანაში დოლარიზაციის 66,7%-ით არსებობა[2] (რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში პარადოქსია). ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ მხოლოდ სამამულო წარმოების პირობებში, მოთხოვნის ინფლაცია და დეფოლტი აქსიომატურია, ე. ი. აღნიშნულის მხრივ საქართველოში ინფლაციის ძირითადი მიზეზი სამამულო წარმოების დაბალი დონეა.

ინფლაციის წარმოშობის მიზეზს, როცა ლარის უზრუნველყოფა არ ხდება სათანადო რაოდენობის პროდუქტებით, წარმოადგენს მოთხოვნა. მოთხოვნის ინფლაციის მიხედვით, საზოგადოება ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე აწარმოებს. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ხარჯების ასანაზღაურებლად ფასების საშუალო დონე იზრდება, რაც ინფლაციას ნიშნავს.

საქართველოში მოთხოვნის ინფლაციის წარმოშობას ხელს უწყობს არასწორი პოლიტიკა, რის გამოც მიმოქცევაში დამატებითი რაოდენობის ლარის ჩართვა ხორციელდება. თუ სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით ვიმსჯელებთ, 2016 წელს წინა წელთან შედარებით სოციალური პაკეტი 7,6-ჯერ გაზარდა საპენსიო ფულადი რესურსები 14%-ით. ორივე შემთხვევაში ჯამში 32 მილიონ ლარზე მეტი შევიდა მიმოქცევაში. ამავე პერიოდში საერთოდ შრომის ანაზღაურება გაიზარდა 4,3%-ით. არასამეწარმეო სფეროში კი 5%-ით და ეს მაშინ, როცა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2,6%-ს არ აღემატებოდა. განსაკუთრებით ყურადსაღებია სახელმწიფო სექტორში მუდმივად მზარდი შრომის ანაზღაურების მაღალი დონე. ცსკ-ის თავმჯდომარეს წლიური ხელფასი 200ათას ლაზე მეტია. მინისტრების საშუალო 70 ათას ლარამდე, პარლამენტარების 60 ათასი ლარი და ა. შ. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უმეტესობას წლიური შემოსავალი 2 ათას ლარს არ აღემატება. ასეთი მდგომარეობა არა მარტო მოთხოვნის ინფლაციის წარმოშობას უწყობს ხელს, არამედ აღატაკებს მოსახლეობას, იმ დროსაც როცა ინფლაციას არ აქვს ადგილი. ვინაიდან სახელმწიფო ჩინოვნიკების მზარდი დიდი ხელფასები მოთხოვნას ზრდის, რაც სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ფასების

აწევას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს დაბალი შემოსავალიანი მოსახლეობის ცხოვრობის დონეზე.

ანალოგიური მდგომარეობაა არასამთავრობო, პოლიტიკური თუ სხვა ორგანიზაციების სახელმწიფოს მიერ მუდმივად მზარდი დაფინანსების მხრივაც, რაც ასევე ინფლაციის მნიშვნელოვანი წყაროებია. კერძოდ კვალიფიკაციური პოლიტიკური პარტიების ყოველწიური მზარდი დაფინანსება 7 მილიონზე მეტია, საარჩევნო კომპანიების დროს ზენიტს აღწევს, რელიგიური მიმდინარეობების 30 მილ. ლარზე მეტი. პირადი მონაცემების დაცვის ინსპექტორი 2 მილიონ ოთხასი ათასი ლარი, ეროვნული გამოცდების ცენტრი 6 მილიონი (კურიოზია კერძო სექტორს გამოცდებს უწყობს კონკურენტი სახელმწიფო სექტორი და ეწევა ხარჯებს), ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით 14 მილნ. 800 ათასი ლარი და ა. შ. ჩვენის აზრით ეს ისეთი და იმ ზომის ხარჯებია, რომ სამამულო წარმოების არსებულ პირობებში მინიმალური შეიძლება იყოს ან საერთოდ დროებითი შეწყვეტილი იქნას და მონიტორინგი გამოცხადდეს. დღევანდელი პირობებში მათი ამ სახით არსებობა უფრო ზიანს აყენებს სახელმწიფოს, ვიდრე არ არსებობა.

საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით თითქმის ყოველთვის ლარი უფასურდება, რაც გამოწვეულია მოთხოვნის ზრდით. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საარჩევნო კომპანიებზე დიდძალი ფული იხარჯება. 2016 წელს პარტიებმა პარლამენტის საარჩევნო კომპანიებზე ოფიციალური ცნობით დახარჯეს 40 მილიონამდე ლარი,[3] არაოფიციალურად კი ვინ იცის რამდენი. ამას კიდევ ემატება მაჟორიტარი კანდიდატების მიერ გაწეული ხარჯები. გამოდის, რომ ასეთი ფორმით ჩატარებული არჩევნები მოთხოვნას ზრდის, რაც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება(იქმნება ინფლაციური სპირალი და „ხრუტუნას“ ეფექტი, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ათვითცნობიერებს), რადგანაც შემდგომში იწევს მათი რეალური შემოსავლების შემცირებას.

მოთხოვნის ინფლაციაზე მოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხშირი დეფიციტიც, რაც ფულის ემისიით მთავრდება. ასევე დიდი რაოდენობით საკრედიტო ექსპანსია. 2016 წელს მარტო ოთხ თვე-

ში ეროვნულმა ბანკმა მილიარდ ლარზე მეტი, ზედმეტი ფული გაუშვა მიმოქცევაში, ე.წ. რეფინანსირების სესხის სახით, რამაც ბუნებრივია იმოქმედა ლარის გაცვლითი კურსის დაცემაზე.

ფასების აწევა ცალკეულ პროდუქტებზე ან უცხოურ ვალუტაზე ინფლაციას არ წარმოადგენს. ფარული ინფლაციის დროს ფასები უცვლელია. ამდენად საკითხის შესწავლის გარეშე საინფორმაციო საშუალებებით ატეხილი აჟიოტაჟი ინფლაციის შესახებ, ხშირად არასწორია და უარყოფითად მოქმედებს ინფლაციაზე. ვინაიდან მოსახლეობა იწყებს ლარის უცხოურ ვალუტაზე გადაცვლას, პროდუქტების შეძენას, რის გამოც მიმოქცევაში შედის დამატებითი ფული, რაც უფრო ზრდის მოთხოვნას ანუ იწვევს ფასების აწევას.

ჩვენის აზრით ინფლაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ზარალს აყენებს სახელმწიფოსა და მოსახლეობას კანონმდებლობით დასჯადი უნდა იყოს. გამორიცხული არ არის ქვეყნის დაკაბალების მიზნით, საქართველოში ეს სპეციალურადაც კეთდებოდეს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ საქართველოში ინფლაციის წარმოშობის არსებითი ფაქტორი სამამულო წარმოების დაბალი დონეა, რაც წარმოშობს მიწოდების ინფლაციას. ამ ინფლაციას იწვევს წარმოების ხარჯების ზრდაც, როგორიცაა — ხელფასები, ნედლეულისა და ენერგიის გაძვირება, გადასახადების მატება და მათი განაკვეთების ზრდა და ა. შ. 2016 წელს წინა წელთან შედარებით შრომის ანაზღაურება სამეწარმეო სფეროში 3,8%-ით გაიზარდა. ასევე გაიზარდა ნავთობ პროდუქტებისა, გაზისა და დენის ტარიფები.[2]

რაც შეეხება გადასახადებს, მათი რაოდენობისა და განაკვეთების ზრდა საქართველოს სინამდვილეში ჩვეულებრივი მოვლენაა. კანონმდებლობით მთელ რიგ უწყებებს უფლება აქვთ დაადგინონ მათთვის სასურველი გადასახადები და მათი განაკვეთები. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრმა, უამრავი გადასახადი (მოსაკრებლები) დაადგინა, მათ შორის ღირებულების კანონის მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ მომსახ-

ურებისათვის — 500 ლარი, ავტორიზაციაზე — 12 ათასი ლარი, აკრედიტაციაზე — 20 ათასი ლარი და ა. შ. უამრავი სხვა.[4] ამ გზით მიღებული შემოსავლები ამავე ცენტრის ინტერესებს ხმარდება და მიმოქცევაში დამატებითი ფულის ჩართვა ხდება, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ინფლაციის წარმოშობას.

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით საგადასახადო კოდექსში აქციზის გადასახადის 100%-ით გაზრდამ შესაბამისი პროდუქტების კანონიერი წარმოება და რეალიზაცია შეაფერხა (მეცნიერულ თვალთახედვით ეს ისეთი მოვლენაა, რაც ეჭვს იწვევს ამ სფეროში „შავი ბაზრის“ კორუფციისა და მაფიის არსებობის შესახებ). გარკვეულ ზომით ამ პროდუქტების შეძენისათვის განკუთვნილ თანხა სხვა პროდუქტების შეძენაზე დაიხარჯა, რამაც მოთხოვნა გაზარდა, ხელი შეუწყო ინფლაციის წარმოშობას.

ლარის გაუფასურებას ასევე ხელს უწყობს საქართველოში გამეფებული ფიზიკური და იურიდიული პირების ორმაგი დაბეგვრით გამოწვეული ექსპლოატაცია, რაც თეორიულად დუალისტური კანონმდებლობით რეგულირდება. ამავე მიმართულებით მოქმედებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ, ღირებულების კანონის მოთხოვნათა დარღვევა. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურებისათვის, მათი საშემოსავლო გადასახადებით დაქირავებული ფიზიკური პირები და შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტები, უშუალოდ ან მათთან ხელშეკრულების მქონე კერძო ფირმების საშუალებით, მომსახურებისათვის იმავე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დამატებით ახდევინებენ კიდევ გადასახადს. ამასთანავე უმნიშვნელო მომსახურებაზე უაღრესად დიდ გადასახადს, რაც ღირებულების ობიექტური კანონის მოთხოვნის დარღვევაა. ყოველივე აღნიშნული ხორციელდება საჯარო რეესტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სასამართლოების, „სითი პარკის“ და მათნაირის სხვა ინსტიტუტების მიერ. კერძოდ „სითი პარკის“ საშუალო ყოველწლიური შემოსავალი სულ მცირე 8 მილიონს (ზოგიერთი გაანგარიშებით 20-31 მილიონ ლარს) შეადგენს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ

მხოლოდ სასწავლებლების აკრედიტაციის განხორციელება 2 მილიონ ლარზე მეტია. ამას თუ დავუმატებთ განათლების დოკუმენტების ნამდვილობის დამოწმების და სხვა გადასახადებს (მოსაკრებლები) უსამართლობის მაჩვენებელი უფრო გაიზრდება. საერთოდ სასამართლოების სასარჩელო ბაჟზე, რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ადმინისტრაციული სასამართლოს სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟი, ყოველწლიურად საშუალოდ ორ მილიონს შეადგენს. აქვე გასათვალისწინებელია უსამართლო საპროცესო გარიგებათა მრავალმილიონიანი სიდიდე. მთლიანობაში სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი 2016 წელს 9.464.276.32 ლარს შეადგენს.

ანალოგიური მდგომარეობაა ყველგან, სადაც ორმაგი დაბეგვრისა და ღირებულების კანონის მოთხოვნებია დარღვეული. ასეთი გადასახადები არც საბაზრო პროდუქტებით არის უზრუნველყოფილი და წარმოების განვითარებასაც აფერხებს. ვიმეორებთ საქართველოში სამამულო წარმოების დღევანდელ არნახულ დაბალ დონის პირობებში უცხოური ვალუტის პროდუქტები, რომ არ იყოს მიმოქცევაში, არა მარტო ლარის, არამედ სახელმწიფოს ფუნქციონირებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. სამამულო წარმოების განვითარებას, ხელს უშლის არსებული კანონმდებლობა, რაც საშუალებას აძლევს მონოპოლიების ბატონობას, კონკურენციის შეზღუდვას, დეპინგური პოლიტიკის განხორციელებას და სხვა ამგვარი უარყოფითი მოვლენების არსებობას.

საქართველოში წარმოების განვითარებას აფერხებს და არაპირდაპირ ინფლაციას წარმოშობს სხვადასხვა სახის მოსაკრებლები. მაგალითად, 2015 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელმა 973.1 ათასი ლარი შეადგენა. ეს თანხა ინდივიდუალურ ან სხვა წარმოებას რომ მოხმარებოდა, შეიძლება არანაკლები საბიუჯეტო შემოსავლიც მიგვეღო და ამ თანხით წარმოებული პროდუქტი ლარის სიმყარესაც უზრუნველყოფდა და ა.შ.

სამამულო წარმოების განვითარებას აფერხებს, დოლარის მოთხოვნას ზრდის და ამასთან ერთად ლარის გაუფასურებას

იწვევს, საქართველოს კანონმდებლობის შემდეგი, ვითომდაც უმნიშვნელო ლაფსუსები: ინტერესთა შეუთავსებლობის კანონის მიხედვით საჯარო ხელისუფლებაში მოსვლის პოტენციალურმა კანდიდატებმა უნდა შეავსონ ქონების დეკლარაცია. ამ დეკლარაციის შევსებაზე არასამამულო წარმოების პროდუქტების დანახარჯები, რომლებიც უცხოური ვალუტით არის შეძენილი, მინიმუმ 1 დოლარს მაინც უდრის. მარტო ა. წ. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას ეს ხარჯები პოტენციურად 6400 დოლარს უდრიდა. აქედან 150 პირი ხდება პარლამენტარი, დანარჩენი ხარჯები წყალშია ჩაყრილი.[4]

ანალოგიურია როცა ხელისუფალნი მთხოვნელთა მიღებაზე ჯერ განცხადების დაწერას მოითხოვენ. რის გამოც მთხოვნელს რამდენჯერმე უხდება სხვადასხვა ინსტანციაში მისვლა. ამ დროს მარტო მათ გადაადგილებაზე უცხოური ვალუტით შესყიდული საწვავის ღირებულება საშუალოდ 1 დოლარზე ნაკლები არ არის. თუ წარმოვიდგენთ, ამ ბიუროკრატიული მოთხოვნის შედეგად, მთხოვნელთა მრავალ ათასიანი კონტიგენტის ხარჯებს (რაც საბოლოოდ დოლარის სახით გადის საზღვარგარეთ,)ადვილად დავრწმუნდებით, მათ უარყოფით როლზე არა მარტო ინფლაციის წარმოშობის თვალსაზრისით.

საქართველოს კანონმდებლობით მსგავსი სხვა მოთხოვნები უამრავია, რომელთა არსებობის აუცილებელობა არაფრით დასტურდება. თუ მათზე გაწეულ დაუსაბუთებელ ხარჯებს შევკრებთ, უზარმაზარ თანხას მივიღებთ. რასაც კანონმდებლები ვერ ათვითცნობიერებენ და თუ ათვითცნობიერებენ ხალხის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ვინაიდან სამამულო წარმოების განვითარებას ძირს უთხრიან, რაც ინფლაციის წარმოშობის მიზეზიცაა.

საქართველოში ინფლაციის წარმოშობას ხელს უწყობს საერთაშორისო ფაქტორებიც. სახელმწიფოში, სადაც 80%-ზე მეტი არასამამულო წარმოების პროდუქტი მოიხმარება, რომელსაც დაკარგული აქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება, სადაც მიმოქცევაში 75%-ით მონაწილეობს უცხოური ვალუტა, სხვა ქვეყნებში არსებული კრიზისებიც, უარყოფით გავლენას

ახდენს ქვეყანაზე. ასეთი ვითარება, შეიძლება შეგნებულადაც იქნეს გამოყენებული, საქართველოში უმუშევრობისა და ინფლაციის წარმოსაშობად, რაც ანგრევს უსუსურ ეკონომიკას. მითუმეტეს, როცა მთელ საბანკო სისტემაში, გაბატონებული მდგომარეობა არასამამულო ბანკებს უკავია.

ინფლაციის წარმოშობის აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უცხოურ ვალუტაზე დიდი რაოდენობით ლარის გადაცვლა, არასამამულო ვალუტებით ანგარიშსწორება და დეპოზიტების ზრდა, რამაც შეზღუდა ლარის გადახდისა და დაგროვების ფუნქცია. საქართველოში 2016 წელს, 9 თვის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით დეპოზიტები ლარებში 7,7%-ით გაიზარდა, უცხოურ ვალუტაში კი — 8,9%-ით (ამას თუ მივუმატებთ ლარის გადახურდავების და სამამულო პროდუქტების საზღვარგარეთ რეალიზაციით მიღებულ ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრებს, საზღვარგარეთის ბანკებში, სოლიდურ თანხებთან გვექნება საქმე) ასევე საბანკო სესხის 64%-ი გაცემულია უცხოურ ვალუტაში. პროდუქტების შესყიდვის 80%-ი უცხოური ვალუტით ხდება და ა.შ.[2]

პროდუქტების შესყიდვის გარდა, ლარის გადაცვლით, უცხოური ვალუტის საქართველოდან გადინება ხდება: არასამამულო ფირმების ლარებში მიღებული შემოსავლების გაცვლით უცხოურ ვალუტაზე, (საქართველოს პენსიების მიმღები)საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებთა პენსიების გადაცვლით სხვა ქვეყნების ვალუტაში, საერთაშორისო ფესტივალებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილე უცხოელთა ანაზღაურებით, მათგან საავტორო უფლებათა შესყიდვით, მათზე სტიპენდიების გაცემით და ა. შ. ყოველივე ეს ზრდის მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე, ამავე დროს მიმოქცევაში იზრდება ლარის რაოდენობა, რაც აუფასურებს ლარს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში და აძლიერებს ინფლაციას.

საქართველოში ინფლაციის წარმოშობას ხელს უწყობს დასაქმების ზრდაც, რაც იწვევს დამატებითი ხელფასის გაცემას, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სათანადო რაოდენობის

პროდუქტებით. 2015 წელს წინა წელთან შედარებით ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 5,8%-ით გაიზარდა, ხოლო 2016 წლის ერთ კვარტალში 5,9%-ით და ა. შ.[2]

ინფლაციაზე თითქმის აღნიშნული ყველა ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს, რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს ეკონომიკის რეგულირებაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე. ეს კი დროულად უნდა დაიძლიოს, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის შენარჩუნებისათვის.

დასკვნა

საქართველოში ინფლაციის არსებობის ძირითადი მიზეზი, სამამულო წარმოების დაბალი დონეა. მის განვითარებას აფერხებს შესაბამისი უწყებების არაკომპეტენტურ საქმიანობასთან ერთად, არსებული კანონმდებლობაც, რომელიც ხელს უჭყობს ეკონომიკის სფეროში მონოპოლიების ბატონობას, კონკურენციის შეზღუდვას, დემპინგური პოლიტიკის განხორციელებას, ორმაგი დაბეგვრის და სხვა მსგავსი მოვლენების არსებობას.

ინფლაციის წარმოშობაზე მოქმედებს ასევე არასწორი საფინანსო პოლიტიკა და სამამულო წარმოების დაბალი დონის გამო საერთაშორისო ფაქტორებიც.

ლიტერატურა:

1. გ.ჭინჭარაული. ეკონომიკური თეორია (ეკონომიკის ასპექტი), ნაწ.3. თბ.2005წ.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი— ,,ინფლაციის მიმოხილვა" თებერვალი 2016

3. საქართველოს ეროვნული ბანკი

4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

5. სახელმწიფო აუდიტის სამახური

6. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თბ.2014. მუხლ.109, ნაწ.1;

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება№99\წ01.10.2010.

8. საქართველოს კონსტიტუცია,თბ,2011.მუხ.49.ნაწ1
9. Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. IMF Economic Issues No.15
10. www.geostat.ge
11. ww.sao.ge
12. www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/
13 www. parliament.ge;.
14. www. parliament.ge\ge\..\constitution-of-georgia.
15. www.mes.gov.ge
16. www.hcoj.gov.ge
17. www. insuranse.org.ge.

REFERENCES:

1 G.CHincharauli. „Economic Theory". Tbilisi, 2005 (In Georgian Language);
2. National Bank Of Georgia-"Inflation Report" February 2016;
3. National Bank Of Georgia;
4. National Statistics Office of Georgia;
5.State Audit Office;
6. The Electoral Code. Tb. 2014.artic..109, part1;
7. Order of the Minister of Education and Science#99\01.10.2010;
8 The Constitution-of-Georgia. Tb.2011.artic..49.part1;
9. Inflation Targeting as a Framework for Monetary Policy. IMF Economic Issues No.15;
10. www.geostat.ge
11. ww.sao.ge
12. www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/
13 www. parliament.ge;.
14. www. parliament.ge\ge\..\constitution-of-georgia.
15. www.mes.gov.ge
16. www.hcoj.gov.ge
17. www. insuranse.org.ge.

INFLATION–AS A RESULT OF INCOMPETENCE

Giorgi Chincharauli, Ac. Doctor of Economics
Maia Kapanadze, Ac. Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian Technical University

RESUME

The article discusses the causes of inflation in Georgia and their solutions. There **was made an** analysis of financial legislation and policy imperfections, the natural or legal persons who are incompetent and of the wrong functioning results. Without improving it is impossible to stop the inflationary process. The Supply and Demand inflation aspect deals with the social, labor compensation, state funding for a variety of organizations, unreasonable double taxation and other issues.

Keywords: Inflation, Hyperinflation, Default, Inflationary spiral,” Ratchet” effect, double taxation, Dualism.

უცხოური ინვესტიციების როლი ერონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

მეგი ანანიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკური ზრდის თეორიული მოდელები მკაფიოდ აღნიშნავენ უცხოური ინვესტიციების დადებით გავლენას ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: ტექნოლოგიური პროგრესი, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, მწარმოებლურობის ზრდა და ა.შ

ქვეყანამ სწორად უნდა განსაზღვროს თავისი სტრატეგია ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, რადგან მხოლოდ მოკლევადიანი და მოგებაზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვა ვერ დაეხმარება ქვეყანას სიღრმისეული პრობლემების აღმოფხვრაში და მას მხოლოდ მცირე პერიოდში ექნება დადებითი ეფექტი.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა, სტრატეგიული როლი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, კვალიფიციური კადრები, მწარმოებლურობის ეფექტიანობა.

შესავალი

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მოსახლეობის ცხოვრების დონის, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. თითოეულმა ქვეყანამ საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების პროცესში უნდა გაითვალისწინოს თავისი ქვეყნის ინტერესები, უპირატესობები და ნაკლოვანებები და შესაბამისად შექმნას და განახორციელოს საინვესტიციო პოლიტიკა, რადგან ხშირად არასწორი მიმართულება ქვეყნის ეკონომიკას ზრდის

ნაცვლად უკან ხევს და აზიანებს მის ინტერესებს და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკას.

ძირითადი ტექსტი

ღია ეკონომიკის, გლობალიზაციის ფონზე უცხოური ინვესტიციები ძალიან დიდი როლს თამაშობენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. უცხოურ ინვესტიციებს გააჩნიათ მახასიათებლები, რომლებიც ეხმარებათ ამ მოვალეობის შესრულებაში. კერძოდ

1. წარმოების პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიები;
2. სტრატეგიული როლი;
3. კადრებისა და ბიზნეს პარტნიორების გადამზადება;
4. ურთიერთობა საერთაშორისო კომპანიებთან;
5. კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე;
6. გარე ეფექტები;
7. გვერდითი ეფექტები;

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. განვითარებული ქვეყნები ხასიათდებიან ტექნოლოგიების სწრაფი ცვლილებებით, ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონით და აღნიშნული ტექნოლოგიით მათი შესვლა განვითარებად ქვეყნებში იწვევს იმ ბარიერის დაძლევას, რაც გამოწვეულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური სხვაობით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ნაკლებად ფინანსდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რაც იწვევს ტექნოლოგიურ პროცესებში მათ ჩამორჩენას, ხოლო ინვესტიციების მეშვობით სწრაფად და მარტივად ხდება ამ პრობლემის გადაჭრა. უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყანა მოკლევადაში აღნიშნული ტექნოლოგიების მიღებით ქმნის ახალ პროდუქციას, ამცირებს მასზე გაწეულ ხარჯებს, ამით იზრდება ქვეყნის მწარმოებლურობა და ქვეყნის ეკონომიკა ღებულობს გაცილებით მეტ მოგებას. მიუხედავად აღნიშნულისა ტექნოლოგიური გადაცემის პროცესი საკმაოდ რთული პროცესია, ის არ არის საკმარისი ეროვნული ტექნოლოგიური

ბაზრის გარდასაქმნელად, ამაში დიდი როლი ეკისრება ქვეყნის პოლიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დატვირთვას და ადგილობრივი ფირმების ადაპტაციის უნარს, რომელიც მოითხოვს ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას არა მარტო უცხოური ინვესტორებისთვის, არამედ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის.

მნიშვნელოვანი საკითხია უცხოელ ინვესტორთა სტრატეგიული როლი, რომელიც განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომით არის ჩართული ის სტრატეგიის განხორციელებაში და რა ფორმით იყენებს დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას. ხშირად ზოგიერთ ინვესტორს უფრო დიდი შესაძლებლობა აქვს ხელი შეუწყოს ეროვნული ეკნომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ვიდრე დანარჩენებს, რადგან ერთ-ერთი სტრატეგიული როლი ამ პროცესში გააჩნია ე.წ მსოფლიო წარმოების მანდატს.

ცოდნა და გამოცდლება ინვესტორებისგან ეროვნულ ეკონომიკას გადაეცემა, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური სემინარ-ტრეინინგების და პროგრამების მეშვეობით. სემინარ-ტრეინინგები უზრუნველყოფენ წარმოების პროცესების, მენეჯერული უნარ-ჩვევებისა და ახალი ტექნოლოგიების შესწავლასა და გამოცდილების მიღებას. ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში განათლებული, სპეციალიზებული, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები, უცხოური ინვესტიციები ამ მხრივაც ეხმარება ეროვნულ ეკონომიკას და თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს მიმღები ქვეყნის სამუშაო ძალას, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გაზრდას.

ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობებზე ასევე გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ადგილობრივი და უცხოური კომპანიების ურთიერთობები და ამ პროცესში წარმოშობილი კონკურენტული უპირატესობა. მას მიეკუთვნება საერთაშო-

რისო მასშტაბის არსებობა და უპირატესობა, რომელიც მიიღება კონკრეტული ადგილმდებარეობის ქვეყანაში საქმიანობით. მისი რეალიზება კი განაპირობებს რესურსების ეფექტური ნაკადების მოძრაობას კომპანიებს შორის.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებით ადგილობრივ ბაზარზე არსებული კომპანიები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ მათ, რაც თავის მხრივ ადგილობრივი ბიზნესის გააქტიურებას იწყებს. თუ ინვესტორ კომპანიებსა და ადგილობრივ კომპანიებს შორის ტექნოლოგიური ხარისხი ძალიან დიდად განსხვავებულია და ფასიც შესაბამისი, დროთა განმავლობაში ადგილობრივი ბიზნესი ნელ ნელა დაიწყებს ბაზრიდან გასვლას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მათ შორის მცირე სხვაობაა, ეს აიძულებს ადგილობრივ ბიზნესს დაეწიოს ტენოლოგიურად და ამასთანავე დასწიოს ფასები და გააუმჯობესოს ხარისხი.

ხშირად საერთაშორისო კომპანიები, როდესაც გავლენას ვერ ახდენენ ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობაზე, ისინი მიმართავენ ისეთ ხერხს, როგორიცაა გარე ეფექტები. გარე ეფექტებია ახალი იდეები, თანამედროვე მიდგომები მენეჯმენტში და ტექნოლოგიების გავრცელება, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობაზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შუალედური პროდუქციის წარმოება უცხოური კომპანიების მიერ, რომელიც ეხმარება ადგილობრივ ბიზნესს განავითაროს თავისი წარმოება, გაზარდოს მწარმოებლურობა და ამასთან ადგილობრივი ეკონომიკა.

სახელმწიფო არის ის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ეკონომიკის დონის ამაღლება. ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დააფინანსოს სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოები, რადგან ისინი დიდ დანახარჯებს მოითხოვენ, ამასთან ქვეყანა ორიენტირებული უნდა იყოს თავის ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციით. სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და გამოცდილება

არის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქვეყანაში მწარმოებლურობის, ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც, თავის მხრივ ,უზრუნველყუფს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ყველა რესურსი, მოიძიოს დაფინანსების წყაროები და საშუალებები, რათა თავის ქვეყანაში განავითაროს ის დარგები რომლებიც მნიშვნელოვანია მისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა და ა.შ. მზად არიან დახმარება გაუწიონ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და კონკურენციის ზრდის პროგრამების დახმარებით. აღნიშნულ ორგანიზაციებს და მათ პროგრამებს დიდი როლი აკისრიათ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, მათ შესძლეს შეეტანათ ახალი ტექნიკა, ტექნოლოგიების მენეჯმენტის გამოცდილება, შრომის ძალის გადამზადების გზით კონკურენტუნარიანი გახადეს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა და ა.შ.

საქართველოს აქვს ძალიან დიდი რესურსი მისი კონკურენტუნარიანობის წარმოსაჩენად: ის რომ ტერიტორიულად საკმაოდ მომგებიანი განლაგება გააჩნია, ის არის დამაკავშირებელი ევროპასა და აზიას შორის, რაც მას დიდი უპირატესობას ანიჭებს და სწორედ უნდა იქნეს გამოყენებული. ასევე საკმაოდ კარგი მაჩვენებლები გვაქვს საქართველოში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოგონების სახით, აუცილებელია ამ გამოგონებების დაცვა მისი ლიცენზირება და პრაქტიკაში დანერგვა. განათლების კუთხით სახელმწიფო საშუალებას აძლევს მოსახლეობას გადამზადდეს სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, ამისთვის უნდა მოხდეს შრომითი ბაზრის შესწავლა და იმ დარგების მიხედვით კადრების გადამზადება, რისი მაღალი მოთხოვნაცაა შრომის ბაზარზე.

მიუხედავად ამისა ქვეყანაში დიდ პრობლემად რჩება შრომის დაბალი პროფესიონალიზმი. ქვეყანაში არის უმუშევრომის

მაღალი დონე, მაგრამ ამასთანავე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების დეფიციტი. პირველი, რაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, არის თავისი მოსახლეობის გადამზადება და ახალი თაობებისთვის ისეთი სასწავლო პროგრამების შედგენა რომელიც ქვეყანას გამოიყვანს აღნიშნული კრიზისიდან.

ცხრილში მოცემულია საართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2005-2016 წლების მიხედვით,საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო 3 წელია ნაკადები შემცირებულია.

ცხრილი

მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	**449.8**	89.4	105.9	75.6	178.9
2006	**1 190.4**	146.0	306.9	280.7	456.7
2007	**2 014.8**	421.4	401.5	489.1	702.9
2008	**1 564.0**	537.7	605.4	134.7	286.2
2009	**658.4**	114.0	177.2	173.2	194.0
2010	**814.5**	166.5	208.3	225.6	214.1
2011	**1 117.2**	209.7	248.3	316.6	342.6
2012	**911.6**	261.2	217.7	199.0	233.7
2013	**941.9**	252.3	207.9	254.8	226.9
2014	**1 758.4**	309.5	196.2	726.0	526.7
2015	**1 564.5**	291.5	462.7	483.2	327.1
2016*	**1298.4**	389.1	446.0	463.3	

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ რომელ სექტორებშია ძირითადად თავმოყრილი აღნიშნული ინვესტიციები **(იხ. ნახ.)**

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წლის III კვარტალში (%)



როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს, ინვესტიციების დიდი ნაწილი ტექნიკურ სფეროებზე მოდის, სფეროებზე სადაც საქართველოს ნაკლები გამოცდილება და მცირეოდენი კვალიფიციური სამუშაო ძალა გააჩნია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სეგმენტებით მოხდეს კადრების გადამზადება. კერძოდ მომზადდეს ინჟინრები, მშენებლები, არქიტექტორები, ენერგეტიკოსები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სპეციალისტები და ა.შ.

მისასალმებელია, რომ ქვეყანაში ტურისტული ბიზნესის

ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა ამ სფეროში დასასაქმებელ კადრებზე და სახელმწიფო უფასო პროგრამების მეშვეობით ახდენს მოსახლეობის გადამზადებას ამ სფეროში, რაც საკმაოდ წარმატებულია. ტურიზმის დარგის თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლება, კვალიფიციური კადრების მომზადება ტურიზმის სფეროსთვის სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში (სწავლება, კვლევა და პრაქტიკული საქმიანობა) კიდევ უფრო დააჩქარებს ტურიზმის სისტემის განვითარებას.

ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა მაღალი კონკურენციის პირობებში შესძლოს ინვესტიციების დიდი რაოდენობით მოზიდვა, ადგილობრივი ბიზნესის მაქსიმალურად წახალისება და ეროვნული ეკონომიკის ზრდა. საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის გზა მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებში როდია, მომავალში განსაკუთრებული როლი შიდა ინვესტიციების მოზიდვას მიენიჭება, რომლის მნიშვნელობა კიდევ და კიდევ უფრო გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ.კვარაცხელია გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონალური ინტეგრაციის კვლევის ცენტრი ,გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბილისი, 2008 წ.

2. თ. შენგელია. საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში, კრებული, ინოვაციები ბიზნესში, 2010 წ.

3. თ. შენგელია. ინსტიტუციური რეფორმები და ბიზნესგარემო საქართველოში .ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4 ,თბილისი, 2008 წ.

4. www.mof.gov.ge

6. www.geostat.ge

THE ROLE OF FOREIGN INVESTMENTS IN INCREASING THE COMPETITIVENESS OF THE NATIONAL ECONOMY

Megi Ananidze,
PHD Student , GTU

RESUME

For developing countries foreign investment is very important, as they do not have enough resources to make their economics more effective and competitive. Foreign investment are helping them to update technology, making trainings for employees and increasing their qualifications. Georgia should be oriented on how it can attract the foreign investments, because without them it is difficult for our country to increase its economy.

Keywords: Developing countries, competitiveness, foreign investment attraction and increase.

სახელმწიფოს როლი საინოვაციო-საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაში

შორენა მჟავანაძე
სტუ, დოქტორანტი

რევაზ შენგელია
მეცნიერ ხელმძღვანელი,ემდ,
სტუ, პროფესორი

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიურ-ინოვაციური პროცესები ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის განვითარებასთან. გლობალური ეკონომიკის უახლესი ტენდენციები და მზარდი მოთხოვნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელს ხდის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას.

მნიშვნელოვანია მსოფლიოში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კოპრორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს და თავიანთი სიძლიერე ინოვაციებში რადიკალური ინვესტიციების საფუძველზე მოიპოვეს. ამის ნათელი მაგალითია: იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს და სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წარმატებული კომპანიები, ამიტომ ინოვაციების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა.

იქიდან გამომდინარე, რომ ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის საქართველოს არ გააჩნია საკმარისი შიდა ფინანსური რესურსი, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა ინვესტიციების მოძიებისას

მნიშვნელოვანია ინვესტორთა ლუსტრირება, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების ეფექტურ იარაღს წარმოადგენს, რითაც თავისთავად იზრდება ეკონომიკური უსაფრთხოების რისკი. ასევე აუცილებელია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული იქნას საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის რეგულირების მექანიზმები , რითაც მოხდება საქართველოს, როგორც ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შესავალი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური წინსვლისა და ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ინოვაციურ განვითარებაზე აქცენტის გადატანა და შესაბამისი სისტემის ფორმირების ხელშეწყობა, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ, ლოკალურ თუ დარგობრივ ჭრილში.

2014 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მიერ გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით ინოვაციების თვალსაზრისით საქართველო 144 ქვეყნიდან 121-ე ადგილზეა, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება საქ ართველოსათვის აქტუალურია.

სწორედ ამ, და ქვეყნისათვის სხვა აქტუალურ საკითხებზეა ნაშრომში საუბარი. კერძოდ, თემაში განხილულია თუ რა დატვირთვა აქვს საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ინოვაციურ მიდგომებს დაეფუძნოს, ასევე მოზიდულ იქნას ინვესტიციური რესურსები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად და ასამოქმედებლად. პრობლემის კვლევის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გავერკვეთ თუ რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ და როგორ გაატაროს სწორი საინოვაციო-საინვესტიციო პოლიტიკა, თუ როგორ უნდა შეიქმნას მიმზიდველი საინ-

ვესტიციო გარემო და რატომ არის აუცილებელი ბალანსის დაცვა შიდა და უცხოურ ინვესტიციებს შორის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის, ვინაიდან მათ მოგვარებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ქმედითუნარიანი და მოქნილი იქნება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად დააკმაყოფილებს ბიზნესის გავნითარებისათვის საჭირო სტანდარტებს, და ბოლოს, როგორ შეძლებს განახლებული სისტემის მორგებას ევროკავშირის სისტემასთან, რომელთან ინტეგრირებაც, სხვა მრავალი სფეროს ინტეგრაციის კვალდაკვალ, ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, ინვესტიცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ადგილობრივი-შიდა ინვესტიციები, საინვესტიციო და საინოვაციო გარემო (კლიმატი), ეკონომიკური ზრდა.

ძირითადი ტექსტი:

ოცდამეერთე საუკუნემ ნათლად დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული დონე და დინამიზმი ქმნის ეკონომიკური ზრდის მყარ ბაზას, ვინაიდან ინოვაციები ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ინოვაციების გარეშე.

ქვეყნისთვის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან მისი წარმატებით განხორციელება განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების ფართო სპექტრის გადაწყვეტას, და რაც მთავარია, ის ქმედითი საშუალებაა, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

Aსაქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის და ევროინტეგრაციისათვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი, რაც დასტურდება სხვა ქვეყნების გამოც-

დილებით. ევროპაში ეკონომიკური ზრდა , სოციალური პრობ-ლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონის ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. თვითგანვითარებისა და პრო-გრესისადმი სწრაფვის უნარის შენარჩუნება და მაღალ ხარისხში აყვანა საჭიროებს ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

თანამედროვე მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნების სწრაფი ეკო-ნომიკური და მაღალი ტექნოლოგიური გავნითარების ფონზე საქართველოს ჩამორჩენა საინოვაციო კუთხით მკვეთრად იკვეთება, ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან სწრაფად ხდება ინოვაციების შემოღება-დანერგა, რასაც ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს, რადგან ქვეყანაში არ არსებობს საინოვაციო კლიმატი.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 19 თებერვალს საქართ-ველოში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენ-ტო, დღეისათვის საქართველოში ინოვაციური კლიმატი მაინც არასახარბიელოა. ფაქტიურად არ არსებობს ერთიანი ინოვაცი-ური სახელმწიფო პოლიტიკა, სუსტია ინოვაციური ინფრასტრუქ-ტურა, შეზღუდულია ინოვაციის ბაზარი და ამ პროცესების მართ-ვის ნორმალური ეკონომიკური სტიმულირების საშუალება.

საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის გატარება შეუძლე-ბელია ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციური ცენტრების, ლაბ-ორატორიებისა და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის გარეშე.

ტექნოლოგიების საუკუნედ წოდებულ თანამედროვე დრო-ში და დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს (მდგრადობას) ეფექტური ინო-ვაციური პოლიტიკის გატარება განაპირობებს, რაც თავის მხრივ მოიაზრებს ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნვე-ლყოფის თანამედროვე სისტემების არსებობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. ინოვაციური პროექტების დაგეგმვა და

ინოვაციის დანერგვა კი თავის მხრივ დაკავშირებულია დიდ ინვესტიციებთან, ამიტომ ინოვაციურ პროცესებში მარკეტინგთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა. სათანადო მოცულობით ინვესტიციების გამოყოფის გარეშე ყოველგვარი ინოვაციური იდეა რაოდენ შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს იგი, განუხორციელებელ ოცნებად დარჩება.

ინოვაციებში ჩადებული ინვესტიციის ძირითადი მახასიათებელი რისკისა და შემოსავლის შეფარდება ხდება. რისკი ერთმნიშვნელოვნად მაღალია. რაც შეეხება შემოსავლიანობას, ინოვაციის დანერგვას შეუძლია დიდი მოგების მოტანა, მაგრამ საწყის ეტაპზე საჭიროა დიდი ინვესტიციები, ხოლო მოგების მიღება შეიძლება დროში გაიწელოს. სწორედ ამიტომ ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ინვესტიციები ინოვაციებში უაღრესად აქტუალური პრობლემაა, ამიტომაც ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში უმეტესად სახელმწიფო უნდა ასრულებდეს მთავარ როლს. იგი თავად უნდა გვევლინებოდეს უმსხვილეს ინვესტორად ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ხდებოდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება. მაგ: განათლება, თავდაცვა, ენერგეტიკა, მედიცინა, ეკოლოგია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია საკუთარი წარმოების აღორძინება, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეს შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. სამწუხაროდ ამჟამად საქართველოსაც არ აქვს იმის ფუფუნება, რომ უცხოური კაპიტალის გარეშე უზრუნველყოს ეკონომიკის წინსვლა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. ინვესტიციები ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას. წაახალისებს როგორც ახალ ისე კრიზისში მყოფ საწარმოებს, უზრუნველყოფს

ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას.

ეკონომიკის საბაზრო სისტემის, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციებს, რაციონალურ საინვესტიციო გარემოს და შესაბამისად ინვესტიციურ აქტიურობას არსებითი როლის შესრულება შეუძლია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. რაც შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას. ეს ყველაფერი კი ნელ-ნელა თავის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თითქმის ყველა მთავრობის მთავარი სამოქმედო გეგმის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად სახელდება, თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა სახელმწიფოს მიერ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და შესაბამისად ქვეყნისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს ფრთხილი საინვესტიციო პოლიტიკა, ვინაიდან საინვესტიციო უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. ფაქტია, რომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უფრო და უფრო რთულდება. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემუშავებული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რათა ქვეყანამ თავიდან აიცილოს ან შეარბილოს გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოური ინვესტიციები უაღრესად

დადებით ზეგავლენას ახდენენ რეციფიენტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა ინვესტირებისას უარყოფით შედეგებსაც ექნება ადგილი, მაგრამ მთავარია იგი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემის დახმარებით შევამციროთ და მაქსიმალურად გავზარდოთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ეკონომიკური უსაფრთხოების რისკის დონის გაზრდის გარეშე.

ასევე აუცილებელია ქვეყანამ დაიცვას ის აუცილებელი ზღვარი, რომელიც გადის უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხაზზე. საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ უცხოელი ინვესტორ კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ ქვეყანაში, სადაც შიდა ინვესტიციური პრაქტიკა მოშლილია. გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციური კრიზისის დაძლევის კატალიზატორად შეიძლება მივიჩნიოთ შიდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, გამოცოცხლება.

მართალია, ნებისმიერი ქვეყნისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ, ამავდროულად, არ უნდა შეილახოს ეროვნული ინტერესები, ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს , როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივი შიდა ინვესტიციების მოზიდვას.

საინვესტიციო გარემო ხელსაყრელი უნდა იყოს არამარტო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, არამედ, შიდა კერძო ინვესტიციებისათვისაც. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ორივე მხარის უფლებების დაცვა და ორივე მათგანისთვის საუკეთესო ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური კეთილდღეობა ვერ იქნება მიღწეული მხოლოდ საზღვარგარეთიდან დაბანდებული თანხებით. თანაც არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან სტრატეგიული ინვესტირებით. სტრატეგიული ინვესტორები კი მოითხოვენ აბსოლიტურ კონტროლს საქმიანობაზე და აპირებენ ხანგრძლივი დროით დამკვიდრებას მოცემულ ქვეყანაში. ეს კი საფრთხეს უქმნის ქვეყ-

ნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სტრატეგიული ინვესტორების არსებობა საქართველოში კიდევ უფრო ნაკლებ გასაქანს მისცემს ადგილობრივ მეწარმეებს და ისინი ვეღარ შეძლებენ იყვნენ კონკურენტუნარიანი როგორც შიდა ბაზარზე, ასევე მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა შეძლოს უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის იმ ბალანსის შენარჩუნება, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. მას კი განაპირობებს სწორად შექმნილი და მუდმივად კონტროლირებადი საინვესტიციო გარემო, რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს როგორც ქვეყნის პოტენციალთან, ასევე გარე ფაქტორებთან.

საქართველოში არსებული საინვესტიციო რესურსების შეზღუდულობის პირობებში აუცილებებია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევაც. პრიორიტეტული მიმართილების შერჩევა კი სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა. რასაკვირველია პრიორიტეტი იმ დარგებმა უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ და იმ საწარმოებმაც, რომლებსაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუცილებელია ინვესტირება ინოვაციებში , ვინაიდან სწორი ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია. მსოფლიო ბანკის 2013 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის — "ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში" თანახმად, კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებდნენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები.

ასევე არსებობს ინოვაციებში ინვესტირების ზღვარის განსაზღვრის აუცილებლობა, იმ მიზეზით, რომ ინოვაციებში საფუძვლიანი კვლევის გარეშე ინვესტირებისას შეიძლება გაიზარდოს ეკონომიკური უსაფრთხოების რისკის დონე ინოვაციის და ინვესტიციების უარყოფითი მხარეების გადაჭარდებული დოზით გამოვლენის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშ-

ვნელოვანია ინოვაციების და ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება სექტორულ დონეზე, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა მაჩვენებლის თანაფარდობა და ნორმირებულად, ინოვაციის საჭიროების შესაბამისად, მიზნობრივად მოხდეს ინოვაციის დაფინანსება.

დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ თემის აქტუალურობა გამომდინარეობს საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური ვითარებიდან. კერძოდ, საქართველო დღესდღეობით არის თითქმის კრიზისულ სიტუაციაში, ამიტომ საჭიროა სწრაფი და მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება ინვესტიციების მოსაზიდად, განსაკუთრებით ინოვაციურ საქმიანობაში, რადგან სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს სწორედ ის საწარმოები აღწევენ წარმატებას, სადაც ინოვაციური საქმიანობა და ახალი პროდუქტის დანერგვა მართვის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. დღესდღეობით საქართველოში შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში , კომპანიათა უმრავლესობა ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად და ნაკლებად აქვს შესაძლებლობა , რომ გამოიყენოს ისინი ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის. ქართული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს სიახლე შესთავაზოს მომხმარებლებს, დახვეწოს და გააუმჯობესოს არსებული პროდუქცია. სწორედ ამიტომ გახდა ჩვენი ქვეყნისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვაA პრიორიტეტული ინოვაციური განვითარების კუთხით. ნათელია ის ფაქტი, რომ ღია ეკონომიკის პირობებსა და გლობალიზაციის ფონზე უცხოური ინვესტიციები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რაც ძირითადად წარმატებული ინოვაციური პოლიტიკის გატარებით მიიღწევა.

ინოვაციური პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერას, რაც შემდგომში განაპირო-

ბებს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას და კონკურენ-ტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. განათლების სისტემისა და მეცნიერული კვლევების ბიზნესთან კოორდინაციით შესაძლებელია ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირება ბიზნეს საქმიანობაში. აღნიშნული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში ეროვნული ეკონომიკის უპირატესობის უზრუნველყოფას. იმისათვის, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს მივაღწიოთ აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერა. შახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რათა ქვეყანაში შეიქმნას შესაფერისი გარემო ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად.

მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოვლისმომცველი ხდება, საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო-საინოვაციო საქმიანობის გააქტიურებისთვის, ვინაიდან ინვესტიციების დაბალი დონე, ინვესტიციურ-ინიოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირების არ არსებობა შეიძლება მივაკუთვნოთ რეგიონის ეკონომიკის უსაფრთხოების განვითარების მაღალი ხარისხის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბესიკ ალადაშვილი - ეკონომიკური უსაფრთხოება (თბილისი 2011 წ);

2. ა. აბრალავა- ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები (თბილისი- 2014წ);

3. რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, ნათია შენგელია - ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში (თბილისი- 2013 წ);

4. ლეო ჩიქავა — ინოვაციური ეკონომიკა (თბილისი-2006 წ);

5. ჟურნალი "ეკონომიკა"- 2016 წ - №5-6 (გვ. 16-28);

6. ჟურნალი "ბიზნეს-ინჟინირინგი"- 2016 წ -№4 (გვ. 91-95);

7. http://www.economy.ge

8. http://www.investingeorgia.org
9. http://www.internet.ge
10. http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba
11. http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita

REFERENCES:

1. Besik Aladashvili – Economic safety (Tbilisi- 2011 y);
2. A. Abralava- The Innovative Global Problems of Economy and Business (Tbilisi- 2014 y);
3. Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri, Natia Shengelia- Investments and their role in transforming the economic development of the country (Tbilisi-2013 y);
4. Leo Chiqava - Innovative Economy (Tbilisi – 2006 y);
5. Journal "Economics" -2016 y –N-5-6 (pg. 16-28) (In Georgian Language);
6. Journal " business engineering " -2016 y –N-4 (pg. 91-95) (In Georgian Language);
7. http://www.economy.ge
8. http://www.investingeorgia.org
9. http://www.internet.ge
10. http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba
11. http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita

THE STATE'S ROLE IN INTENSIFYING THE INNOVATIVE-INVESTMENT ACTIVITY

Shorena Mzhavanadze
PHD student, Georgian Technical University,
Revaz Shengelia,
PhD, Professor of GTU

RESUME

The social-economic and innovative technological process show that any country's economic competitiveness is proportionally related to the development of the innovative economy. The newest tendencies and increasing demands of the global economy makes essential to increase the role of innovations for economic growth of our country.

It is important to make logical conclusions based on examples of developing countries. Most famous corporations who reached the top and broad scope of the development did that by investing in innovations and achieved the strength with radical innovative investment. The examples are companies from Japan, Germany, USA and developed countries; that is why important part in structure of the innovations became the investment component.

Moreover, given Georgia's scarce financial resources for innovations, international investments are very important to us. However, while searching for investment, investors must be lustrated. Foreign investment is the important weapon of economic and political conquest, and thus increases the risk of economic safety. Furthermore, the government must have the regulation mechanism for optimal local / foreign investment ratio to ensure economic safety of Georgia, as a country of investment recipient.

Keywords: Innovation, innovation policy, Investment, Economic safety, foreign direct investment, Local Investments, Investment and innovation environment (climate), Economic Growth.

საქართველოს საბანკო სისტემის გაჯანსაღების გზები

მარიამ ხაჩიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ქართული საბანკო სისტემა ერთ -ერთი კარგად განვითარებული ფინანსური ინსტიტუტია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ის საფინანსო ბაზრის 93%-ს მოიცავს და ქართულ რეალობაში ძირათადად წარმოდგენილია უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვანი თანამონაწილეობით.

მომატებული კონკურენციის პირობებში გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების გამართული ფუნქციონირებისათვის.

დღეს, როდესაც საფინანსო სექტორი მჭიდრო კავშირშია თითოეულ მოქალაქესთან, ბიზნესთან და, საბოლოო ჯამში, ძლიერი ეკონომიკის ფორმირებასთან, გასაგები ხდება რამდენად მნიშვნელოვანია მოდერნიზებული საბანკო სისტემის არსებობა ქვეყნისათვის. მითუმეტეს პატარა ქვეყნის პირობებში, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და აქვს ძლიერი დაფინანსების წყაროების გამოყენების შესაძლებლობა, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული უმთავრესი ფუნქციები: მოახდინოს ეკონომიკის დაკრედიტება, აგრო და ბიზნეს სექტორების დაფინანსება, საფინანსო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, დეპოზიტების მოზიდვა და ფიზიკური პირების ჭრილში - სამომხმარებლო თუ იპოთეკური დაკრედიტება.

შესავალი

საფინანსო სექტორი საქართველოში ერთ -ერთი ყველაზე ფართოდ განვითარებული და მზარდი სეგმენტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბანკო სექტორის განვითარება, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში განვითარებული სტრუქტურითა და პორტფელითაა წარმოდგენილი. მიუხედავად საბანკო სისტემის მასშტაბურობისა, რომელიც საფინანსო ბაზრის 93 %-ს[1] მოიცავს, ნაკლებ განვითარებულია ქვეყანაში საკრედიტო -სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკრო -საფინანსო ორგანიზაციების, სალიზინგო კომპანიებისა და საფონდო ბირჟების მიმართულება. მიუხედავად 492 მილიონიანი პორტფელისა, ასევე ნაკლებ განვითარებულია სადაზღვეო სეგმენტი, რომელიც ძირითადად კომერციული ბანკების შემადგენლობაში ფუნქციონირებს და დამოუკიდებელი სახით ნაკლებად ოპერირებს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია **საბანკო სისტემის მოდერნიზაციისათვის** აუცილებელი ზოგიერთი მიმართულება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების გამართული ფუნქციონირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა; დოლარიზაცია; საკრედიტო პორტფელი; საბანკო სისტემის მოდერნიზაცია;

ძირითადი ტექსტი

ქართული საბანკო სისტემის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც დამოუკიდებელი საფინანსო ინსტიტუცია და ხელმძღვანელობს ბაზელ II-ის საბანკო რეგულაციის პრინციპით. რამდენადაც ეროვნული ბანკის მოთხოვნები მკაცრია კომერციული ბაკების მიმართ, განსაკუთრებით კაპიტალის ადექვატურობის მხრივ, იმდენად მსუბუქია რეგულირების ნორმები საფინანსო სექტორის სხვა დანარჩენ მონაწილეებთან მიმართებაში. რეგულაცია ეხება სალომბარდო მიმართულებას, მეტ - ნაკლებად მიკრო საფინანსო და საკრედიტო - სა-

1 Frankfurt School of Finance & Management Bankakademie. 2015y.

დეპოზიტო დაწესებულებებს, თუმც ნაკლებად ზღუდავს მათ დეპოზიტების აღების და არაუზრუნველყოფილი კრედიტების გაცემის კუთხით. ამ მხრივ ბანკებზე დაწესებული რეგულაციები მეტად მკაცრია. მაგალითად, კომერციული ბანკები საერთო პორტფელის 25 % - ზე მეტს ვერ გასცემენ არაუზრუნველყოფილი კრედიტების სახით.

ქართულ საბანკო სექტორში განსაკუთრებით მაღალია უცხოური კაპიტალის მოცულობა. ეს ეხება როგორც წამყვან ბანკებს, ისე საფინანსო ბაზარზე მყოფ შედარებით მცირე მოცულობის ბანკებს, რომელთა აქტივების მოცულობა მთლიანი საბანკო პორტფელის მხოლოდ 5%-7% -ს მოიცავს. მაგალითად: თუ ქვეყნის უდიდესი კომერციული ბანკების: „საქართველოს ბანკის“ და „თი ბი სი ბანკის“ აქტივების მოცულობა 36% და 25 %-ია მთლიან პორტფელში, ლიბერთი ბანკი (7%), პროკრედიტი (6%), ბანკი რესპუბლიკა (6%) და ვითიბი საქართველო (5%) წილობრივი მონაცემებით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი.

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით, რომელიც ზომავს საფინანსო ბაზრებზე აქტივების კონცენტრაციას, 2013 წელს მინიჭებული ნუმერაცია იყო - 2067 - საბანკო აქტივებისათვის, 1994 - სესხებისათვის და 1914 - სავაჭრო დეპოზიტებისათვის, რაც მიუთითებს ყველა სეგმენტში მაღალი კონცენტრაციის მქონე ბაზრის არსებობას .[1] მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია მინიჭებული ციფრობრივი მაჩვენებლი, მეტად მონოპოლიზირებულია ფინანსური ინსტიტუტი **(იხ. დიაგრამა).**

აღნიშნული დიაგრამიდანაც ნათლად ჩანს საკრედიტო - სადეპოზიტო პორტფელის მაღალი კონცენტრაცია ორ კომერციულ ბანკში, რაც, ერთი მხრივ, ძალიან ცუდია. გარდა იმისა, რომ წესით ისინი უნდა ასრულებდნენ ძირითად როლს ეკონომიკის დაკრედიტებაში, მათ პორტფელებში თავმოყრილია ყველაზე

1 ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, წარმოადგენს ყველა ბაზრის მონაწილის კვადრატული საბაზრო წილის ჯამს. 1800 ზემოთ არსებული ინდექსი, ჩვეულებისამებრ განიხილება როგორც მაღალი საბაზრო კონვენტრაციის მაჩვენებელი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიდი ოდენობით დანაზოგები, რაც პრობლემური სიტუაციის ან არასწორი გათვლებით ოპერირების შემთხვევაში მკვეთრად უარყოფითი ეფექტის მომტანი იქნება მოსახლეობისათვის.

2009 წელს განხორციელებული თიბისი ბანკის რეკაპიტალიზაციისას, როდესაც EBRD გახდა აქციონერი (20%), IFC-იმ გაზარდა მისი აქციების ოდენობა 12% დან 20%-მდე. აღნიშნულის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციები გახდნენ ბანკის 57% მფლობელები[1] . ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ბანკმა და თიბისიმ მიიღეს, გასულ წლებში საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი დაფინანსების (აქციებისა და ვალის) უდიდესი ნაწილი (68%)[2] . 2014 წელს, ხუთი ბანკისათვის განკუთვნილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სესხების 69% კონცენტრირებული იყო საქართველოს ბანკსა და თი ბი სი -ში. [3]

1 2014 წელს თიბისის აქციები გატანილ იქნა ლონდონის საფონდო ბირჟაზე და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წილი გაიყიდა ახლად გამოშვებულ აქციებთან ერთად. საქართველოს ბანკი იმყოფება საქართველოს ბანკის ჰოლდინგის მფლობელობაში, რომელიც ასევე ირიცხება ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

2 გამოთვლები ეფუძნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ მათ ვებ გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას

3 Frankfurt School of Finance & Management Bankakademie. 2015y.

	სესხები სსი-დან	სესხის სრული პორტფოლიო	სრული აქტივები	სსი-ს სესხების წილი 5 უმსხვილეს ბანკს შორის	წილი სრულ საბანკო აქტივებში
BoG	714	4332 (16%)	7579 (9%)	36.3%	35.9%
TBC	640	3556 (18%)	5423 (12%)	32.5%	24.5%
Liberty Bank	16	692 (2%)	1578 (1%)	0.8%	7.1%
Bank Republic	280	875 (32%)	1210 (23%)	14.2%	5.9%
ProCredit	318	740 (43%)	1078 (29%)	16.2%	5.7%

წყარო: წლიური კოლსოლიდირებული ფინანსური განაცხადები. (თანხები მოცემულია მილიონ ლარებში)[1]

მომატებული კონკურენციის პირობებში საბანკო სექტორში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: თი ბი სი ბანკი გახდა ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკის - „ბანკი რესპუბლიკა“-ს საკონტროლო პაკეტის მფლობელი, რომელიც ფრანგული „სოსიეტე ჟენერალის“ გუნდის წევრია. აღნიშნული შერწყმის შედეგად ისედაც მძაფრი კონკურენციის გათვალისწინებით, კიდევ უფრო შემცირდა საბანკო სექტორში შემავალი ბანკების რიცხვი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქართულ ბანკებთან მიმართებაში საწესდებო კაპიტალის საკმარისობის საკითხი. მიუხედავად 2005 წლის შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, და თითქმის 7,5 - ჯერ გაზრდილი მაჩვენებლისა, ომმა და გლობალურმა კრიზისმა უარყოფითი შედეგი მოუტანა კომერციულ ბანკებს. მიუხედავად მინიმალური მოთხოვნისა, რომელსაც კაპიტალის ქონის კუთხით აწესებს ეროვნული ბანკი და ის 12 %-იან ნიშნულს ითვალისწინებს, საქართველოში მოქმედი საბანკო სექტორის ერთ-ერთი მიზანი

1 Frankfurt School of Finance & Management Bankakademie. 2015y.

უნდა გახდეს კაპიტალის ადექვატურობის პრობლემის მოგვარება. განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც უცხოელი კრედიტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ქვეყანას მუდმივი ფინანსური ხელშეწყობა აქვს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დადგა დღის წესრიგში, რამაც არსებითი გავლენა იქონია კომერციული ბანკების პორტფელის მდგომარეობის გაუარესებაზე და გაზარდა უმოქმედო სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში. ეს იყო ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების 60 %-ზე მეტი გაცემული იყო უცხოურ ვალუტაში - მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი დოლარში. კურსის ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა ცხადია გადახდისუნარიანობაზე და გაუარესდა პორტფელის ხარისხი. ეს პროცესი მტკივნეული გახდა ასევე იმ მიზეზის გამო, რომ გადახდისუნარიან მოქალაქეებს შემოსავალი ჰქონდათ ეროვნულ ვალუტაში, ხოლო კრედიტები დოლარში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამუშაო დოკუმენტში „როგორ განხორციელდეს ფინანსური სისტემების დედოლარიზაცია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“ ვკითხულობთ: „ემპირიული შედეგები ცხადყოფს, რომ მერყევი ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება, ასიმეტრიული გაცვლითი კურსის პოლიტიკა და დაბალი ფინანსური სიღრმე განაპირობებს ფინანსურ დოლარიზაციას კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ასიმეტრული გაცვლითი კურსის პოლიტიკა ამცირებს რწმენას ადგილობრივ ფულად ერთეულში და იწვევს უცხოურ ვალუტაში გამოსახული დეპოზიტების მატებას. გაცვლითი კურსის პოლიტიკის ასიმეტრიული ბუნება კავკასიისა და ცენტრალური აზიის რამდენიმე ქვეყანაში, სადაც ცენტრალური ბანკი უშვებს ვალუტის გაუფასურებას, მაგრამ კაპიტალის კონტროლის ან/და სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების გზით წინ უდგება ადგილობრივი ვალუტის აფასებას, უბიძგებს მეანაბრეებს უცხოურ ვალუტაში ანაბრების გაკეთებისკენ, რათა შენარჩუნდეს მათი მსყიდველუნარიანობა. ეს არის კავკასიისა

და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების კიდევ ერთი უნიკალური შედეგი; ემპირიული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში დოლარიზაციის რამდენიმე საერთო მიზეზი არსებობს. ესენია: ხშირი გაუფასურება, გაცვლითი კურსის მაღლი რყევები, რაც განაპირობებს უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ანაბრებს, ხოლო მაღალი ინფლაცია ზრდის უცხოურ ვალუტაში გამოსახული საბანკო სესხების წილს. ორივე ფაქტორი - უცხოურ ვალუტაში გამოსახული ანაბრები და სესხები - დროში განგრძობადი ნიშნით ხასიათდება და თან სუსტი ფინანსური სისტემები ამძიმებს ფინანსურ დოლარიზაციას.

სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ინფლაციის რყევები კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ზრდის უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ანაბრებსაც და სესხებს, ხოლო მაღალი ინფლაცია - როგორც ასეთი - მხოლოდ უცხოულ ვალუტაში გამოსახულ სესხებზე ახდენს გავლენას. ასევე, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ანაბრების დიდი წილი ბანკებს უბიძგებს ადგილობრივი მსესხებლების უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებისკენ, რათა მათ საბალანსო უწყისის შესატყვისი პოზიციები შეინარჩუნონ.“[1]

საბანკო სისტემის მოდერნიზაციისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ჯანსაღი - კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კონკურენტუნარიან გარემოში თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც ასევე გულისხმობს სანდოობის ინდექსის ამაღლებასა და ინფორმაციის ტრანსფარენტულობას.

საქართველოს საფინანსო ბაზარს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ქვეყნის მასშტაბით ოპერირებს რამოდენიმე ძლიერი კომერციული ბანკი და 80- მდე მიკრო-საფინანსო თუ საკრედიტო დაწესებულება, რომლებიც კონკურენციას ცხადია ვერ

1 IMF. „როგორ განხორციელდეს ფინანსური სისტემების დედოლარიზაცია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში?“ ავტ: სამი ბენ ნასირი, ამრ ჰოსნი, გრეგორი ჰაჯიანი. 2015წ.

უწევს ძლიერ ბანკებს. ეს კი იწვევს მაღალ საპროცენტო განაკვეთებს კრედიტებზე ხოლო დაბალ საპროცენტო სარგებელს ანაბრებზე.

ყველა ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით, როდესაც საფინანსო სექტორი მჭიდრო კავშირშია თითოეულ მოქალაქესთან, ბიზნესთან და საბოლოო ჯამში ძლიერი ეკონომიკის ფორმირებასთან, გასაგები ხდება რამდენად მნიშვნელოვანია მოდერნიზებული საბანკო სისტემის არსებობა ქვეყნისათვის. მითუმეტეს, პატარა ქვეყნის პირობებში, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და აქვს დონორებისგან დაფინანსების გამოყენების შესაძლებლობა, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული უმთავრესი ფუნქციები: მოახდინოს ეკონომიკის დაკრედიტება, აგრო და ბიზნეს -სექტორების დაფინანსება, საფინანსო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, გრძელვადიანი დაკრედიტება და დანაზოგების წახალისება ეროვნულ ვალუტაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სტრატეგია საქართველოსთვის.

2. IMF. „როგორ განხორციელდეს ფინანსური სისტემების დედოლარიზაცია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში?“ ავტ: სამი ბენ ნასირი, ამრ ჰოსნი, გრეგორი ჰაჯიანი. 2015წ.

3. ფრანკფურტის ფინანსებისა და მართვის სკოლა. (საქართველოს წამახალისებელი ეკონომიკური ინსტიტუტი. 2015 წ.

4. საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საფინანსო სექტორის შეფასების პროგრამა. საქართველო, იანვარი 2015 წ.

5. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური კონსოლიდირებული ფინანსური განაცხადები. 2012-2015 წ.

6. გოგოლაძე. მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის მოდელების შემუსავება, (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2013.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი, NBG.ge

8. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია, დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში.

REFERENCES:

1. European Bank for Reconstruction and Development, the Ministry of Strategy.

2. IMF; How to carry out the financial systems rely Caucasus and Central Asia?" Author: Ben Nasser Three, Amr Hosny, Gregory Hajiani. 2015.

3. Frankfurt School of Finance & Management. 2015y. Institute of Economic Promotion. 2015.

4. The International Monetary Fund. Financial Sector Assessment Program. Georgia, January 2015.

5. National Bank of Georgia. The annual consolidated financial statement. 2012-2015.

6. Gogoladze. Increased competition and the financial crisis, the Bank's activities shemusaveba models, (doctoral dissertation), Tb., 2013.

7. National Bank of Georgia, www. NBG.ge

8. Economic Transformation, 20 Years of Independence. The interim report.

THE WAYS TO IMPROVE THE BANKING SYSTEM OF GEORGIA

Mariam Khachidze
PhD student, GTU

RESUME

The Georgian bank system is one of the well developed financial institutes not only in Georgia, but in the whole region. It almost includes 93% of the financial market and in the Georgian reality mainly represents complicity by the important foreign capital.

Under the considering of the increased competition and the growing demands of the modern challenges, conditions there was outlined a

number of shortcomings, which are of vital importance for the proper functioning of the commercial banks.

By operating of the modern standards, development of the electronic services, perfection of the risk and trust operations, regulation of the percent rate, capital adequacy and to make the relevance to the European standards of the modernization process of the reserves issue is that main issue, which represents inseparable part of the modern process by my opinion.

At present, when the financial sector is in the close connection with the each citizen, business and in final – strong economical formation, becomes clear how the important is the existence of the modernized bank system for the country, most over under the conditions of the little country, which has a close connection to the international financial institutions and has a possibility of using a strong financing sources, to implement primary functions charged on it: to make economy crediting, financing of the agro and entrepreneurial sectors, supporting of the development of the financial market, to attract deposits and in the section of the physical persons – consumer or mortgage loans direction crediting.

Keywords: The banking system; Dollarization; The credit portfolio; The modernization of the banking system;

საქართველოს საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ფორმირების თავისებურებანი

ვაჟა ზეიკიძე, გიორგი
მაისურაძე, თამარი ქამხაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორები,
სტუ ასოცირებული პროფესორები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ფორმირების, სტრუქტურის და მართვის აქტუალური საკითხები. დახასიათებულია ქვეყნის ოთხი მაპროფილებელი ბანკის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და არსებული თავისებურებანი, რომლებიც გავლენეს ახდენენ კრედიტების სახეებსა და ფორმებზე, საკრედიტო ურთერთობების განვითარების ტენდენციებზე საბანკო სექტორში. დახასიათებულია კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობები და დინამიკის ანალიზი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს საკვლევ პერიოდში კრედიტების სტრუქტურულ ცვლილებებზე. წარმოდგენილია რეკომენდაციები საბაკო სექტორისათვის, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ბანკებში კრედიტების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას და ეკონომიკის ცალკეული დარგების დაკრედიტების ეფექტიანობას, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

საკვანძო სიტყვები. საბანკო სექტორი, საკრედიტო პორტფელი, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა, კრედიტების სახეები, საკრედიტო პორტფელის მოცულობა.

შესავალი

კომერციული ბანკების შემოსავლების მიღების ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანია მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასება, რომელიც არსებით წარმოდგენას გვაძლევს მათ საქმიანობასა და შესაძლებლობებზე. კომერციული ბა-

ნკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ხარისხთან. მთლიანობაში ხარისხის კატეგორია განეკუთვნება რთულ კატეგორიათა რიცხვს. საკრედიტო პორტფელში აუცილებელია განხილული იქნეს ურთიერთკავშირში სასესხო და მასთან გათანაბრებული დავალიანებები, ასევე აუცილებლად გათვალისწინებული იქნეს ურთიერთკავშირი საკრედიტო პორტფელის ელემენტებს შორის და დახასიათებული იქნეს ახალი ეკონომიკური კატეგორიის პოზიციიდან. ამიტომ საკრედიტო პორტფელის ხარისხზე საუბრისას, არ შეიძლება გავჩერდეთ მხოლოდ საკრედიტო რისკის შეფასებაზე. და აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის სხვა მახასიათებლებიც.

საკრედიტო პორტფელის ქვეშ იგულისხმება „პრობლემურობის“, რისკიანობის, საკრედიტო აქტივობის, ეფექტიანობის, ბრუნვადობის და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის კომპლექსური ერთობლიობა. გამომდინარე აქედან ყველა ბანკი აწესებს მკაცრ კონტროლს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. სამწუხაროდ დღემდე საბანკო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასებაში. საერთშორისო პრაქტიკაში საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის გამოიყენება რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია აგრეგირებულ მაჩვენებლებზე და მათ მახასიათებლებზე.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისების დროს საკრედიტო პორტფელის „პრობლემურობა“ გვევლინება პირველ ადგილზე, რადგან საკრედიტო პორტფელის დროული დიაგნოსტიკა გვაძლევს საშუალებას, შევამციროთ პორტფელში ვადაგადაცილებული ამოღების, უიმედო კრედიტთა რაოდენობა და დაბლა დავწიოთ ბანკის შესაძლო დანაკრგები.

ბანკის საკრედიტო აქტივობა კი ახასიათებს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის, მოზიდული და განთავსებული სახსრების დაბალანსებულობის ხარისხს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის ეფექტიანობა გვიჩვენებს ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის შემოსავლიანობას და მომგებიანობას, რაც

საბოლოო ჯამში წარმოადგენს კომერციული ბანკის საქმიანობის მიზანს.

ძირითადი ნაწილი

ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისთვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას და მათ მიერ გაცემული სესხების მიზანმიმართულ გამოყენებასა და მართვას. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სექტორში ფუნქციონირებდა 19 კომერციული ბანკი და საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ მსხვილი საერთაშორისო და რეგიონული ინვესტიციებით არის წარმოდგენილი. 2015 წლის 31 დეკემბრისათვის საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელმა 16 მილიარდ ლარს გადააჭარბა. სეგმენტების მიხედვით ბანკთაშორის სესხების გარდა 2015 წელს საკრედიტო პორტფელის კომპოზიცია მატერიალურად არ შეცვლილა ზრდის კუთხით. 2015 წელს ყველზე დიდი მოცულობით გაიზარდა მცირე და საშუალო სესხების სეგმენტი, რომლის შემდეგაც მოდის კორპორაციული და საცალო სესხების სეგმენტი. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა ლარში აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები ყველა სეგმენტზე, რაც შეეხება აშშ. დოლარში აღებულ სესხებს მცირე, საშუალო და საცალო სეგმენტებში სახეზე გვაქვს განაკვეთების უმნიშვნელო შემცირება, ხოლო კორპორაციულ სეგმენტში განაკვეთები პრაქტიკულად არშეცვლილა. ლარის გაცვლითი კურსის გაუარესების შედეგად ვალის ტვირთის და შესაბამისად საკრედიტო რისკების ზრდის მიუხედავად, საპროცენტო განაკვეთების ზრდას უცხოურ ვალუტაში, ხელი შეუშალა საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის ჭარბი ლიკვიდობის დაგროვებამ.

კომერციული ბანკების საცალო პროდუქტებში ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტები, უმნიშვნელოდ გაიზარდა ავტო-სესხები, ხოლო სხვა პროდუქტებში კი დაფიქსირდა შემცირება. სამომხმარებ-

ლო და იპოთეკური კრედიტები 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც 2014 წელს 2013 წელთან შედარებით სამომხმარებლო სესხები 23 პროცენტით და იპოთეკური სესხები 30 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის ბოლოსათვის ქვეყნის საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხი დამაკმაყოფილებელია და 2015 წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა „ნეგატიური სესხების“ წილი, ხოლო „უმოქმედო სესხების“ წილი კი შემცირდა, რაც ძირითადად იდიოსინკრეტული შემთხვევების შედეგია. მართალია, 2015 წელს გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად, გაიზარდა საკრედიტო პორტფელის ხარჯების მოცულობა, მაგრამ ზრდა არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ საკრედიტო პორტფელის ხარისხზე მოეხდინა გავლენა. 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 2,8 პროცენტს შეადგენს, რაც საქართველოსთვის მსგავს ქვეყნებთან შედარებით კარგი მაჩვენებელია.

საქართველოს საბანკო სექტორში, 2013 წლიდან აქტიურად დაიწყო ცვლად განაკვეთიანი სესხების გაცემა და მან 2015 წლის ბოლოსათვის, მთლიანი საკრედიტო პორტფელის 19 პროცენტი შეადგინა. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბანკების მხრიდან ცვლადგანაკვეთიანი სესხების რისკის მართვა მოითხოვს სრულყოფას და კომპლექსური მიდგომის გამოყენებას. საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის დამაკმაყოფილებელი ხარისხის მიუხედავად, სამივე სეგმენტში (კორპორაციული, მცირე და საშუალო და საცალო) ლარის გაცვლითი კურსის გაუარესების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოურ ვალუტაში, ვალდებულებეის მქონე მსესხებელთა ვალის ტვირთი.

2015 წლის დეკემბერში დამტკიცდა ბაზელ II/III-ის მე-2 პილარის ელემენტების განვითარებისა და შემუშავების ფარგლებში, „კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის კაპიტალის ბუფერის განსაზღვრის ინსტრუქცია“. ინსტრუქცია ბანკებს საშუალებას აძლევს, დროულად დაიწყონ კაპიტალის კონცენტრაციასთან დაკავში-

რებული შიდა მიდგომების დამუშავება და ეროვნული ბანკისათვის დასაბუთება.

ჩვენს მიერ, ქვეყნის ოთხი მაპროფილებელი კომერციული ბანკის მონაცემების შესწავლისა და საკრედიტო პორტფელის გაანალიზების შედეგად, სახეზე გვაქვს გაცემული სესხების გამოყენებისა და მართვის შემდეგი სურათი. ს.ს. **„საქართველოს ბანკის“** მიერ 2006-2015 წლებში გაცემული კრედიტების მოცულობა გაიზარდა 5,9 ჯერ. ბანკის მიერ გაცემული კრედიტების დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2015 წლისთვის ბანკის მთლიან აქტივებში კრედიტების წილად მოდის 59,1%. ბანკისთვის ყველაზე რთულ პერიოდს წარმოადგენს 2009 წელი, რომელიც ემთხვევა მსოფლიო ფინანსურ კრიზისს და ქვეყანაში 2008 წლის ომის შედეგების ლიკვიდაციას. კერძოდ, 2008 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 317,8 მილ. ლარით, ხოლო 2010 წლისთვის 2009 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობის ზრდამ 840,3 მილ ლარი შეადგინა.

ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ს.ს. **„თიბისი ბანკში“,** კერძოდ, ამავე პერიოდში გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2009 წელს 2008 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 286,1 მილნ. ლარით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან შედარებით კი გაიზრდა 379,0 მლნ. ლარით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 2009 წელს **„თიბისი ბანკის“** მთლიან აქტივებში კრედიტების წილად მოდიოდა 81,9%, ხოლო 2015 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 57,5% შეადგინა.

ს.ს. **„პროკრედიტ ბანკის“** მიერ 2006-2015 წლებში გაცემული კრედიტების რაოდენობაზე დაკვირვებით, შემდეგი სურათი გამოიკვეთა (იხ. ცხრილი 1). მიუხედავად 2008 წელს ქვეყანაში მიმდინარე საომარი კონფლიქტისა და 2009 წლის ეკონომიკური კრიზისისა, ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგალითად, 2008 წელს 2007 წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა გაიზარდა 24,3%-ით, 2009 წელს 2008 წელთან შედარე-

ბით 6,2%-ით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან მიმართებით კი 19,5%-ით. ამდენად, **„პროკრედიტ ბანკის“ მისამართით შესაძ-ლებელია ვაღიაროთ რომ იგი ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციაშის აგრძელებდა საკუთარი ფუნქციის შესრულებას.**

ცხრილი 1.

ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის დინამიკა 2006-2015 წლებში (ათას ლარებში)

წლები მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2015
1.ბანკის მთლიანი აქტივები	421340	547239	680202	722213	863559	971846	1052770	1221113
2.გაცემული კრედიტების სულ	281740	370315	521897	533949	594923	682379	730406	898387
3.საბანკო აქტივები კრედიტების წილი (%)	66,8	67,6	76,7	73,9	68,9	70,2	69,4	73,6

წყარო ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“ 2006-2015 წლების წლიური ანგარიში. www.nbg.gov.ge

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკას“ მიერ შესწავლილ პერიოდში (2007-2015წწ) გაცემული კრედიტების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისს წარმოადგენს 2009-2010 წლები, როდესაც ბანკის მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, 2009 წელს 2008 წელთან მიმართებაში გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირდა 4,6%-ით, ხოლო 2010 წელს 2009 წელთან მიმართებით გაცემული კრედიტების მოცულობა შემცირებულია 2,4%-ით ანუ ქვეყანაში მიმდინარე მძიმე კრიზისულმა სიტუაციამ, 2009-2010 წლებში, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბანკი „რესპუბლიკას“ საქმიანობაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 2009 წელს ბანკი „რესპუბლიკას“ მთლიან აქტივებში, გაცე-

მული კრედიტების ხვედრითმა წილმა შეადგინა 73,9%, ხოლო 2010 წელს კი 68,9%. ბანკის აქტივებში კრედიტები ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო 2008 წელს და მან შეადგინა 76,7%.

საკვლევ პერიოდში, ჩვენს მიერ შერჩეული კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის გაანალიზებამ, თვალნათლივ დაგვენახა ბანკების საკრედიტო პორტფელში მომხდარი ცვლილებები. ს.ს. **„საქართველოს ბანკის“** საკრედიტო პორტფელში ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებში, 2015 წელს ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოდგენილია **კომერციული სესხები** - 45,8%, შემდეგ მოდის **სამომხმარებლო სესხები** - 21,9%, **მიკრო და მცირე სესხები** - 19,6%, იპოთეკური სესხები-12,4% და **სხვა სესხები -** 0,3%.

ჩატარებული კვლევის პროცესში, ასევე საინტერესოა ს.ს. **„თიბისი ბანკის“** საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის განხილვა, კლიენტებზე გაცემული სესხების სახეების მიხედვით. 2015 წლისთვის „თიბისი ბანკის“ საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო **კორპორაციული კრედიტები** - 30,3%, შემდეგ მოდის **სამომხმარებლო სესხები -** 2019,3%, მესამე ადგილზე წარმოდგენილია იპოთეკურუ სესხები - 20,5%-ით, **მიკრო და მცირე სესხები** - 13,3% და მიკროსესხები -10,9%.

ს.ს.“პროკრედიტ ბანკის“ საკრედიტო პორტფელის შესწავლის შედეგად, თვალნათლივ გამოიკვეთა შემდეგი სურათი. კერძოდ, 2015 წლისთვის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში კლიენტებზე გაცემულ სესხებში სახეების მიხედვით, პირველ ადგილზე წარმოდგენილ იქნა **ბიზნეს სესხები** - 48,7%, მეორე ადგილს იკავებს **სამომხმარბლო სესხები** -36,4%, შემდეგ მოდის **საყოფაცხოვრებო ფართის კეთილმოწყობაზე** გაცემული სესხები - 8,9%, **აგროსესხები** - 4.6%, შემდეგ მოდის **სხვა სესხები-**1,2%. რაც შეეხება ს.ს. ბანკი **„რესპუბლიკას“** 2015 წლისათვის, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია იპოთეკური სესხები, რომელმაც შეადგინა - 45,5%, შემდეგ მოდის სა-

მომხმარებლო სესხები - 8,1%, შემდეგ მოდის ავტოსესხები - 2,5% და სხვა სესხების წილად მოდის საკრედიტო პორთფელის სტრუქტურაში - 43,8%.

საქართველოს ოთხი მაპროფილირებელი კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია გავაკეთოდ დასკვნა, **რომ გაცემული სესხების მოცულობები იზრდება, ამასთან ერთად საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია კორპორაციული, იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტები., რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და დაჩქარებილი ეკონომიკური ზრდის მიღწევას.**

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ალადაშვილი, საკრედიტო პორთფელის მართვის მნიშვნელობა საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. ჟ, „ეკონომიკა“, 2012 წ. 11-12 67-69 გვ.

2. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“.

3, www.nbg.gov.ge

4. www.standardpoors.com

REFERENCES:

1. Maya Aladashvili, credit portfolio management of a banking system in normal operation. P, „economy“, 2012. 11-12, 67-69, p.(In Georgian Language).

2. The Law „activities of commercial banks.“ (In Georgian Language).

3. www.nbg.gov.ge

4. www.standardpoors.com

THE FORMATION PECULIARITIES OF THE LOAN PORTFOLIO OF THE BANKING SECTOR IN GEORGIA

Vaja Zeikidze, Giorgi Maisuradze, Tamar Qamkhadze
Doctor of Economics, Associated Professors, GTU

RESUME

The article deals with the formation of the loan portfolio of the banking sector, the structure and management of current issues. The bank's loan portfolio is characterized by four profiled structure and the features that affect the types and forms of credit, credit relations development trends in the banking sector. Characterized by commercial banks granted loans and credits currently dynamics analysis, is that the study give us a sense of credits for structural changes. This work also provides recommendations for the banking sector, which will help the banks to take into account the optimal structure for the credit and lending sectors of the economy, the effectiveness of which is ultimately the most important contributing factor to economic growth.

Key words: Banking sector, the loan portfolio, loan portfolio structure, the form of credit, the credit portfolio.

საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები და მექანიზმები

მარინა მეტრეველი,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი,

გიორგი ჯაბნიძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია საქართველოში ტურიზმის განვითარების მიზანი, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორები. კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ტურიზმის განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებები. წარმოდგენილია საქართველოში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ღონისძიებებისა და მექანიზმების დახასიათება და ანალიზი. მოცემულია აგრეთვე მათი განხორციელების რეკომენდაციები, რაც უკავშირდება დარგის განვითარების კონცეფციას, საკანონმდებლო ბაზასა და სტრატეგიულ მიმართულებებს. დახასიათებული და გაანალიზებულია საქართველოს ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

ნაშრომში წარმოდგენილია ტურისტთა განთავსების ადგილების ზრდის შესაძლებლობები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სასტუმროები, ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲐ გამოავლინოს საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციების ღონისძიებათა გამოკვლევა და მათი, განხორციელების პრობლემების ანალიზის საფუძველზე, მათი გადაწყვეტის შესაძლებლობათა დახასიათება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ძირითად პრობლემა რომელიც ხელს უშლის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას არის ტურიზმის განვითარების პოლიტიკის არასრულყოფილება და არათანმიმდევრულობა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია:

ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი, სრულყოფილი და აღიარებული კონცეფციის არარსებობა, რომელთანაც ტურიზმის განვითარების მდგრადი და გრძელვადიანი კონცეფცია კავშირში უნდა იყოს (მიზნები); და საკანონმდებლო და საინვესტიციო ბაზის არასრულყოფილება (ინსტრუმენტები);

ტურიზმის დარგისა და მისი ინფრასტრუქტურის არამიზნობრივად განვითარების ტენდენცია, ეფექტიანი მექანიზმების [1] გამოყენებაზე მოქმედი ფაქტორები და პროფესიული კადრების ნაკლებობა (გამტარებლები).

ტურიზმის პოლიტიკის მექანიზმები და ღონისძიებები საქართველოში

ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების ექვსი ძირითადი მექანიზმი არსებობს (იხ. ცხრილი №1).

მოცემული ცხრილიდან სჩანს, რომ პირველი სამი მექანიზმი მუშაობს, თუმცა მათი მოქმედების შეფასება წარმატებულად ჯერ-ჯერობით ნაადრევია. რაც შეეხება ლეგალიზაციას, რეგლამენტაციასა და კოორდინაციას აქ საქმე უფრო რთულადაა, რადგანაც ტურისტულ საწარმოთა ლეგალიზაცია სპეციფიკით

ცხრილი №1.

ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები

№	**სახელმწიფო რეგულირების ფორმები**	**სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მოქმედება რეგულირების ფორმების რეალიზაციისთვის**
1.	**კანონშემოქმედებითი**	კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება
2.	**მხარდაჭერა**	დახმარების აღმოჩენა ტურისტული ბიზნესის სუბიექტთათვის
3.	**სტიმულირება**	აქტიური საქმიანობა ტურიზმის სფეროში სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების ჩართვისათვის
4.	**ლეგალიზაცია**	ტურიზმის სფეროში საქმიანობის უფლების გაცემა ორგანიზაციებისთვის, საწარმოებისთვის, დაწესებულებებისა და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის
5.	**რეგლამენტაცია**	ტურიზმის სფეროში საქმიანობის განმსაზღვრელი წესების ჩამოყალიბება
6.	**კოორდინაცია**	ურთიერთქმედებათა ორგანიზაცია და სხვადასხვა სუბიექტთა მოქმედების შეთანხმება საერთო ამოცანათა გადასაწყვეტად ტურიზმში

არ ხასიათდება, რაც ვფიქრობთ ხელშეწყობის კუთხით არასაკმარისია. რეგლამენტაციის მიმართ ასევე მნიშვნელოვანი პრეტენზიები არსებობს, რადგან აქაც კანონმდებლობის დეფიციტთან გვაქვს საქმე (მხედველობაში გვაქვს სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური სტანდარტების დაცვის არასრულყოფილი

იურიდიულ-სამართლებრივი გარემო). კოორდინაციის მექანიზმის ამუშავება განსაკუთრებით აქტიურად აჭარის ავტონომიკურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს(ამაზე მეტყველებს ღონისძიებები, რომლებსაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების ადმინისტრაცია და ბათუმის მერია ერთობლივად გეგმავენ, აგრეთვე, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად დაგეგმილი ღონისძიებები).

აჭარის შავი ზღვის საკურორტო ზოლში მომგებიანია ეკონომკლასისა და იაფი სასტუმროების მშენებლობა იმ შემთხვევაში, თუ სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური პირობები საგრძნობლად და პერმანენტურად(უწყვეტად) გაუმჯობესდება. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წლის 6 ივნისს მიღებული საქართველოს ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 70-ე მუხლში თანდართვა ,,საქართველოს ტერიტორიის სანიტარული დაცვის წესების დამტკიცების შესახებ” გაუქმებულია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან(ძალადაკარგულია 06/27/2007 N 5069 კანონით). [2] მნიშვნელოვანია რომ არა მარტო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში ქმედითი და ეფექტიანი ზომები უნდა იქნეს მიღებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულობა ეჭვს იწვევს.

უკრაინელი მეცნიერის სპირიდონოვას მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა (უკრაინაში) [3] ცხადჰყო ტურისტთა განთავსების ადგილების(სასტუმროების) მშენებლობაში ინვესტიციათა დაბრუნების გრძელვადიანი პერიოდის არსებობის შესახებ (იხ. ცხრილი №2). საქართველოსთვის ეს ციფრები რამდენადმე განსხვავებულია (შემცირებულია), მაგრამ საერთო სურათი მაინც უცვლელია.

საქართველოს ტურისტულ ბიზნესში განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემები, რომლებიც საშუალო და მცირე სასტუმროთა მფლობელების წინაშე არსებობს. ამ სასტუმროთა მფლობელების დიდმა უმრავლესობამ უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარებში) აღებული საბანკო სესხების საფუძველზე წამოიწყეს

ცხრილი №2.

ტურისტთა განთავსების ადგილების (სასტუმროთა) მახასიათებლები უკრაინაში.

სასტუმროთა კატეგორიები	გამოსყიდვის ვადა (წლები)	შემოსავ-ლიანობის განაკვეთი %-ში	მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ღირებულება(ათასი აშშ დოლარი /მ2)
*****	10	10-12	5-9
****	8-10	11-13	-
***	7-8	15-17	1,3-1,9
მცირე სასტუმროები	6-8	-	-
დიდი და განსა-კუთრებით დიდი პროექტები	10-15	-	-

წყარო: Спиридонова В.С. Вісник ДІТБ. Серія: Економіка, організація та управління підприємствами туристичної індустрії та туристичної галузі в цілому – 2009 №13 стр. 323.

საკუთარი ბიზნესის აწყობა. სამწუხაროდ სასტუმროთა მშენებლობის ბუმის პირობებში არც ხელისუფლების და არც ბიზნესმენების მხრიდან არ განხორციელებულა მარკეტინგული კვლევები და არ შეფასებულა შემოსავლები-ხარჯების თანაფარდობიდან გამომდინარე რისკები. ამავე დროს ტურიზმის დარგში დასაქმებული ბიზნესმენების მხრიდან სრულიად გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა სავალუტო კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული პრობლემები. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა აჭარის არეალში ტურისტთა განთავსების ადგილებში (სასტუმროებში) დაბანდებული კაპიტალის ამორტიზირების გრძელვადიანმა პერიოდმა (იხ. ცხრილი №4.), რომელსაც ასევე ბიზნესმენთა მხრიდან რისკების დაზღვევა არ მოჰყვებოდა. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლი-

ტიკა, რომელიც განცხადებულია სახელმწიფოს მიერ აუცილებლად უნდა შეეხოს ტურიზმის დარგში დასაქმებული ფირმების საგადასახადო შეღავათებს(არსებული საკმარისი არ არის), რომლებიც დიფერენცირებული იქნება ტურისტული პერიოდებისა და ექსპლოატაციის ვადების მიხედვით. ამავე დროს რეგლამენტირების ღონისძიებებიც უნდა იქნეს დასახული. მათი მთავარი სამიზნე უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა ზედმიწევნით ზუსტი განხორციელება.

ჩვენი დაკვირვებით აშკარაა, რომ საზღვარგარეთული ბიზნეს კლასის სასტუმროებში ადგილობრივი ეკონომკლასის სასტუმროებთან შედარებით უფრო მაღალია განთავსების საშუალებათა (ნომრებისა და ოთახების) რაოდენობა, მათი ღირებულება (საშუალოდ 200 აშშ დოლარი) და დატვირთულობა (45%, 43%-თან შედარებით) რაც გამოწვეულია მომსახურებისა და განთავსების პირობების (სანიტარულ-ჰიგიენური) მაღალი სტანდარტით. ამასთან ადგილობრივ ეკონომ კლასის სასტუმროებში(მიუხედავად განთავსების მაღალი ღირებულებისა) თუ არ განხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა(მხედველობაში გვაქვს დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათები) მათი საინვესტიციო საქმიანობის მაღალი რისკის გამო ძალიან ძნელი იქნება მომავალ ტურისტულ სეზონებში ტურპროდუქტების წარმოების ზრდისა და მათი ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფა. საქართველოს ტურისტული ბიზნესის განვითარების პრობლემების იდენტიფიკაციისა და გაანალიზების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განხილულ იქნას საქართველოს ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მონაცემები.

საერთაშორისო რეიტინგის - ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის - მონაცემებით (იხ. ცხრილი№3), საქართველოს, ტურიზმის განვითარების დონის მიხედვით, 71-ე ადგილი უკავია (2015, 3.7ქ) ამ რეიტინგის მონაწილე 141 ქვეყნის ნუსხაში. რეიტინგი შედგენილია 75 მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებიც ახასიათებს ტურიზმის განსხვავებულ ასპექტებს. საქართველოს პოზიციები სუბინდექსების მიხედვით შემდეგია

ცხრილი 3.

ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მონაცემები:

ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის სუბინდექსები	ადგილი რეიტ-ინგში	ქულათა რაოდენობა
საქართველო	**71**	**3.7**
სუბინდექსი:საქმიანობისთვის სასურველი გარემო	43	5.2
ბიზნესის გარემო	32	6.0
დაცულობა და უსაფრთხოება	32	6.0
ჯანდაცვა და ჰიგიენა	31	6.1
შრომითი რესურსები და შრომის ბაზარი	50	4.7
საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის მზადყოფნა	74	3.0
სუბინდექსი: ტურიზმისა და მოგზაურობის პოლიტიკა და გარემო პირობები	44	4.3
ტურიზმისა და მოგზაურობის პრიორიტეტულობა	53	4.8
საერთაშორისო ღიაობა	58	3.8
საფასო კონკურენტუნარიანობა	66	3.4
გარემოს მდგრადობა	52	4.3
სუბინდექსი: ინფრასტრუქტურა	72	3.1
საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	94	2.2
სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	67	3.3
ტურისტთა მომსახურების ინფრასტრუქტურა	50	4.7
სუბინდექსი: ბუნება და კულტურული რესურსები	120	1.8
ბუნებრივი რესურსები	125	1.5

კულტურული რესურსები და ბიზნეს მოგზაურობები	87	2.1
მარკეტინგისა და ბრენდინგის ეფექტიანობა	65	4.8
ტურიზმზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები	66	4.8
საკუთრების უფლებათა დაცვის მიხედვით	85	2.2
პოლიციის სამსახურის საიმედოობის მიხედვით	28	5.4

წყარო: WEF, World Economic Forum, 2015

სუბინდექსების მაჩვენებლებიდან სჩანს, რომ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანასთან შედარებით სატრანსპორტო ხარჯებისა და ტურისტული მომსახურების მაღალმა ფასებმა საქართველოში გამოიწვია ის, რომ საშუალო კლასის წარმომადგენლები და ზოგ შემთხვევებში (მაგალითად საქორწინო მოგზაურობაში წასვლა) თვით ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეებიც კი ამჯობინებენ საზღვარგარეთულ ტურებს, სადაც ტურპაკეტის ღირებულება გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე სამშობლოში დასვენების ღირებულება. საშუალო კლასის სასტუმროების არასაკმარისი რაოდენობა, რომელთა სერვისი ორი ან სამი ვარსკვლავის დონისაა და რომლებიც მისაღებია საშუალო კლასისთვის, დღესაც და მომავალშიც მეტად აქტუალური იქნება საქართველოს ტურისტული მომსახურების ბაზრისათვის.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

სამართალგამოყენებითი პრაქტიკის სრულყოფა უმნიშვნელოვანესია საქართველოში ტურიზმის დარგის განვითარებისთვის.

ტურიზმის დარგში სახელმწიფოს ეფექტიანი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებაა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მომსახურების ხარისხის ამაღლება და საერთაშორისო თანამშ-

რომლობის გაღრმავება.

ტურიზმის სფეროში სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის შესაძლებლობები მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს სტიმულირების მექანიზმთა მთელ კომპლექსს. ამავე დროს კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით რაც ტურისტულ აქტივობათა ლეგალიზაციის მექანიზმს აამოქმედებს და საბიუჯეტო შემოსავლებს გაზრდის.

ზოგადად და მიუკერძოებლად შესაძლებელია აღვნიშნოვთ, რომ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აქტიურ საქმიანობას ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებისა და მათი გატარების ეფექტიანი მექნიზმების საშუალებით. ამავე დროს სადღეისოდ კვლავ პრობლემას წარმოადგენს სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებათა კლასიფიკაცია როგორც აჭარაში, ასევე მთელ საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გ. აბსანძის რედაქციით, გვ. 509, ISBN 99940-46-95-0;

2. https://www.google.ge/?gws_rd=cr&ei=092RWOicLMGAUbj0m7gF#q=06%
2F27%2F2007+N+5069+%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

3. Спиридонова В.С. Вісник ДІТБ. Серія: Економіка, організація та управління підприэмствами туристичноі індустріі та туристичноі галузі в цілому – 2009 №13 стр. 323.

4. ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი.
http://reports.weforum.org/travel-and-tourism-competitiveness-report-2015/economy-rankings/#indicatorId=TTCI.D

5. ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2015-2025წწ.
http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/333835-saqarthvelos-turizmis-ganvitharebis-erovnul-strategia-2025q-ze-mushaoba-dasrulda.html

6. საქსტატი. http://www.geostat.ge/

REFERENCES:

1. The dictionary of foreign words edited by G. Absanidze, p. 509, ISBN 99940-46-95-0;

2. https://www.google.ge/?gws_rd=cr&ei=092RWOicLMGAUbj0m7gF#q=06%

2F27%2F2007+N+5069+%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%

E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

3. V.S. Spiridonova "Visnyk DITB". The series: Economics, organization and management of tourism industry enterprises and tourism sphere as a whole – 2009 №13 , p. 323

4. The Tourism competitiveness index:

http://reports.weforum.org/travel-and-tourism-competitiveness-report-2015/economy-rankings/#indicatorId=TTCI.D

5. The tourism development strategy:

6. http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/333835-saqarthvelos-turizmis-National statistics office of Georgia: http://www.geostat.ge/

THE MECHANISMS AND ACTIVITIES OF THE TOURISM POLICY IN GEORGIA

Marina Metreveli
Doctor of Economic Sciences,
Professor of Georgian Technical University,
Giorgi Jabnidze
PhD Student of Georgian Technical University

RESUME

The paper presents the purpose and objectives of tourism development in Georgia, as well as economic and political factors promoting and impeding the processes. On the basis of the study established the main directions of the concept, mechanisms and activities of tourism

development policy. In a study there are developed the recommendations for changes in legislation that contacts to the concept of tourism development as well as the strategic directions for their implementation in Georgia. Characterized and analyzed tourism competitiveness index in Georgia.

The paper presents the possibility of increasing the placement of tourists in Adjara Autonomous Republic.

Keywords: Georgian National Office of Tourism, Department of Tourism and Resorts of Adjara, hotels and tourism competitiveness index.

წარმოების ტექნოლოგიური მომზადება

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

წარმოების ტექნოლოგიური მზადყოფნა ნიშნავს კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის სრული კომპლექტის, აგრეთვე, ტექნიკური აღჭურვილობის არსებობას, პროდუქციის დაგეგმილი მოცულობის გამოშვებისთვის დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: პერსპექტიული; ეკონომიური; პროგრესული.

შესავალი

წარმოების ტექნოლოგიური მზადყოფნა ნიშნავს კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის სრული კომპლექტის, აგრეთვე, ტექნიკური აღჭურვილობის არსებობას, პროდუქციის დაგეგმილი მოცულობის გამოშვებისთვის დადგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით. ეს მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, ტექნოლოგიური პროცესებისა და მათი ელემენტების უნიფიკაციისთვის, შრომატევადობის შემცირებისა და წარმოების მომზადების ვადების შემოკლებისთვის.

ძირითადი ნაწილი

ტექნოლოგიური პროცესები იყოფა **ტიპიურად** და **პერსპექტიულად**.

ტიპიური ტექნოლოგიური პროცესისთვის დამახასიათებელია შინაარსობის მთლიანობა და ტექნოლოგიური პროცესების უმრავლესობის თანმიმდევრობა და ასევე გადასვლები ნაწარმთა ჯგუფებისთვის საერთო კონსტრუქტორული პრინციპებით.

პერსპექტიული ტექნოლოგიური პროცესი გულისხმობს

ტექნოლოგიური წარმოების ტექნოლოგიის განვითარების მსოფლიო დონესთან შესაბამისობას ან გასწრებას.

ტექნოლოგიური პროცესის დაპროექტების მართვა ხორციელდება სამარშრუტო და ოპერატიული ტექნოლოგიური პროცესების საფუძველზე.

სამარშრუტო ტექნოლოგიური პროცესი ფორმდება სამარშრუტო რუკით, რომელშიც დადგენილია ტექნოლოგიური ოპერაციების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა, დანადგარის ტიპი, რომელზეც უნდა შესრულდეს ეს ოპერაციები; გამოყენებული აღჭურვილობა, დროის გამსხვილებული ნორმა გადასვლებისა და დამუშავების რეჟიმების მითითების გარეშე.

ოპერაციული ტექნოლოგიური პროცესი უფრო დეტალურია. აქ დეტალიზიბულია დამუშავებისა და აწყობის ტექნოლოგია, გადასვლებისა და დამუშავების რეჟიმებამდე. აქ ფორმდება ტექნოლოგიური პროცესების საოპერაციო რუკები.

ახალი მანქანების (მანქანა-დანადგარების) პირველი პარტია მზადდება სამარშრუტო-ტექნოლოგიური პროცესის ბაზაზე. მოწმდება და ზუსტდება ტექნოლოგიური პროცესი, დგება მომავალი აღჭურვილობის პროექტი და საორიენტაციოდ დგინდება მუშახელის საჭიროების ოდენობა და ა.შ. სამარშრუტო ტექნოლოგიური პროცესის საფუძველზე მზადდება და იწყობა პროდუქციის საცდელი ნიმუში და გადაეცემა მიმღებ კომისიას. საცდელი ნიმუშის წარდგენა ხდება სპეციალურ გამოფენებზე, ახალი ტექნიკის მომხმარებელთა გამოვლენისა და შეკვეთების პორტფელის ფორმირების მიზნით.

ეს მიზანშეწონილია, ვინაიდან მანქანის ნებისმიერ კონსტრუქციაში არის დეტალები, რომლებიც საჭიროებენ მათი ხარისხის შემოწმებას დამზადებისა და გამოცდის პროცესში. ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა იწვევს წუნს, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებას.

ტექნიკური კონტროლის მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მენეჯერს ტექნოლოგებთან ერთად. მენეჯერი აკონტროლებს ასევე ტექნოლოგიურ დისციპლინას.

აუცილებელია ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პრო-

ცესის, ტექნოლოგიური და კონსტრუქტორული დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის დაცვა.

შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესი უნდა იყოს **ეკონომიური** და **პროგრესული**.

წარმოების ტექნიკური მომზადების **ეკონომიურობა** რამდენიმე მიმართულებით სრულდება. უპირველეს ყოვლისა დგინდება ნაწარმის დამუშავებისა და აწყობის პროცესში გამოსაყენებელი ერთგვაროვანი მეთოდები, ანუ მიიღწევა ტექნოლოგიური სტანდარტიზაცია. ტიპური ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება ამცირებს ახალი ტექნოლოგიური პროცესების პროექტირების სამუშაოების მოცულობას და წარმოების ტექნოლოგიური მომზადების პერიოდის ხანგრძლივობას. დროის ეკონომიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღჭურვილობის სტანდარტიზაცია. დიდ გავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებიც მაღალი მწარმოებლურობის ძვირი დანადგარების გამოყენებასთანაა კავშირში.

წარმოების ტექნოლოგიური მომზადების პროცესის ორგანიზება და მართვა მიზნად ისახავს **პროგრესული** ტექნოლოგიური პროცესების, დანადგარების, აღჭურვილობის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებათა, ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებას.

წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ორგანიზებისათვის ყალიბდება ან უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგიური მომზადების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა (წტმ), განისაზღვრება მისი კავშირები და ურთიერთობები სხვა სამსახურებთან, პასუხისმგებელი შემსრულებლები, მათი ვალდებულებები და ამოცანები. ეს სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს:

- სტრუქტურის შიგნით ფუნქციათა რაციონალურ გადანაწილებას;
- დოკუმენტთა ბრუნვის მკაფიო ორგანიზებას;
- ახალი ამოცანების გადაწყვეტისთვის სწრაფ რეაგირებას;
- ფუნქციათა დუბლირების გამორიცხვას;

წარმოების ტექნოლოგიური მომზადება გეგმის მიხედვით შეი-

ცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. სამუშაოების შედგენილობა, მოცულობა და ვადები.

2. სამუშაოს დანაწილება ტექნოლოგიურ ქვეგანყოფილებებსა და საწარმოო სამსახურებს შორის.

3. სამუშაოს რაციონალური ორგანიზების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ვადების შემოკლების შესაძლებლობას.

წარმოების ტექნოლოგიურ მომზადების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წარმოების ტიპს, გამოსაშვები პროდუქციის პროგრამასა და ნომენკლატურას, ნაწარმის სირთულეს; შესაბამისი ტექნოლკოგიური პროცესების არსებობას, ტექნოლოგიური დანადგარების, აღჭურვილობის არსებობას, წარმოების ტექნიკურ დონესა და მართვას.

წარმოების ტექნოლოგიურ მომზადების პროცესზე კონტროლი ითვალისწინებს გადახრების გამოვლენას, ამის მიზეზების დადგენასა და მმართველობითი ხასიათის ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც მიზნად ისახავს წარმოების მომზადების პროცესის ნორმალიზებას.

წარმოების ტექნოლოგიურ მომზადებისათვის დგება ტექნოლოგიური დოკუმენტაცია. ტექნოლოგიურ დოკუმენტაციაში დადგენილი პროდუქციის ტექნოლოგიური პარამეტრებისა და ხარიხის მონაცემთა დასაბუთებაზე პასუხს აგენს მთავარი ტექნოლოგი.

მოქმედ საწარმოში შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ტექნიკის წარმოების მომზადების ორგანიზების სხვადასხვა ვარიანტი: ახალი ნაწარმის წარმოების მომზადება და ათვისება ხდება მოქმედი წარმოების გაჩერების პირობებში ან მის პარალელურად; მიმდინარეობს გამოშვებული ნაწარმის მოდერნიზაციის ან ექსპერიმენტული წარმოების ორგანიზება.

დასკვნა:

ახალი ტექნიკის შექმნა რთული და მრავალმხრივი პროცესია. ის მჭიდროდაა დაკავშირებული მენციერებასა და წარმოებასთან. ყველა საჭირო სამუშაოს შესრულების სისწრაფესა და სიზუსტეზეა დამოკიდებული სამეცნიერო და ტექნიკური დამუშა-

ვებებიდან ახალი ტექნიკის გამოშვების სრულ ათვისებამდე გზის ხანგრძლიობა. ყველა სტადიაზე სამუშაოების მაღალი დონეზე დასრულება უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევას.

ახალი ტექნიკის წარმოების ორგანიზების მთელი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ახალი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. http: //www.russba.ru/

REFERENCES:

1. K. Kitsmarishvili. Innovative Management. 2016 y.
2. Innovative Management, Ed. of S. Ilenkovy, M. 2014.
3. Innovative Management, Ed. of V. Gorfinkel, M. 2007.
4. http: //www.russba.ru/

TECHNICAL PREPRODUCTION

Ketevan Kitsmarishvili
Associated Professor, GTU

RESUME

The article “Technical Preproduction” represents the aggregate of measures for technical preparation of the production. Technical preparation of the production means the existence of the technical equipment, also the complete set of technical and construction documentation, by considering of the technical-economic indexes for issuance of the production in a designed volume.

Keywords: Perspective, Economic, Progressive.

მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ინგა გიგაური
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური
დოქტორი, სტუ უფროსი მასწავლებელი

ნიკა ზურიკაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი და ჯანსაღი ეკონომიკის ხერხემალია. აქ იქმნება სამუშაო ადგილების მეტი რაოდენობა და ფაქტიურად წარმოადგენენ საბაზრო სტრუქტურის საკონკურენციო ბაზას. იაპონია მეორე ქვეყანაა ამერიკის შემდეგ მსოფლიოში, რაშიც დიდი როლი მცირე ბიზნესის განვითარებამ ითამაშა. ამ ქვეყანაში მცირე ბიზნესზე მოდის რეალიზებული სამრეწველო პროდუქციის 60%-ზე მეტი. 6.5 მილიონ მცირე და მიკროსაწარმოში 40 მილიონზე მეტი კაცი მუშაობს, რაც საერთოდ დასაქმებულთა 80%-ია. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მთელი რიგი მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომელთაც შესწავლა და რეგულირება სჭირდებათ. კატასტროფის წინაშე დგას ჩვენი ქვეყნის ფინანსური დამოუკიდებლობა. მკვეთრად მერყეობს ეროვნული ვალუტის კურსი, გაძლიერდა ინფლაციური ტენდენციები. პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდამ გამოიწვია საინვესტიციო პირობების გაუარესება. იქმნება არაპროგნოზირებადი გარემო ბიზნესისათვის.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ინფლაციური ტენდენციები, საგადასახადო შეღავათები.

შესავალი

საერთაშორისო გამოცდილებით, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები თანამედროვე პირობებში უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და სოციალურ როლს ასრულებენ. მსოფლიოს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მათი რაოდენობა ყველა საწარმოების 99%-ს აღწევს. მცირე ბიზნესი გაცილებით მოქნილი და ოპერატიულია სამეურნეო საქმიანობაში. მას შეუძლია სისტემატურად გააფართოოს მომხმარებელთა მოთხოვნების კარგად დაკმაყოფილების შესაძლებლობები. მცირე ზომის საწარმოებს ხშირად ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისა და ნოუ ჰაუს მეტი შესაძლებლობები აქვთ. მცირე სიდიდის საწარმოები მოკლე დროში და შედარებით ნაკლები დანახარჯებით ახორციელებენ ასეთ ღონისძიებებს. დადასტურდა რომ ყოველწლიურად ქვეყნის ეკონომიკაში დანერგილი ყველა სიახლეების ნახევარზე მეტი მცირე ზომის საწარმოებზე მოდის. ახალი სახის პროდუქციის წარმოების ათვისების ტემპები მცირე საწარმოებში გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე მსხვილში. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესს სახელმწიფოს მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვთ. მაგალითად, იაპონიაში მცირე მეწარმეებს ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები. კრედიტის ამღები საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში სესხის გამცემს მთავრობა უნაზღაურებს კრედიტის თანხის 70%-ს. სახელმწიფო მართვის ორგანოები ხშირად იძენენ მცირე საწარმოთა აქციებს, მიღებულ დივიდენდებს კი ადგილობრივ ბიუჯეტს ურიცხავენ. [1] პრეფექტურები მცირე საწარმოებს ეხმარებიან მარკეტინგული მომსახურების ორგანიზაციაში. უზრუნველყოფენ მათთვის კადრების მომზადებასა და სხვა. მცირე საწარმოებისათვის შექმნილია საკრედიტო მხარდაჭერისა და სამეურნეო საქმიანობის დაზღვევის სისტემა ადგილობრივი მართვის ორგანოების დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ამ საქმეში მეტ ოპერატიულობას და მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მცირე საწარმოების მიერ სესხის აღებისა და გამოყენების პირობებს. მცირე ბიზნესისათვის დადგენილია თითქმის ერთი მესამედით შემცირებული საკორპორაციო

გადასახადის განაკვეთი. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებსაც მოგების თანხა წელიწადში 8 მილიონ იენზე ნაკლები აქვთ, განაკვეთი 30%-ია, სხვა კომპანიებისათვის კი 42%. საერთოდ იაპონიაში წვრილი მეწარმეებისათვის შემოსავლებზე დადგენილია საკმაოდ ვრცელი შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო შეღავათები მათ ეძლევათ კონკრეტული საქმიანობის სტიმულირებისათვის. მაგ: გადასახადიდან თავისუფლდება სარეზერვო ფონდის შესაქმნელი საშუალებები, აგრეთვე ასოციაციებში შენატანები. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა, ქართული ბიზნეს-გარემო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. მთავარი მიზეზი, რის გამოც ქართული კომპანიები ვერ ახდენენ ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში, არის ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტის უქონლობა. მეწარმეებისათვის ძირითადი ბარიერი არის საქონლის დაბალი ხარისხი, უცხოურ ბაზრებზე გასვლის სირთულე, მარკეტინგული უნარ-ჩვევების ნაკლებობა და სხვ. ინსტიტუციური ასპექტით საქართველოში საწარმოები ბიზნესის დაბეგვრის ადმინისტრირების თვალსაზრისით წინააღმდეგობრივ გარემოში იმყოფებიან. როგორც გამოკვლევები ამტკიცებენ, საქართველოში საგადასახადო ორგანოს გადაჭარბებული უფლებები მიენიჭა. საგადასახადო ორგანოებთან და ხელისუფლებასთან დავაში მცირე და საშუალო ბიზნესი დათრგუნულია, რადგან ბაზარზე ანგარიშსწორება ჯერ კიდევ ნაღდი ფულით ხდება, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად აწყდებიან სირთულეებს ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარების დროს; შედეგად მეწარმეების დასაბეგრი შემოსავალი ხელოვნურად იზრდება, რასაც ხშირად ემატება არალეგალური გადასახადები და გაზრდილი ჯარიმები. [2]. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებით კიდევ უფრო დაითრგუნა მცირე და საშუალო ბიზნესი, ხოლო კერძო საკუთრების დემონტაჟი და რეპრივატიზაციის პროცესი კი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ხორციელდებოდა, რის შედეგადაც მრავალი მცირე და საშუალო მეწარმე აღმოჩნდა სამუშაო ფართის

გარეშე. განსაკუთრებით მტკივნეული გახდა კანონის უზენაესობის დაცვის საკითხიც (საკუთრების უფლებების დაცვა და კონტრაქტებზე სამართლებრივი ზემოქმედება). ყოველივე ეს კი ანეიტრალებდა იმ პოზიტიურ რეფორმებს, რომლებიც ხელისუფლებამ ადრე განახორციელა ბიზნესის რეგულირების გამარტივებით.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. თუ მივადევნებთ თვალს ბოლო პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს, ვითარება მართლაც, რომ კრიტიკულია. საფინანსო რისკის ზრდამ გამოიწვია ინვესტიციების მკვეთრი შემცირება. ლარის კურსის ასეთი მაღალი დიაპაზონით მერყეობა ძალიან ცუდ გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესზე. იქმნება არაპროგნოზირებადი გარემო ბიზნესისათვის და საფრთხეს უქმნის ზოგადად ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. კურსის მერყეობა იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისათვის ძალიან ცუდია. თუკი გვექნება კრიტიკული ზღვარი 2.6-2.9, რაც უკვე თვალში საცემია, ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესს, დაარტყამს“ [3]. მსხვილი ბიზნესი ნაკლებად მოქნილია, მაგრამ გადარჩენისათვის მეტი ძალა აქვს. ამიტომ მცირე ბიზნესი ყველაზე მეტად არის საფრთხეში, რადგან მათ უცხოურ ვალუტაში აქვთ ფინანსური ვალდებულებები-სესხი და იჯარის თანხა. ქართული ბიზნესის მდგომარეობა თითქმის ყოველდღე მძიმდება. სადისტრიბუციო კომპანიები და ის საწარმოები, რომლებიც ნედლეულს უცხოეთიდან იღებენ, მათთვის ლარის ყოველი თეთრით გაუ-

ფასურება დიდი ტვირთია. რეალიზაციის შემცირებიდან გამომდინარე მოგების მარჟა უმცირდებათ. სავალალო ისაა, რომ დასაქმებულთა რაოდენობა აქ წლიდან წლამდე მცირდება. მცირე ბიზნესში 2013 წელს 138 ათასი კაცი იყო დასაქმებული. 2014 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 168 ათასს მიაღწია. 2015 წელს მდგომარეობა თითქმის უცვლელი იყო, რადგან მხოლოდ 1000 კაცი დაემატა დასაქმებულთა სიას. 2016 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემების მიხედვით კი მცირე ბიზნესში 148 ათასი კაცია დასაქმებული. ანალოგიური მდგომარეობაა საშუალო ბიზნესშიც, რომელიც დასაქმებულთა მხრივ ასევე კლებას განიცდის. ამ სექტორში 2015 წელს 100 ათასი კაცი საქმიანობდა, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით - 96 ათასი. საერთო ჯამში წელს მცირე და საშუალო ბიზნესში 25 ათასით ნაკლებია დასაქმებული. [4] მცირე მეწარმეებისათვის საგადასახადო სისტემა მოწესრიგებული არ არის. აუცილებლად უნდა მოხდეს საშუალო და მსხვილი ბიზნესის გადასახადების გამიჯვნა. „თუ არ ავამოქმედებთ კანონს, რომელიც დაიცავს როგორც მცირე, ასევე საშუალო მეწარმეებს, მრავალი პროექტი დადგება კითხვის ნიშის ქვეშ. პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ეგიდით გახსნილი ყველა საწარმო ან გაკოტრდება, ან გადავა ჩრდილში. არ შეიძლება როგორც დიდი ბიზნესის, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეობის გადასახადები იყოს ერთნაირი. გადსახადები იმდენად მაღალია, რომ ყველა წარმოება ჩრდილშია და ასე ცდილობენ თავი გაიტანონ. ის ესტონური მოდელი, რომელიც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, მორგებულია მხოლოდ მსხვილ ბიზნესზე და მოგების გადასახადის სანაცვლოდ ამ თანხის რეინვესტირების საშუალებას აძლევს მას, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება ფინანსური დახმარება, მასზე არანაირი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება . ვფიქრობ, ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კოლაფსიდან გამოსასვლელად მიკრო (მცირე) და ფიქსირებული გადასახადის შემოღება მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება წვრილი ბიზნესისათვის და დამწყებ მეწარმეთათვის. იგი მცირე კომპანიებს ზრდის საშუალებასაც აძლევს: თუ

კომპანია ფიქსირებული გადასახადის მეთოდს აირჩევს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ წლის განმავლობაში მისი ბრუნვა 100 000 ლარსაც გადასცა, არ არის ვალდებული დღგ-ს გადამხდელად დაფიქსირდეს და ისევ შეუძლია გააგრძელოს ფიქსირებული გადასახადის გადახდა [5, გვ. 145]. გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა შეიცავს 500-ზე მეტ ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გამოიხატება ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებაში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებში, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელების და მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებაში. გარდა ამისა, ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან (მაგ. რაციონალიზაცია, მოდერნიზაცია, გაფართოება, საწარმოს სიმძლავრეთა გაზრდა). მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები დაცულია სპეციალური კანონებით და სამართლებრივი აქტებით (ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დებულებები და საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული დოკუმენტები). გერმანიაში არსებობს სპეციალიზებული საგარანტიო ბანკები, რომლებიც იღებენ საკუთარ თავზე რისკს კრედიტის 10%-მდე დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან ფლობენ კაპიტალის წილს (არა უმეტეს 1,5 მლნ მარკა). ეს მნიშვნელოვანია ისეთი მცირე და 79 საშუალო ბიზნესებისათვის, რომელთაც არ აქვთ (ან თითქმის არ აქვთ) სესხის აღების შესაძლებლობა. საგარანტიო ბანკის რისკის 60%-მდე ფარავს ფედერაცია და მიწა, რომელზეც განლაგებულია ბანკი. [6]

დასკვნა

მსს-თა სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად არის აღიარებული. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება, მოახდინოს

მსს-ების განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელების დანერგვა. ამ პროცესში აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, საწარმო და ინფრასტრუქტურული სპეციფიურობების, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. ამ მხრივ გასაზიარებელია მეტ-ნაკლებად მსგავსი ევროპული ქვეყნების გამოცდილება. აუცილებელია იმ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც სწრაფი ეკონომიკური გარღვევა მოახდინეს მცირე პერიოდის განმავლობაში (იაპონია, ტაივანი, ჩინეთი).

მცირე საწარმოების მიმართ უნდა დაწესდეს სასტარტო შეღავათები. კერძოდ, ახლადშექმნილი მცირე საწარმოების ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში უნდა გაუნახევრდეთ მოგების გადასახადი. ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის ,,ლომის წილი'' მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მოდის. მსბ-ის მხარდაჭერის უმთავრეს მიმართულებად საქართველოში უნდა იქცეს: ა. მსს-თა მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მისაღებად; ბ. მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ინტერგრაციის ხელშეწყობა ფრანჩაიზინგისა და სხვა ფორმების განვითარების გზით; გ. მსს-ების სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოკვლევების ხელშეწყობა, შეღავათების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ- საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებაზე (მაგ. შეღავათიანი კრედიტების ინსტიტუტების შემოღება); დ. მეწარმეობის დაფინანსების ვენჩურული მექანიზმის განვითარების ხელშეწყობა; ე. მსს-თათვის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; ვ. მსს-თა საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობა; ზ. არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესება მსს-თა ხელშეწყობისათვის, რაც შესაძლოა ბიუჯეტიდან დაფინანსების ალტერნატიულ წყაროდ იქცეს;თ. საკრედიტო რესურსების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან; ი. საგადასახადო სისტემის სრულყოფა; კ.

მსს-თა მაღალი რისკის პროგრამების სახელმწიფო დაზღვევის უზრუნველყოფა; ლ. მსს-თა რეგიონული განვითარება, მეწარმეობის მხარდაჭერისა და განვითარების დეცენტრალიზაცია ცალკეული რეგიონების სპეციფიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ძნელაძე, ლ. ძნელაძე, ბიზნესი I ნაწ. 1999წ. გვ. 190-193

2. http://www. ifc. org/ifcext/home. nsf/AttachmentsByTitle/ Georgia-SME-Report-F/$FILE/Georgia+SME+Report. pd

3. გაზეთი რეზონანსი №1, 25 ნოემბერი, 2016წ.

4. www. geostat. ge

5. უფლისაშვილი გ. დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ,,ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები“ შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი. 2012წ

6. www. nisse. ru

REFERENCES:

1. D. dzneladze, l. dzneladze the business. Part I. 1999, pg. 190-193 (In Georgian language);

2. http://www. ifc. org/ifcext/home. nsf/AttachmentsByTitle/ Georgia-SME-Report-F/$FILE/Georgia+SME+Report. pd

3. The newspaper Resonance № 1. 25 November, 2016y.

4. www. geostat. ge (In Georgian language)

5. Uplisashvili G. The special modes of the new by the Tax Code of the Taxation ,,economy sustainable development issues: The reality and prospects ,,Collection of Publications. The University of Kutaisi. 2012y. (In Georgian language).

6. www. nisse. ru (In Russian Language).

THE MODERN PROBLEMS AND PROSPECTS OF DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESSES

Inga Gigauri
Academic Doctor of Business
Administration, Head Teacher of GTU
Nika Zurikashvili
PhD Student , GTU

RESUME

Small and medium enterprises represent a major factor in economic growth and a backbone of healthy economy. There are created more job places, and they actually represent the competitive basis of market structure. Japan is the second country in the world after USA, large share in this is played by the development of small business. Small business in this country has share of more than 60% in the realization of industrial products. On 6.5 million of small and micro-enterprises are working up to 40 million people that makes up to 80% of employees. In Georgia's small business growth is significantly slowed due to a number of macroeconomic factors that need to study and regulate. Our country's financial independence is facing up to disaster. The national currency sharply fluctuates, there are increased the inflationary tendencies. The growth in political, monetary and financial risk caused the worsening of conditions for the investment. It is creating an unpredictable environment for businesses.

Keywords: Small and medium businesses, the macroeconomic factors, the inflationary trends, the tax benefits.

ცხოვრებისადმი ადამიანთა მიდგომები და ადამიანთა ყოფითი სივრცეები

ნათია გურაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ცხოვრებისადმი ადამიანთა რეაქტიული და პროაქტიული მიდგომები, ნაჩვენებია რეაქტიული მიდგომის ანუ „თვითდინებით“ ცხოვრების ნაკლოვანებები და პროაქტიული მიდგომით ცხოვრების უპირატესობები.

მოცემულია ადამიანთა ყოფის სამი სივრცე და მათი შესაბამისი პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტები – ორგანიზმული, სოციალური და საქმიანი. ავტორი უპირატესობას აძლევს საქმიან ტიპს, რადგან მას მოსწონს შეჯიბრი, შრომაში გამარჯვება, გრძნობს პასუხისმგებლობას და ა. შ. ავტორის აზრით, ფირმაში პერსონალის შერჩევისას საქმიან ტიპს უპირატესობა უნდა მიეცეს.

საკვანძო სიტყვები: მიდგომა; რეაქტიული მიდგომა; პროაქტიული ადამიანი; საზრუნავთა წრე, გავლენის წრე, ყოფითი სივრცე.

1. ცხოვრებისადმი ადამიანთა მიდგომის სახეები

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი სტივენ კოვი ცხოვრებისადმი ადამიანის ორგვარ მიდგომას ასახელებს. ესენია **რეაქტიული** და **პროაქტიული მიდგომები** [1, გვ. 41].

ცხოვრებისადმი რეაქტიული მიდგომა არის უბრალო რეაგირება მასზე, ანუ „თვითდინებით ცხოვრება“, პროაქტიული კი მასზე აქტიური ზემოქმედება და მისი მოწყობა საკუთარი სურვილების მიხედვით. ასეთ დროს ადამიანი თვითონ იწყობს თავის ცხოვრებას და პასუხისმგებელიცაა მასზე.

თითოეულ ჩვენგანს, და მათ შორის თქვენც, უამრავი საკითხი გვაწუხებს. ეს არის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ურთიერთობების მოგვარება, ჩვენი მომავალი, ფინანსური მდგომარეობა და სხვა. ვუწოდოთ ყოველივე ამას „საზრუნავთა წრე“.

„საზრუნავთა წრე“-ში შემავალი თითოეული პრობლემა მრავალ ქვეპრობლემას და საკითხს მოიცავს. მათი ნაწილი ექვემდებარება ადამიანის კონტროლს, გავლენას, მეორე ნაწილი კი მას არ ემორჩილება. ამ პირველ ნაწილს ვუწოდოთ „გავლენის წრე“ (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ადამიანის „საზრუნავთა წრე“ და „გავლენის წრე“

ადამიანის პროაქტიულობის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ უმეტესად რომელ სფეროზეა იგი ფოკუსირებული. პროაქტიული ადამიანები „გავლენის წრეს“ აძლევენ პრიორიტეტს. ისინი მთელ თავიანთ ძალებს, დროს და ენერგიას ახმარენ იმას, რომ გაიფართოვონ „გავლენის წრე“ (იხ. ნახაზი 2).

რეაქტიული ადამიანები პირიქით, თავიანთ ძალისხმევას „საზრუნავთა წრისკენ“ წარმართავენ. ისინი წუხან, რომ არ შეუძლიათ ვითარების შეცვლა, თავის წარუმატებლობას აბრალებენ ბედს ან სხვა ადამიანებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავიანთ თავს. მათგან მოდის ნეგატიური ენერგია, რომელიც, პირველ რიგში, მათვე აზარალებს. რეაქტიული ადამიანები სწორედ იმიტომ, რომ რეაქტიულები არიან და აქტიურად არ მოქმედებენ თავიანთ ცხოვრებაზე, ფაქტობრივად, ხელიდან უშვებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ მართლაც წარმატებას მოუტანდა. ამიტომ მათი „გავლენის წრე“ ვიწროვდება (იხ. ნახაზი 3).



ნახაზი 2. პროაქტიული ფოკუსი
(„გავლენის წრე“ფართოვდება)



ნახაზი 3. რეაქტიული ფოკუსი („გავლენის წრე“ მცირდება)

ცხოვრებისადმი ამ ორი მიდგომის შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პროაქტიული მიდგომა იწვევს პროგრესულ ცვლილებებს ადამიანის ცხოვრებაში. ასეთი ადამიანები მუდმივად უსვამენ თავის თავს ასეთ კითხვას: რა გავაკეთო იმისთვის, რომ შევცვალო ჩემთვის არასასურველი სიტუაცია? ასეთი ადამიანები პროგრესულ ადამიანებად ითვლებიან და ცხოვრებაშიც წარმატებული არიან. ისინი არ ცხოვრობენ ხელჩაქნეულად, არ ამბობენ „რაც არის არის", არამედ იბრძვიან და ნაბიჯ-ნაბიჯ წარმატებებსაც აღწევენ.

2. ადამიანთა ყოფის სივრცეები

ადამიანს ყოფის სამი ობიექტური სივრცე აქვს: ორგანიზმი, გარემო და საქმიანობა. ისინი ადამინისთვის სხვადასხვანაირია და მათ ადამიანების შინაგანი სამყარო განსაზღვრავს. სწორედ ადამიანების ამ შინაგან სამყაროს თავისებურებებზე არის დამოკიდებული მათ მიერ საკუთარი სუბიექტურობის რეალიზაციის ტიპაჟი, რომლის სახეებია:

- ორგანიზმული;
- სოციალური;
- საქმიანი.

ეს ჩამონათვალი პიროვნებების ფსიქოლოგიური პორტრეტებია და ნებისმიერი ადამიანი ამ სამი ტიპიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება. დროის გამოყენებაში მათი სუბიექტურობა სხვადასხვანაირად მჟღავნდება და ამიტომ სასურველია სამსახურში მიღებისას ადამიანები მათი ფსიქოლოგიური ტიპის გამოსაკვეთათ სპეციალური ტესტების გამოყენებით შემოწმდნენ და შესაბამისადაც დასაქმდნენ.

„ორგანიზმული ტიპის" პიროვნების დრო, ჩვეულებრივი საქმეებით არის შევსებული. უჩვეულო, მოულოდნელი საქმეები მას იშვიათად უჩნდება. დღის დაგეგმვისას, ის აფიქსირებს რა უნდა გააკეთოს. არ ეჯიბრება სხვას. სამუშაოს სერიოზულად უდგება, მაგრამ არა ფანატიკურად. მუშაობს ენერგიულად, მაგრამ არა სწრაფად. სურვილის შემთხვევაში შეუძლია მცირე დროში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, რომლის შემდეგ ითხოვს დასვენებას. მისი

საქმეები ერთგვაროვანია და არასასწრაფო. სამუშაოს შესრულების ვადებს თვითონ საზღვრავს. საჭირო შემთხვევაში, რაც იშვიათად ხდება, შეუძლია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება. აქვს ხელფასის მომატების და არა კარიერული წინსვლის მოთხოვნილება. ილტვის კომფორტისკენ. შვებულების დროს ისვენებს და თავისუფლდება ყველა პრობლემისგან. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ არა აქვს სამსახურში დარჩენის, ანდა ზეგანაკვეთური მუშაობის ჩვევა. მუშაობით დაღლის შემთხვევაში გარკვეული დრო ძალებს იკრებს და უფრო ნაკლებ ეფექტურად მუშაობს. თუ თავს შეუძლოდ გრძნობს, სახლში რჩება და სამსახურში არ მიდის. სამუშაოს შესრულებაზე ისეთივე პასუხისმგებლობა აქვს როგორც სხვებს. არ გრძნობს დროის უკმარისობას. არ ხარჯავს დროს შეცდომების გაანალიზებაზე. მისთვის მთავარია ხედავდეს მიზანს და მოსალოდნელ შედეგს. მისთვის ძნელი არ არის მომზადების გარეშე დაწეროს სერიოზული წერილი. იღვწის იმისთვის, რომ იცხოვროს სიამოვნებაში და კომფორტში. მისი მთავარი მიზანი არის ვიტალური და გედონისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ის ფიქრობს, შემდეგნაირად: ჩვენ განკუთვნილი ვართ ჩვენი სხეულისთვის, ისე როგორც მოლუსკები ნიჟარებისთვის“ [2, გვ. 345].

„სოციალური ტიპის“ პიროვნების დრო გადაუდებელი, სასწრაფოდ გადასაჭრელი საქმეებით არის დატვირთული. უჩვეულო, მოულოდნელ საქმეებს იგი თითქმის ყოველ კვირა აწყდება. დღის განწესს აფიქსირებს ჩაწერით და არა დამახსოვრებით (განსაკუთრებით დაპირებებს და შეხვედრებს). მოსწონს შეჯიბრებითობა და შეჯიბრში გამარჯვება. სამუშაოს უდგება სერიოზულად. იგი ენერგიული ადამიანია. მცირე დროში ასრულებს დიდი მოცულობის სამუშაოებს. აქვს მრავალი სასწრაფო საქმეები, რაც მასში იწვევს ძალების დაძაბვას. აქვს პასუხისმგებლობა სამუშაო შეასრულოს დათქმულ დროში. იშვიათად აწესებს საქმის შესრულების ვადებს დამოუკიდებლად. უპირატესობას აძლევს სხვების რჩევებს და ათანხმებს მათ თავის გეგმებს (ეს მას ხშირად დროს აკარგვინებს). ცდილობს კარგად გამოიმუშაოს. არ ყოფნის დასვენების დრო და ცდილობს შვებულების გახანგრძლივებას. დასვენების დროს ფიქრობს სამუშაოს შესახებ (განსაკუთრებით თავის მოვალეობების შესახებ). დაღლის შემთხვევაში მუშაობს

უფრო ნელა. თუ თავს შეუძლოდ გრძნობს არ რჩება სახლში. მუშაობის პროცესში ჩქარობს, რადგან ქების დამსახურება უნდა.

სოციალურ ტიპს არ უყვარს მომხდარი მიზეზების და მოტივების განხილვაზე დროის დაკარგვა. ღელავს მომავალზე და ფიქრობს სამომავლო პრობლემებზე. წესად აქვს თავისი გადაწყვეტილების შეთანხმება კოლეგებთან. ცდილობს გამოიცნოს სხვების აზრი საკუთარ თავზე. როცა კონფლიქტს აანალიზებს დამნაშავეთა განხილვას საკუთარი თავით იწყებს.

„საქმიანი ტიპის“ ადამიანის პიროვნული დრო ჩვეულებრივი, კარგად ათვისებული საქმეებით არის დატვირთული. გაუთვალისწინებელი ვითარებები და რთული საქმეები მას კვირაში ერთხელ ხვდება. მისი საქმეები იმდენად ნაცნობია მისთვის, რომ არ სჭირდება გეგმის შედგენა. მოსწონს შეჯიბრი შრომაში და გამარჯვება დიდ სიამოვნებას ანიჭებს. დარწმუნებულია თავის ძალებში და საჭირო შემთხვევაში შეუძლია კამათში თავი გაიმართლოს. მოსწონს იყოს პირველი და ყველაზე უკეთესი. სამუშაოს უდგება მეტად სერიოზულად, ენერგიულად. შეუძლია ბევრი მუშაობა. სამუშაოს შესრულების ვადებს სახლშიც და სამსახურშიც მეტად ხშირად თვითონ გეგმავს. სამუშაოს შესრულებისას ცდილობს სხვას აჯობოს, სხვაზე სწრაფად იმუშაოს. ხშირად ერთდროულად სხვადასხვა საქმეზე მუშაობს. დაღლის შემთხვევაში ისეთივე აქტიურობით მუშაობს, როგორც დაღლამდე. თუ შეუძლოდ გრძნობს თავს, მაინც მიდის სამსახურში და მუშაობს. გრძნობს ვადაში საქმის შესრულების დიდ პასუხისმგებლობას. ჩვევად აქვს სამსახურში სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დარჩენა და ზეგანაკვეთური მუშაობა. მისთვის კარიერული წინსვლაა მნიშვნელოვანი და არა ხელფასის მომატება. სხვა მუშაკებთან შედარებით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს. შვებულებაში ყოფნისას პერიოდულად ფიქრობს სამსახურზე, ხოლო შვებულების დამთავრებისას აქვს სამსახურში დაბრუნების დიდი მზადყოფნა.

„საქმიან ტიპს“ ახასიათებს მომავალზე, მომავალ საქმიანობაზე ფიქრი, მომავალი მიზნების და შედეგების განჭვრეტა. მომავალი საქმიანობის შედეგების პროგნოზირება და დაგეგმვა. რთული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებზე მაშინაც კი ფიქრობს, როცა პრაქტიკულად სხვა საქმით არის დაკავებული.

პიროვნების ტიპების ამ დახასიათებიდან შეგვიძლია მოვახდინოთ დროში ადამიანების ქცევითი აქტიურობის დიფერენცირება და სამსახურში მოღებისას მათ სამუშაოც ამის შესაბამისად შევთავაზოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кови С., Семь навыков высоко эффективных людей: мошный инструменты развития личности, М., 2012.

2. ამიონოვი ი., ერიაშვილი ნ., საქმიანი ურთეირთობის ფსიქოლოგია, „სამართლიანი საქართველო“, თბ., 2009.

REFERENCES:

1. Kovi S. Seven Habits of Highly Effective People: strong instrument of personal development, M., 2012.

2. Amionovi I., Eriashvili N. The psychology of business relations, Tbilisi, 2009.

HUMANS APPROACHES TO LIFE AND THEIR EVERYDAY LIVING SPACES

Natia Gurashvili

PhD Student, Georgian Technical University

RESUME

In the article it is considered the humans' Reactive and Proactive approaches to life, it is shown the negative sides of the Reactive approach to life and the priorities of the Proactive approach.

In the article it is discussed three spaces of human living and their corresponding person's psychological portraits: organized, social and business. The author prefers the business type, because she likes competition, winning in working process, feels the responsibility and etc. The author thinks that in firm business type should be the most privileged one during the staff casting.

Keywords: Approach, Reactive approach, Proactive human, Influence circle, Everyday living space, care circle.

ვენჩურული პროექტების სახეები

ქეთევან კიწმარიშვილი
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ვენჩურული პროექტები დაკავშირებულია ახალი საწარმოების შექმნასთან, საცდელი ნიმუშების ან პროდუქციის პარტიის დამზადებასთან, დანადგარების (აღჭურვილობის) შეძენასთან და სხვა ძვირადღირებულ სამუშაოებთან. ეს პროექტები კომერციულია და ფინანსდება, როგორც წესი, კომერციული ბანკებიდან უკან დაბრუნების პირობით. ბევრ კომერციულ ბანკში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, დამუშავებულია საინვესტიციო საქმიანობის პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: სამოდერნიზაციო პროექტი; ნოვატორული პროექტი; წამყვანი პროექტი; პიონერული პროექტი; მონოპროექტებად; მულტიპროექტებად; მეგაპროექტებად.

შესავალი

ვენჩურული პროექტები დაკავშირებულია ახალი საწარმოების შექმნასთან, საცდელი ნიმუშების ან პროდუქციის პარტიის დამზადებასთან, დანადგარების (აღჭურვილობის) შეძენასთან და სხვა ძვირადღირებულ სამუშაოებთან. ეს პროექტები კომერციულია და ფინანსდება, როგორც წესი, კომერციული ბანკებიდან უკან დაბრუნების პირობით. ბევრ კომერციულ ბანკში შექმნილია სპეციალური განყოფილებები, დამუშავებულია საინვესტიციო საქმიანობის პრინციპები. მათ შორის: საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგია, საინვესტიციო პროექტების ფორმალიზებული შეფასების სისტემა; საინვესტიციო პროექტებზე მუშაობის ტექნოლოგია და სხვა.

ძირითადი ტექსტი

სამეცნიერო-ტექნიკური დონის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ვენჩურულ პროექტებს:

- **სამოდერნიზაციო პროექტი** — პროტოტიპის კონსტრუქცია (საბაზისო ტექნოლოგია კარდინალურად არ იცვლება);
- **ნოვატორული პროექტი** — ახალი ნაწარმის კონსტრუქცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველისგან.
- **წამყვანი პროექტი** — კონსტრუქცია ემყარება წამყვან (მოწინავე) ტექნიკურ გადაწყვეტებს.
- **პიონერული პროექტი** — წარმოიქმნება ადრე ჯერ არარსებული მასალებით, კონსტრუქციებით, ტექნოლოგიებით, რომლებიც ასრულებენ როგორც ძველ, ასევე ახალ ფუნქციებს.

გადასაწყვეტი საკითხების მასშტაბებიდან გამომდინარე ინოვაციური პროექტები იყოფა:

- **მონოპროექტებად**.
- **მულტიპროექტებად**.
- **მეგაპროექტებად**.

მონოპროექტები ხორციელდება, როგორც წესი, ერთი ორგანიზაციის ან ქვეგანყოფილების მიერ. მაგალითად, კონკრეტული ნაწარმის, ტექნოლოგიის შექმნა. ასეთი პროექტების შესრულება მკაცრი ვადებისა და დაფინანსების ზუსტად განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული. პროექტს ხელმძღვანელობს კოორდინატორი ან ხელმძღვანელი.

მულტიპრიოექტები მიმართულია რთული ინოვაციური მიზნის მიღწევაზე, მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შექმნაზე, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პრობლემის მოგვარებაზე. მის ფარგლებში გაერთიანებულია დიდი რაოდენობით მონოპროექტი. მისი შესრულებისას აუცილებელია მაკოორდინირებელი ქვეგანყოფილებების შექმნა.

მეგაპროექტები წარმოადგენენ მრავალმიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებს, რომლებიც ცენტრალიზებულად ფინანსდება და იმართება საკოორდინაციო ცენტრიდან. მაგალითად, დარგების ტექნიკური „გადაიარაღების“ პროექტები, კონვერსიის პრობლემების გადაწყვეტა, პროდუქციისა და ტექნოლოგიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ინოვაციური პროექტების დაფინანსებისას საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგია ემყარება პრიორიტეტების განსაზ-

ღვრას. ფორმალიზებული შეფასებების შედეგად ირჩევენ ისეთ პროექტებს, რომელთაც უპირატესობას ანიჭებენ. მათი შემუშავება ხდება საინვესტიციო საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით, რომელთა შორის შეიძლება იყოს: დაკრედიტების დასაშვები მოცულობა, დამატებითი ეფექტების არსებობა, მოგების დასაშვები მინიმალური მარჟა. ინვესტიციებთან მუშაობის ტექნოლოგია მოითხოვს გაუმჯობესების, თანხლების, კონტროლისა და კონსულტაციის გაწევის უზრუნველყოფას.

თითოეულ პროექტს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი, რათა სათანადოდ შეფასდეს მიღებული შედეგი. ნებისმიერი პროექტის საბოლოო წარმატებას ბაზარი განსაზღვრავს.

ყველა პროექტი გადის **ექსპერტიზის** პროცედურას, ექსპერტიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების მოცულობისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზის ჩატარების ვადებს, განაცხადის შეტანის მომენტიდან დაფინანსების ხაზის გახსნისა და სუბსიდიების მიღებამდე პერიოდის ხანგრძლიობას.

ექსპერტიზა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- **პროექტის წინასწარი შეფასება**;
- **კომპლექსური ექსპერტიზა**;
- **დასკვნის მომზადება**.

წინასწარი შეფასების სტადიაზე ხდება პრაქტიკულად განხორციელებადი და ეკონომიკურად ეფექტური პროექტებისა და პროგრამების ამორჩევა. ამასთან აუცილებელია გათვალისწინდეს:

- პროექტის შესატყვისობა ინვესტორის მიზნებთან;
- განმცხადებლის დამატებითი საზოგადოებრივი და სოციალური ეფექტი;
- ახლად შექმნილი ქონების კუთვნილება;
- დარგობრივი ორიენტაცია და პროექტის განხორციელებისას მოზიდული რესურსები;
- რისკები;
- კავშირი სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებთან;
- საგადასახადო შეღავათების არსებობა;

- ქვეყნის იმპორტ-ექსპორტულ კავშირებზე ზეგავლენა.

კომპლექსური ექსპერტიზა მოიცავს:

- პროექტის მონაწილეთა შეფასებას (კომპლექსურობა, ხელმძღვანელთა პრაქტიკული გამოცდილება, ჩატარებული მარკეტინგის ხარისხი, კომპანიის საქმიანი გამოცდილება, პროექტის შემსრულებლის პოტენციური კაპიტალი, ფინანსური რისკებისგან დაცვის ღონისძიებები, კომპანიაში სამუშაოების მოცულობა, არსებულ სიმძლავრეებთან შესაბამისობა, კვალიფიციური პერსონალის არსებობა).
- შესასრულებელი პროექტების შედეგებისთვის საქონლისა და მომსახურების მიმდინარე (არსებული) და პერსპექტიული ბაზრის შეფასებას (მდგომარეობა ბაზარზე, პოტენციური მოცულობის გამოვლენა, კონკურენციის პერსპექტივა, კომერციული წარმატების ალბათობა, გაყიდვების მოსალოდნელი მოცულობა, ფასწარმოქმნა, ზეგავლენის მოხდენა უკვე არსებულ საქონელზე).
- გამოყენებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოგონებების შეფასებას (უნიკალურობა, პატენტის დაცულობა, ნედლეულისა და მასალების არსებობა, პროგრესულობის საერთო ტექნიკური შეფასება, ტექნიკური წარმატების ალბათობა, ზემოქმედება სხვა პროექტებზე).
- ფინანსური ნაკადის შეფასებას (სასტარტო და მთლიანი ხარჯების შეფასება, საშუალებათა გადანაწილება პროექტის ეტაპებისა და მიზნობრივი ელემენტების მიხედვით, საშუალებათა დაბრუნების პერიოდის ხანგრძლიობა, ფინანსური რისკი, რენტაბელობა, საშუალებათა დაბრუნების მექანიზმი, გარანტიები).
- ეკოლოგიური და სოციალური შედეგების შეფასებას.

დასკვნა

პროექტის დასკვნითი ეტაპი გულისხმობს მისი შესრულებისა და დაფინანსების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ყველა პროექტს უნდა გააჩნდეს გეგმა და შეესაბამებოდეს გაფორმების მოთხოვნებს. ეს კი, თავის მხრივ, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ინოვაციური პროექტების მენეჯერებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
4. http: //www.russba.ru/

REFERENCES:

1. K. Kitsmarishvili. Innovative Management. 2016 y.
2. Innovative Management, Ed. of S. Ilenkovy, M. 2014.
3. Innovative Management, Ed. of V. Gorfinkel, M. 2007.
4. http: //www.russba.ru/.

THE TYPES OF VENTURE PROJECTS

Ketevan Kitsmarishvili
Associated Professor, GTU

RESUME

Venture projects are connected to the occurrence of new enterprises, production trial samples or party of product, purchase of installation (equipment) and other expensive works. This project is commercial and as a rule, it is financed on the condition for return from the commercial banks. Most commercial banks have special departments, where principles of investment business are being processed.

Keywords: Modernization project; Innovative Project; leading project; Pioneer Project; Monoprojects; Multiprojects; Megaprojects.

სარეკლამო დიზაინის ფუნქციები და იდეოლოგია

თეიმურაზ ყანდაშვილი
სტუ პროფესორი

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

დღეს დიაზაინი აღარ არის მხოლოდ გაფორმების პრაქტიკა, იგი რეალობის სპეციფიკური კონსტრუირების საშუალებად იქცა. სარეკლამო დიზაინი წარმოიშვება და ფუნქციონირებს ყოველდღიურობის სფეროში.

გარდა ამისა, XX საუკუნეში რეკლამა იქცა სოციალურ ინსტიტუტად, სპეციფიკურ სოციალურ და კულტურულ ობიექტად, ხოლო სარეკლამო დიზაინმა მიიღო ინსტიტუციური სტატუსი. ავტორის აზრით, სარეკლამო დიზაინი იქცა იდეოლოგიურ ინსტრუმენტად, რომელიც ახდენს კონსუმერიზმის იდეის ფორმირებას, მხარდაჭერასა და ლეგიტიმიზაციას.

საკვანძო სიტყვები:სარეკლამო დიზაინი, სარეკლამო ხატი, სარეკლამო დიზაინის ფუნქციები.

შესავალი

დღეს დიაზაინი აღარ არის მხოლოდ გაფორმების პრაქტიკა, იგი რეალობის სპეციფიკური კონსტრუირების საშუალებად იქცა. სარეკლამო დიაზაინი წარმოიშვება და ფუნქციონირებს ყოველდღიურობის სფეროში. დიზაინის ტოტალური საზოგადოებრივი პრაქტიკა ორი კომპონენტისგან შედგება: ერთი მხრივ, იგი მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებს, მეორე მხრივ - ეს სფეროები მასში ურთიერთქმედებენ. უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ სოციალურობის დეფიციტის დღევანდელ პირობებში დიზაინის პროდუქტი თითქმის ერთადერთი ფენომენია, რომელიც რეალობას ასახავს.

ძირითადი ტექსტი

ტიპოლოგიურად თანამედროვე დიზაინი მრავალგვარია. საერთო, მ.შ. სარეკლამო დიზაინის განვითარება ჯდება კულტურულ-ცივილიზაციური პროცესის საერთო ლოგიკაში. ადამიანი ცდილობს, ნატურალურ სამყაროსა და საკუთარ თავს შორის რაც შეიძლება მეტი მიჯნა შექმნას და ჩვენ დიზაინს სწორედ ერთ-ერთი ასეთი მიჯნის სტატუსით განვიხილავთ. დიზაინი, ქმნის რა ნივთობრივი სამყაროს რეპლიკაციის სისტემას, საბოლოოდ თვით იქცევა მოხმარების ობიექტად.

ჩვენი აზრით, სარეკლამო დიზაინი სამეცნიერო კვლევის ცალკე საგნად უნდა იქცეს. ამის მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ დიზაინის პროდუქტები სოციუმზე გლობალურად ზემოქმედებს.

სარეკლამო დიზაინს განეკუთვნება კომერციული, პოლიტიკური, სოციალური რეკლამა, რაც ჯამში ჰიპერექსპრესიულ ფონს ქმნის, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ყოველდღიურობის ვიზუალურ ხმაურად. დიზაინის ვიზუალური პროდუქტი სტანდარტიზიდება და ხდება წარმოების ისეთივე საგანი, როგორებიცაა სიტყვა ან აზრი.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განვითარება დაკავშირებულია არა მხოლოდ ახალი ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან, არამედ ახალი ენის შექმნასთან, რომელიც მასობრივი კომუნიკაციების რელევანტურია. ახალი მედიარეალობა მოითხოვს აბსოლუტურად ახალ ენას,რომელიც ბევრად განსხვავდება წერილობითი ენისგან.სწორედ ასეთ ენად იქცა სარეკლამო დიზაინის ხელოვნება.

ჩვენი აზრით, თანამედროვე დიზაინის საფუძველს (ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივად მაინც) სწორედ სარეკლამო დიზაინის ნაირსახეობა წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ სარეკლამო დიზაინის პროდუქტად მხოლოდ ვიზუალურს კი არა, არამედ ვერბალურ და ხმოვან კომპონენტებსაც განვიხილავთ, მაგრამ უდავოა, რომ ვიზუალური ნაწილი დომინანტურ ადგილს იკავებს მომხმარებელზე ზეგავლენის მოხდენის ძალებსა და საშუალებებს შორის. მიგვაჩნია, რომ, მაგალითად,

კოპირაიტერის (სარეკლამო ტექსტის შემქმნელის) საქმიანობა არის სიტყვიერი დიზაინის ხელოვნება, ხოლო რაც შეეხება დიზაინის ხმოვან ნაწილს, მან, ჩვენი აზრით, ყველაზე ნაკლები ცვლილება განიცადა. წინა საუკუნის რეკლამას საფუძვლად ედო ინდუსტიალიზმისა და სტანდარტიზაციის პრინციპები, იგი ორიენტირებული იყო პროდუქტზე და ეყრდნობოდა მეწარმის თვალსაზრისს. პოსტინდუსტრიული ეპოქის დიზაინი კი საყრდენად მომხმარებლის თვალსაზრისს იყენებს, ამიტომ თანამედროვე რეკლამის ორიენტაცია მოხმარებაზეა მიმართული.

პროფესორი ფ. ჯეიმსონი სარეკლამო დიზაინის კიდევ ერთ სპეციფიკურ თავისებურებაზე მიუთითებს - ესაა მოხმარების საგნისა და მისი სარეკლამო ხატების, ანუ ბრენდის, გაიგივებაა. ჯაიმსონის აზრით ეს ტენდენცია ტიპიურია პოსტმოდერნის ეპოქისათვის, ახასიათებს ამ მოვლენას, როგორც ნივთისა და კონცეპტის ჩანაცვლებას და მიიჩნევს, რომ ეს მოვლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბაზართან შერწყმას აღნიშნავს.

როგორც პროფესორი ბოდრიარი მიუთითებს, საინფორმაციო საშუალებების სარეკლამო ხატებად იქცევა არა მოხმარების საგნები, არამედ თვით საინფორმაციო საშუალებების სარეკლამო ტექსტები.

სარეკლამო ხატება არის სარეკლამო დიზაინის განსაკუთრებული პროდუქტი, რომელმაც უნდა განვლოს დიზაინერული სარეკლამო ტექნოლოგიების სტადია, რომელზეც იგი „ემოციურად იფუთება“ და უკავშირდება სამომხმარებლო მოტივებს. ნივთის თავდაპირველი ხატება განიცდის ტრანსფორმაციას, ვინაიდან დიზაინერული პროდუქტის შესაქმნელად მასში იმპლანტირებულია მომხმარებელთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი მოდულები. სარეკლამო დიზაინი მკაცრადაა განსაზღვრული კომპიუტერული რეგლამენტით. სხვა დიზაინერული ხატებისგან განსხვავებით სარეკლამო ხატი შემოფარგლულია მარკეტინგული პოზიციონირების ჩარჩოებით. ასეთი საშუამავლო რგოლებისა და ტრანსფორმირების წყალობთ სარეკლამო

დიზაინის პროდუქტი იძენს სანახაობრიობის ელემენტს. სხვა სიტყვებით, მიგვაჩნია, რომ სანახაობრივი ხდება არა მხოლოდ სპეციალური სარეკლამო ღონისძიებები, არამედ ნებისმიერი სარეკლამო ხატი. სარეკლამო ხატის მოხმარების მექანიზმის გახსნა შესაძლებლად მიგვაჩნია მისი, როგორც არქაული სანახაობის, განხილვის კონტექსტში.

სარეკლამო დიზაინის პრაქტიკაში შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესის გამოყოფა:

- ერთი მხრივ, დიზაინერული პროდუქტი, მეტაფორებისა და სიმბოლოების მეშვეობით, ახდენს მოხმარების საგნის ექსპლიკაციას და გადმოსცემს მის როგორც ობიექტურ, ისე გაზვიადებულ ღირებულებებსა და მნიშვნელობას, რათა დაარწმუნოს მომხმარებელი ბედნიერებაში, რასაც მას ამ ნივთის ფლობა მოუტანს;
- მეორე მხრივ, რეკლამის მატარებლის შეზღუდული სივრცის გამო, დიზაინი იყენებს სარეკლამო ხატების, მოტივებისა და აზრების იმპლიკაციისა და არქივაციის ტექნოლოგიას.

დიზაინერული ხატი გულისხმობს მისი ტირაჟირების შესაძლებლობასაც. სწორედ ამ დროს იხსნება მასში იმპლიცირებული აზრები, ემოციები და მოტივები, რის შედეგადაც ხდება სარეკლამო ხატის, როგორც კომუნიკაციისა და გაყიდვის საშუალების, რეალიზაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სარეკლამო დიზაინის ფუნქციებია:

1. კომუნიკატიური და აფექტური. სარეკლამო დიზაინი ავსებს რეკლამის ხატებას ექსპრესიით დ კომუნიკაციით, ანუ ინტერნაციონალურ პროდუქტად აქცევს მას. პროტოტიპი, როგორც წესი, არ ფლობს ექსპრესიულობისა და კომუნიკატიურობის ასეთ დონეს, იგი უფრო პროზაულია და შინაარსობრივად უფრო ღარიბი;
2. პროტოტიპის „შეფუთვა“, მისი გაფორმება (ფორმის მინიჭება). პროტოტიპი ზედმეტად თავისუფალია, ზედმეტად უფორმო. ამიტომაც მისი ფორმის განსაზღვრის უფლების მიზნობრივი აუდიტორიისათვის გადაცემა საშიშია. მომხმარე-

ბელთა საზოგადოებამ შესაძლოა არასწორი ფორმა მოუნახოს მას, ან ზედმეტად მარტივი, ან, პირიქით, ზედმეტად რთული. სარეკლამო დიზაინი აფიქსირებს ფორმას ვიზუალური ანდა ვერბალური პოზიციონირების მეშვეობით;

3. ღირებულების გაზრდის ფუნქცია. რაც მეტია დიზაინი (ანუ ინფორმაციისა და სივრცის მოცულობა, რომელმაც განვლო დიზაინერული გადამუშავების პროცესი), მით მეტია საქონლის ხარისხი. პრემიუმ კლასის საქონელი უნდა ფლობდეს ძვირფას, განვრცობილ დიზაინს. უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი კონტაქტი რეალურ და პოტენციურ მომხმარებელთან სარეკლამო ხატიების მეშვეობით უნდა ხდებოდეს (მარკირება, საფირმო ტანსაცმელი, საფირმო ქაღალდი, საფირმო სურნელი, შეფუთვა და ა.შ.);

4. ინფორმაციის არქივირება და იმპლიკაცია. სარეკლამო დიზაინი - მცირე ფორმების დიზაინია, რომელიც იძლევა ემოციების, მოტივების, საჭირო მარკეტინგული ინფორმაციის არქივირებისა და იმპლიცირების საშუალებას დიზაინერული ინსტრუმენტების გამოყენების გზით;

5. იდეოლოგიური ფუნქცია. მოხმარების საზოგადოების ჩამოყალიბება ადასტურებს საწარმოო ეპოქის დასრულებას და ახალი ეპოქის დადგომას, რომელსაც საკუთარი, „მოხმარების“ იდეოლოგია ახასიათებს. ეს არის დოვლათის სიჭარბის ახალი ეპოქა. დიზაინერული საშუალებების მრავალფეროვნება ახდენს საქონლის სიჭარბისა და მოხმარების სრული თავისუფლების ფორმირებასა და ლეგიტიმაციას. დიზაინერული ხატები ახდენს მიზნისა (სამომხმარებლო ბედნიერების) და მისი მიღწევის გზების ფორმირებას. გარდა ამისა, სარეკლამო ხატება წარმოადგენს სოციუმზე ზემოქმედებისა და მასზე კონტროლის საშუალებს. სარეკლამო ხატების ტირაჟირება ზოგ შემთხვევაში წარსულის მორალურ-პოლიტიკურ იდეოლოგიასაც კი ანაცვლებს;

6. რეალობის კონსტრუირება. დიზაინი ანიჭებს საგნებს შინაარსს (სიმბოლოები, სტრატიფიკაციული ნიშნები), ალაგებს მათ იერარქიის მიხედვით. ქმნის ხატების ახალ რეალობას

- ერთდროულად გამოგონილსა და ფაქტიურს. დიზაინი რადიკალურად ათავისუფლებს ხატებას დოკუმენტური სინამდვილისგან (როგორც ფოტოსურათი სუფთავდება ფოტოშოპში უმნიშვნელო და შემთხვევითი ვიზუალური დეტალებისგან). ყოველდღიური ზეიმის განწყობის შექმნა კი მხოლოდ ვირტუალურ ხატს ძალუძს;

7. სოციალურობის კონსტრუირება. სარეკლამო დიზაინი ახდენს სასაქონლო კატეგორიების ფორმირებას, რომელიც, თავის მხრივ, გამოიყენება მსოფლიო სამომხმარებლო კალათის შემადგენლობის ფორმირებისას. გარდა ამისა, სასაქონლო კატეგორიები ახდენს სოციალური ფენომენების (სოციალური სტატუსი, სტრატიფიკაციული ნიშნები, სოციალური კონტაქტები, სამომხმარებლო კლუბები, კონსუმერული გაერთიანებები და სხვა) ჩემოყალიბებას. ანუ თვით ინდივიდს ვერ ვხედავთ, ვინაიდან ჩვენი ყურადღება აბსორბირდება მრავლობითი სოციალურად მნიშვნელოვანი საგნებისა და ნიშნების აღქმაში;

8. სარეკლამო დიზაინის ჰიპერექსპრესიულობა, ანუ ყოველდღიურობის ესთეტიზაცია, ვიზუალური აქტივაცია და საზოგადოების მობილიზაცია. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ხელოვნებასა და რეალობას შორის არსებული საზღვრები ნიველირდება, ე.ი. მომხარების ნებისმიერი აქტის განხილვა შესაძლებელია როგორც უტილიტარული, ისე ხელოვნების თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით, სამომხმარებლო აქტი შეიცავს ყოველდღიურობის ესტეთიზაციასა და ხელოვნების კონოტაციას;

9. საიდენტიფიკაციო ფუნქცია. სარეკლამო დიზაინი ქმნის საეკლამო კონსტანტებს, რომლებიც შემდეგ ქმნის საფირმო სტილს. სწორედ ის ხდება საიდენტიფიკაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი, ანუ საფირმო სტილის ცალკეული ელემენტების მეშვეობით ხდება ბრენდის იდენტიფიკაცია;

10. მომხმარებლის ფორმირების ფუნქცია. ხდება ადამიანის ახალი, დიზაინერული ტიპის ჩამოყალიბება, რომელიც აღიქვამს სამყაროს დიზაინერული კატეგორიების, ვიზუალუ-

რი შაბლონებისა და ორიენტირების მეშვეობით.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია სარეკლამო დიზაინის ფუნქციონირების სრული სურათის შექმნაზე, მაგრამ ვთვლით, რომ მისი ფუნქციური მექანიზმები სრულად ამოვიცანით და დავახასიათეთ.

XX საუკუნეში რეკლამა იქცა სოციალურ ინსტიტუტად, სპეციფიკურ სოციალურ და კულტურულ ობიექტად, ხოლო სარეკლამო დიზაინმა მიიღო ინსტიტუციური სტატუსი. სხვა სიტყვებით, სარეკლამო დიზაინი იქცა იდეოლოგიურ ინსტრუმენტად, რომელიც ახდენს კონსუმერიზმის იდეის ფორმირებას, მხარდაჭერასა და ლეგიტიმიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Фyrc V.N., Radical social theory of Jean Baudrillard// Sotsiologicheksky magazine, No. 1, 2012, page 6-34. (in Russian)

2. Jameson F., Postmodernism, or the Cultural Logic of Late Capitalism. Durham, Duke University Press.1991.pp.260-278

3. Jean Baudrillard. Le système des objets. Gallimard, 1991 (Collection Tel) (in Russian)

4. Freud S., Introduction to psychoanalysis. Lectures. S-PB.: Alphabet-classics, 2007, - 479(in Russian)

ADVERTISING DESIGN FEATURES AND IDEOLOGY

Teimuraz Kandashvili
Professor,Georgian Technical University
Ekatherine Kochlamazashvili
PhD Student, Georgian Technical Universit

RESUME

The article states that design today is no longer just the practice of signing, it has become a reality in the specific construction of the vehicle. Design weekday advertising is operating in the field of everyday life.

In addition, the article noted that the XX century has become a social institution advertising, specific social and cultural facilities, advertising and design in the institutional status. According to the author, advertising design has become an ideological instrument, that consumption of the formulation, support and legitimize.

Keywords: Advertising Design, Advertising icon, Advertising design features.

ფინანსური გლობალიზაცია და სავალუტო კრიზისი: ურთიერთკავშირი და შედეგების ანალიზი

ასიე ცინცაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ბექა ფუტკარაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ფინანსური გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები, განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითს (რუსეთი, აზერბაჯანი, ყაზახეთი, საქართველო, უკრაინა).სტატიაში განიხილება თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ამ რეგიონში 2014 წელს დაწყებული სავალუტო კრიზისიდა ჰქონდა თუ არა ამ ყველაფერს ფინანსურ გლობალიზაციასთან კავშირი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური გლობალიზაცია, სავალუტო კრიზისი, პოსტსაბჭოთა რეგიონი.

ძირითადი ტექსტი

ფინანსური გლობალიზაციის ავკარგიანობის საკითხი მრავალჯერ გამხდარა ეკონომისტების დისკუსიისა და დებატების საგანი. აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ფინანსური გლობალიზაცია შეიძლება იყოს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ კორელაციაში (განსაკუთრებით) განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ

ფაქტორებთან. მართლაც, არსებობს არაერთი კვლევა, სადაც განხილულია აღნიშნული თემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ფინანსური გლობალიზაციის მხარდამჭერთა ძირითადი ნაწილი არგუმენტებად იშველიებენ შემდეგ გარემოებებს: 1)გლობალიზაცია ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების გაუმჯობესებასა და სრულყოფას; 2)კაპიტალის ღირებულების შემცირება და რისკის უკეთესად გადანაწილების საშუალება; 3)განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ეკონომიკებში ინვესტირების კვალობაზე უფრო მეტ ფინანსებზე წვდომა; 4)ცოდნა-გამოცდილების გადადინება განვითარებად ქვეყნებში.მეორეს მხვრივ კი, ანტიგლობალისტებს მთავარ ფაქტორად მოჰყავთ ფინანსური კრიზისების არსებობა, რომელთა ალბათობა სწორედ რომ გლობალიზაციის პირობებში უფრო მატულობს.

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს ფინანსური გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები, განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითს (რუსეთი, აზერბაჯანი, ყაზახეთი, საქართველო, უკრაინა). ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ამ რეგიონში 2014 წელს დაწყებული სავალუტო კრიზისიდა ჰქონდა თუ არა ამ ყველაფერს ფინანსურ გლობალიზაციასთან კავშირი.

დავიწყოთ იმით, რომ ნებისმიერი კრიზისი არ შეიძლება იყოს გამოწვეული მხოლოდ ერთი გარემოებით. მაშასადამე, ვერც ფინანსური გლობალიზაცია იქნება კრიზისებისერთადერთიგამომწვევი ფაქტორი. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ფინანსური კრიზისები უფრო კომპლექსური მიზეზებით არის გამოწვეული, რომელიც შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც საგარეო, ასევე შიდა ფაქტორებით (Schmukler, Zoido andHalac, 2003).

ბოლო წლებში დსთ-ეს ქვეყნებში (რუსეთი, აზერბაჯანი, ყაზახეთი, საქართველო, უკრაინა)განვითარებული ეკონომიკური კრიზისების ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა შესაბამისი ვალუტების გაცვლითი კურსის მკვეთრი ვარდნა და

მიღებული სავალუტო კრიზისები (იხ. გრაფიკები #1-4).უფრო დეტალური ანალიზისათვის, ჩვენ უნდა განვიხილოთ თუ რა ფაქტორებმა იქონია ზეგავლენა ამ პროცესებზე.





გრაფიკი N1, გრაფიკი N2

წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი; წყარო:რუსეთის ცენტრალური ბანკი



გრაფიკი N3, გრაფიკი N4

წყარო:აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი; წყარო:ყაზახეთის ცენტრალური ბანკი

2014 წლის მეორე ნახევარი მიიჩნევა რეგიონში განვითარებული კრიზისის ათვლის წერტილად. რუსეთ-უკრაინის ომი და დასავლეთის მიერ რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესება იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი,რამაც შემდომში კრიზისის ესკალაცია განაპირობა. როგორც

წესი, ძალოვანი სტრუქტურების ინტერვენცია და ომი აყალიბებს საეჭვო ნიადაგს ბიზნესისათვის, რაც საბოლოო ჯამში, დაკავშირებულია გაურკვევლობასთან და რისკებთან. შედეგად კი, მცირდება ნდობა ამა-თუ-იმ ქვეყნისადმი, სტაბილურობის განცდა ინვესტორებში, სუსტდება სავაჭრო ურთიერთობები, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები და სხვა.

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაშია აღნიშნული (Stepanyan, Roitman, Minasyan and others, 2015),ზემოხსენებული კრიზისის ჩამოყალიბებასა და გამწვავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრ ვარდნას მსოფლიო ბაზარზე.ნავთობპროდუქტებზე ფასების ვარდნამ კიგამოიწვია რუსული რუბლის (და ცოტა მოგვიანებით აზერბაიჯანული მანათის) გაუფასურება. თავის მხვრივ, მსოფლიო არენაზე ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება, გამოიწვია OPEC-ისა და ა.შ.შ-ის მიერ რეზერვების გახსნამ და ბაზარზე ჭარბ მიწოდებამ. რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა ზემოქმედების ფაქტორებიც, თუმცა, ჩვენ შეგვიძლია უკვე დავინახოთ ის ჯაჭვური ურთიერთდამოკიდებულება, რასაც გლობალიზაცია და ერთიანი ფინანსური სისტემის ინტრეგრაცია ეწოდება. კერძოდ კი, საუბარია შემდგომ თანმიმდევრობაზე:

- OPEC-ისა და ა.შ.შ-ის მიერ ნავთ. პროდუქტების ჭარბი მიწოდება => მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების ვარდნა => რუსეთსა და აზერბაიჯანში მკვეთრი დევალვაცია და სავალუტო კრიზისი =>რეგიონში განვითრებული სავალუტო კრიზისები.

ამრიგად, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ OPEC-ისა და ა.შ.შ-ის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ნავთობპროდუქტების ჭარბი მიწოდების თაობაზე, მართალია ირიბი, მაგრამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც ცალკეული ქვეყნების, აგრეთვე რეგიონის გაცვლით კურსებზე მთლიანობაში.რა თქმა უნდა, ამ ჯაჭვურ თანმიმდევრობას გაცილებით მცირე სიმძლავრე ექნებოდა (ან საერთოდ არ იარსებებდა), რომ არა ინტეგრირებული სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობები ქვეყნებს შორის.



გრაფიკი N5

წყარო: საკუთარი გათვლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

შენიშვნა: ინფორმაციის არარსებობის გამო, 2016 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემები დათვლილია როგორც I-III კვერტლების საშუალო არითმეტიკული.

აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი იქონია რუსეთისთვის სანქციების დაწესებამ დასავლეთის მხრიდან. სანქციებმა განაპირობა ეკონომიკური დაღმასვლა და სავაჭრო ურთიერთობების შენელება რუსეთში, ხოლო შემდგომ კი გავრცელება ჰპოვა მთელს რეგიონში. მაგალითისათვის, ეს გამოიხატებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ფულადი ნაკადების შემცირებით. გრაფიკი #5 გვიჩვენებს 2014-2016 წლებში საქართველოში შემოსულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI)მაჩვენებელს.როგორც ვხედავთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად იკლო, განსაკუთრებით კი რუსეთის ფედერაციის მხრიდან. ასევე კლებადი ტენდენცია შეინიშნება ყაზახეთის რესპუბლიკიდან, სადაც 2016 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნიშნული უარყოფითია. ყაზახეთის მსგავსად, უკრაინის 2015 წლის მაჩვენებელიც ნაგეტიურია.

თუმცა უკვე მომდევნო წელს შეინიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება. ყაზახეთისა და უკრაინის მხრიდან ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი იმის მანიშნებელია, რომ საქართველოდან ამ ქვეყნებში უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. ინვესტიციების შემცირება შედის ფინანსური არხების სიაში, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკური დაღმასვლის „გადადინება“ ერთი ქვეყნიდან მეორეში. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს რეგიონში საკმაოდ რთულე კონომიკურ მდგომარეობაზე.

უკრაინის შემთხვევაში, დიდწილად, ომმა და ომის თანმხლებ ფაქტორებმა (მაგ: რუსეთიდან ემბარგოს დაწესება) ითამაშა გადამწყვეტი როლი. უკრაინული გრივნას გაცვლითი კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში საერთო ჯამში 112%-ით გაუფასურდა (იხ. ცხრილი #1).რაც შეეხება ყაზახურ ტენგეს და აზერბაიჯანულ მანათს, აქაც შთამბეჭდავი ცვლილებები შეინიშნება - 90 და 99 პროცენტებიანი შესაბამისი ვალუტებისგაუფასურება.

ცხრილი N1

წელი	ამერიკული დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი				
	GEL	AZN	KZT	RUB	UAH
2014	1.76586	0.78486	181.37461	38.57455	12.17046
2015	2.27016	1.01035	224.82935	61.2109	22.04989
2016	2.36672	1.55821	344.66321	67.00495	25.80811
ჯამური ცვლილება	34%	99%	90%	74%	112%

წყარო:https://www.oanda.com/currency/average, მოძიებულია ჩვენს მიერ 19/01/2017

შენიშვნა: ჯამური ცვლილება გამოთვლილია ფორმულით: (წ.2016-წ.2014)/წ.2014

ცხრილი N1-დან ნათლად ჩანს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს უფრო ნაკლებად ხვდა წილად „გადადი-

ნების“ ეფექტი - ლარის გაუფასურება 34%-ით. ეს შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ ჩვენ ქვეყანას უფრო დივერსიფიცერებული აქვს სავაჭრო ურთიერთობები და ნაკლებად არი მიჯაჭვული რუსეთის ეკონომიკაზე. განსხვავებით (მაგალითად) ყაზახეთისა, რომელიც მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობაშია რუსეთთან (ორივე ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყანაა).ამას თან დაერთვის, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ნავთობპროდუქტებზე ფასების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე ფასების შემცირებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი განასხვავებს სამ ძირითად არხს, რამაც, შესაძლოა, განაპირობა რუსეთის კრიზისის „გადადინების ეფექტი“ დსთ-ს ქვეყნებში (Stepanyan, Roitman, Minasyan and others, 2015) :

1) სავაჭრო არხები:ათეული წლების მანძილზე რუსეთი არის საექსპორტოდ მნიშვნელოვანი ბაზარი როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე მრავალი სხვა ქვეყნისათვის. გეოპოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ზოგიერთ მეზობელ ქვეყნის ექსპორტი რუსეთში მთლიანი შიდა პროდუქტის 5-10 პროცენტსაც კი აღწევს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეგიონში რუსეთის ბაზრის მნიშვნელობას.შესაბამისად, რუსეთში ეკონომიკურმა რეცესსიამ გამოიწვია იმპორტის და ზოგადად სავაჭრო აქტივობების შემცირება ყოფილ საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემცირდაე.წ. „ნდობის ფაქტორი“ მოსახლეობის და ინვესტორთა მხრიდან, რაც ეკონომიკური აქტივობის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. მსოფლიო ბანკის კვლევაში „Financial Globalization, Crises, and Contagion“ (Schmukler, Zoido and Halac,2003), ნდობის დაქვეითება და პანიკა ინვესტორთა მხრიდან განიხილება როგორც ირიბი ზემოქმედების ფაქტორი.კვლევის ავტორთა აზრით, საგარეო „შოკები“ მარტივად შეიძლება გადანაცვლდეს მეზობელ ქვეყნებში. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ თუ, მაგალითად, კრიზისი განვითარდა მალაიზიაში, ინვესტორები იწყებენ ფიქრს მოსალოდნელ კრიზისებზე ინდონეზიასა და ვიეტნამში, და მაშასადამე, უფრო

ერიდებიან ფულის დაბანდებას ამ ქვეყნებში. თუმცა, ირიბი ზემოქმედების ფაქტორის გაანგარიშება საკმაოდ რთული დასათვლელია.

2) ფულადი გზავნილების არხები:ფულადი გზავნილების კლება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არხი დსთ-ს ქვეყნებისათვის, ვინაიდან ამ რეგიონის მოსახლეობა აქტიურად მიემგზავრება საზღვარგარეთ სამუშაოდ. ერთის მხვრივ, რუსეთში შრომითი მიგრანტების სიჭარბემ, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები, რადგან სოციალური დაძაბულობის შემთხვევაში, მიგრანტები იძულებულნი არიან დაუბრუნდნენ სამშობლოს. მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნებულ მიგრანტებს შეუძლია ახალი უნარების და კონტაქტების თავიანთ ქვეყნებში შემოტანა, ისინი ქმნიან დამატებით ზეწოლას შრომის ბაზარზე, იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი და ა.შ.მეორეს მხვრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ ფულადი გზავნილები, უმეტესწილად, დომინირებულია მყარ ვალუტაში (აშშ დოლარი). ხოლო ასეთი გზავნილების შემცირება, იწვევს მოსახლეობაში დოლარის ვალუტის უკმარისობას, რაც თავის მხვრივ, ზრდის მოთხოვნას დოლარზე და ნეგატიურად მოქმედებს შესაბამისი ქვეყნების გაცვლით კურსებზე.

3) ფინანსური არხები: ფინანსური არხების ზეგავლენა ჩვენს რეგიონზე ნაკლებად ხასიათდება, რადგან ფინანსური სისტემა უმეტეს დსთ-ს ქვეყნებშიჯერ კიდევ ემბრიონულ სტადიაშია. განსაკუთრებით კი, ეს ეხება საფონდო ბირჟების და ფინანსური ინსტრუმენტების არარსებობას/განუვითარებლობას.ფინანსურ არხებში გამონაკლისს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, როგორც უკვე აღინიშნა ზემოხსენებულ ანალიზში (გრაფიკი #5).

ამრიგად, ყოფილ საბჭოთა ქვეყნების მაგალითზე (რუსეთი, აზერბაჯანი, ყაზახეთი, საქართველო, უკრაინა), ფინანსური გლობალიზაციის ანალიზმა აჩვენა, თუ რა როლი ითამაშა ფინანსურ ინტეგრაციამ საქართველოში განვითარებულ სავალუტო კრიზისის ჩამოყალიბებაში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანა გამოეთიშოს ღია ეკონომიკას, რაც შეუძლებელიცაა,

მაგრამ ვთვლით, რომ ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების, პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს გლობალურ ფინანსურ სამყაროში მოქმედების სქემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს გლობალიზაციის უარყოფით გავლენას. ეს რა თქმაუნდა რთული, მაგრამ განხორციელებადია, სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2010): Financial Globalization and Economic Policies;

2) Bumann, S., Hermes, N., Lensink, R., (2012): Financial liberalisation and economic growth: A meta-analysis;

3) Schmukler S.L., Zoido P., andHalac M., (2003): Financial Globalization, Crises, and Contagion.

4) Stepanyan A., Roitman A., Minasyan G.,Ostojic D., Epstien N., (2015): The Spillover Effects of Russia's Economic Slowdown on NeighboringCountries

5) OANDA, https://www.oanda.com/currency/average

6) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/;

7) საქართველოსეროვნულიბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2;

8) National Bank of Kazakhstan, http://www.nationalbank.kz/?&switch=kazakh

9) Central Bank of the Republic of Azerbaijan, http://en.cbar.az/

10) The Central Bankof the Russian Federation, https://www.cbr.ru/eng/

REFERENCES:

1) Prasad, E., Rogoff, K., Wei, S-J., Kose, M.A., (2010): Financial Globalization and Economic Policies;

2) Bumann, S., Hermes, N., Lensink, R., (2012): Financial liberalisation and economic growth: A meta-analysis;

3) Schmukler S.L., Zoido P., andHalac M., (2003): Financial Globalization, Crises, and Contagion;

4) Stepanyan A., Roitman A., Minasyan G.,Ostojic D., Epstien N., (2015): The Spillover Effects of Russia's Economic Slowdown on NeighboringCountries;

5) OANDA, https://www.oanda.com/currency/average;

6) National Bank of Kazakhstan, http://www.nationalbank.kz/?&switch=kazakh;

7) Central Bank of the Republic of Azerbaijan, http://en.cbar.az/;

8) The Central Bankof the Russian Federation, https://www.cbr.ru/eng/;

9) National statistics center of Georgia, http://www.geostat.ge/;

10) National Bank of Georgia, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2.

FINANCIAL GLOBALIZATION AND CURRENCY CRISIS: INTERCONNECTION AND ANALYSIS OF THE RESULTS

AsieTsintsadze,
Professor, Batumi Shota
Rustaveli State University
Beka Phutkaradze,
PhD Student, Batumi Shota
Rustaveli State University

RESUME

The paper aims to analyze the disadvantages of financial globalization, with particular attention paid to the post-Soviet countries (Russia, Azerbaijan, Kazakhstan, Georgia, and Ukraine). The article discusses what factors led to currency crisis in this region started from the year 2014 and whether it was connected with the financial globalization.

Keywords: Financial globalization, currency crisis, post-soviet region.

ლათინური ამერიკის რეგიონის ენერგოპოლიტიკა: ალტერნატიული ენერგიის მოპოვებისა და გამოყენების პერსპექტივები

ამზა ჩარგაზია, ნესტან ჯაჭვლიანი,
თსუ ბალაკავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

ლათინური ამერიკა ენერგეტიკულად მდიდარ რეგიონს წარმოადგენს. ბოლო ხანებში, რეგიონში არსებობს განსაკუთრებული ინტერესი ალტერნატიული ენერგიის წარმოებისადმი. გარკვეული ქვეყნები (მაგ. ჩილე, კოსტა რიკა, ურუგვაი და სხვ.) ქმნიან შესაფერის საკანონმდებლო ბაზას იმისათვის, რომ ზუსტად შესრულდეს დასახული მიზანი ალტერნატიული ენერგიის წილის ზრდისა. უნდა აღინიშნოს კოსტა რიკის მაგალითი, რომელიც უკვე 8 თვეზე მეტია, რაც მთლიანად განახლებად ენერგიაზე მუშაობს. ლათინური ამერიკის მაჩვენებლები შთამბეჭდავია, მაგრამ რეგიონში არსებობს ისეთი გარემოებები, რომელიც ხელს უშლის ამ დარგის განვითარებას, კერძოდ, უკვე არსებული ენერგეტიკული კონფიგურაცია და ამ სფეროში არსებული ენერგეტიკული ურთიერთობები ქვეყნებს შორის. უფრო მეტიც, შეინიშნება სკეპტიკურობა ალტერნატიული ენერგიის ხარჯებისა და სტაბილურობისადმი. მიუხედავად ამისა, ლათინურ ამერიკაში ამ მხრივ ვითარება უმჯობესდება, რაც შეიძლება საერთაშორისო აქტივობებით აიხსნას.

საკვანძო სიტყვები: ლათინური ამერიკა, განახლებადი ენერგია, მზის ენერგია, ბიომასა, კონვენციური ენერგია, ენერგეტიკული პოლიტიკა.

შესავალი

ლათინური ამერიკის რეგიონი ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონს წარმოადგენს. მაგალითისთვის, „ალ ჯაზირას“ ინტერნეტგამოცემის მიხედვით, 2011 წლისთვის ლათინური ამერიკა მსოფლიო ნავთობის მარაგის 1/5-ს ფლობდა. ვენესუელის

რეზერვები გაიზარდა 297 მილიარდ ბარელამდე მძიმე ნავთობის აღმოჩენით ორინოკოს სარტყელის რეგიონში, ხოლო ამასთან ბრაზილიის ნავთობის მოცულობაც იმატებს (Ortiz, 2011). მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი სასარგებლო წიაღისეულით მდიდარია, აქ მკვეთრად იზრდება ალტერნატიული ენერგიის წყაროებისადმი ინტერესი. ჟურნალ „ეკონომისტის“ მიხედვით, ლათინური ამერიკა უახლოეს მომავალში გახდება ლიდერი ალტერნატიული ენერგიის წარმოებაში (Bello, 2016). ამ რეგიონის პერსპექტივები მოცემული მიმართულებით მართლაც მზარდია, თუმცა აქვე ჩნდება კითხვა: გახდება თუ არა მართლაც ლათინური ამერიკა ლიდერი ალტერნატიული ენერგიის მოპოვებით და ჩაანაცვლებს თუ არა ეს მიმართულება ისტორიულად განვითარებულ პოლიტიკურ-ენერგეტიკულ კონფიგურაციას რეგიონში (რისი მაგალითიცაა ვენესუელის მიერ წარმოებული „ნავთობის დიპლომატია“)? მოცემულ კითხვაზე პასუხი ცალსახა ვერ იქნება იმის გათვალისწინებით, რომ სამომავლო პერსპექტივებზე საუბარი ყოველთვის სათუოა, მაგრამ დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით შეგვიძლია, გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ.

ძირითადი ნაწილი

ლათინურ ამერიკაში უკვე წარმატებით განხორციელდა რამდენიმე ალტერნატიული ენერგიის პროექტი. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოდან 600კმ-ით დაშორებული მზის ენერგიის სადგური „ელ რომერო“, რომელიც ატაკამას უდაბნოში მდებარეობს და 775 000 მზის პანელისგან შედგება. მოცემული სადგურის ხარჯები ესპანურმა კომპანია ACCIONA Energía-მ გაიღო, კერძოდ, ჩაიდო $343 მილიონის ინვესტიცია. 2017 წლის აპრილისთვის ის 196 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც საკმარისია მილიონიანი ქალაქის ელექტროენერგიით მოსამარაგებლად. რეგიონში ჩილეს გარდა აღსანიშნავია კოსტა რიკის მაგალითიც, რომელიც უკვე 8 თვეზე მეტია, რაც მთლიანად სუფთა, განახლებად ენერგიას მოიხმარს. მას მოჰყვება ურუგვაი, რომელიც თითქმის მიუახლოვდა კოსტა რიკის მაჩვენებლებს. როგორც IEA (International Energy Agency) იუწყება, ლათინურმა ამერიკამ 2016 წელს თავისი ენერგიის 53%

განახლებადი წყაროებიდან აწარმოა, შედარებისთვის, მსოფლიოს საშუალო მონაცემი 22%-ია (Bello, 2016).

ეჭვგარეშეა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, თანამედროვე მსოფლიო განახლებადი ენერგიისკენ ტრანზიციის პროცესშია. 2015 წელს „განახლებადი ენერგიის ინვესტიციების გლობალური ტრენდების“ მიერ გამოცემული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში ინვესტიციებმა განახლებადი ენერგიის სექტორში 2004-2014 წლებში $2 ტრილიონზე მეტი შეადგინა, საიდანაც მხოლოდ 2014 წელს $270 მილიარდის ინვესტიცია განხორციელდა. ამ მასშტაბურ პროცესში ლათინური ამერიკის წილი საკმაოდ დიდია (Candiales, 2015).

იმისათვის, რომ უკეთ აღვიქვათ რეგიონის პოტენციალი ამ სფეროში, ქვემოთ განხილული იქნება ის, თუ რა მდგომარეობაა უკანასკნელ წლებში ენერგეტიკის სფეროში და რა როლს თამაშობს განახლებადი ენერგია ცალკეული ქვეყნების რეალობაში **Norton Rose Fulbright**-ის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით.

არგენტინა

არგენტინაში 2015 წელს ენერგიის გენერირების 54% გაზზე მოდიოდა. ლათინური ამერიკის რეგიონში ის ენერგიის ბაზარზე სიდიდით მესამე ქვეყანაა. თუმცა არგენტინის კანონ No. 21,191 მიხედვით, ელექტროენერგიის წარმოება განახლებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოადგენს საზოგადო ინტერესის სფეროს და შესაბამისად, 2017 წლის ბოლოს ეროვნული ენერგეტიკის 8% უნდა იყოს სწორედ ამ წყაროებიდან მოწოდებული. არგენტინამ დაისახა გრძელვადიანი მიზანი, რის შედეგადაც 2025 წლისთვის ენერგიის მოთხოვნის 20% განახლებადი ენერგიის წყაროებიდან უნდა იყოს მოწოდებული. არგენტინას გააჩნია სერიოზული პოტენციალი ქარის, მზისა და ბიომასის გამოყენებით. გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ ქარის საშუალო სიჩქარე 5მ/წმ ან უფრო მეტი, ქმნის ქარის ენერგიის გენერირების საშუალებას. არგენტინის ტერიტორიის დაახლოებით 70%-ზე ქარის საშუალო სიჩქარე არის 6მ/წმ ან მეტი მაშინ, როცა პატაგონიის მიდამოებში ის 9მ/წმ-საც აღწევს. არგენტინას გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ გახდეს რეგიონის ლიდერი ამ ტექნოლოგიაში.

ბრაზილია

ბრაზილიას აქვს კარგად განვითარებული ჰიდრო და სხვა განახლებადი ენერგიის სექტორი, რომელიც მთლიანი შიდა ენერგიის მოხმარების 39%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მას გააჩნია გამოუყენებელი პოტენციალი ქარისა და მზის ენერგიის სფეროებში. ბრაზილიას მიიჩნევენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ბაზარს ნაკლებად დამაბინძურებელი ენერგიის წარმოების სფეროში ინვესტიციებისათვის. The Bloomberg Climatescope-ის ანგარიშის მიხედვით, ბრაზილია მსოფლიოში მეორე ქვეყანაა მისი ბაზრის მიმზიდველობის მიხედვით, ხოლო EY Renewable Energy Country Attractiveness Index-ის მიხედვით, ბრაზილია 40 ქვეყნიდან მეცხრე ადგილზეა (ლათინური ამერიკის რეგიონში ის საუკეთესოდ შეფასდა). არგენტინისგან განსხვავებით, არ არსებობს ალტერნატიული ენერგიის ზრდისთვის კანონში გაცხადებული მიზნები. მიუხედავად ამისა, ის მაინც გეგმავს 2030 წლისთვის არა-ჰიდრო განახლებადი ენერგიის წყაროების წილის 20%-მდე გაზრდას. როგორც აღინიშნა, ბრაზილიას აქვს დიდი პოტენციალი ქარის ენერგიის მიმართულებით. სწორედ ეს სექტორი იზიდავს ინვესტორების უმეტესობას, რადგან პოტენციალი წარმოუდგენლად დიდია და შეადგენს 300 გიგავატს. 2009-2014 წლებში ქარის ენერგიის წარმოება გაიზარდა 891%-ით და 2014 წელს განახლებადი ენერგიის სფეროში ჩადებული ინვესტიციების 84% სწორედ აქ განაწილდა. 2015 წლის ბოლოს დამონტაჟდა 281 ერთეული ქარის ტურბინა, რომელიც დაახლოებით 7.1 გიგავატს გამოიმუშავებს. ეს მაჩვენებელი რომ შევადაროთ BRIC-ის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ინდოეთი (20 გიგავატი) და ჩინეთი (90 გიგავატი), აშკარად ჩანს, რომ ბრაზილიას აქვს დიდი გამოუყენებელი პოტენციალი ამ მიმართულებით.

ჩილე

ჩილეს განახლებადი ენერგიის წყაროების ბაზრის წახალისება წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ პრეროგატივას. 2014 წლის აგვისტოში, მთავრობამ გასცა 76 დოკუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს 30 კომპანიას, განავითაროს 3.1 გიგავატი

ქარისა და მზის ენერგიის პროექტები. ამავე დროისთვის, უკვე არსებული განახლებადი ენერგიის მოცულობა მთლიანი ენერგეტიკული მოცულობის 8.7%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც 2015 წლის აგვისტოსთვის (ზუსტად ერთ წელიწადში) ეს მონაცემი 11.24%-მდე გაიზარდა. მთავრობა გეგმავს განახლებადი ენერგიის წარმოების წილის გაზრდას 20%-მდე 2025 წლისთვის. ჩილეს მზარდი მიმზიდველობა განახლებადი ენერგიის წყაროებში ნათლად აისახება EY Renewable Energy Country Attractiveness Index-ის მონაცემებში, როდესაც 2013 წლის თებერვალში ის 33-ე პოზიციაზე იყო, ხოლო 2015 წლის სექტემბრისთვის მეცხრე ადგილი დაიკავა. მეორე გავლენიანმა ორგანიზაცია Business Monitor International-მა თავის ბოლო Power Risk-ის შეფასებისას ჩილეს მიანიჭა მეორე ადგილი ენერგიის ბაზარზე რეგიონში (მექსიკის შემდეგ). ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ მთავრობა ქმნის მიმზიდველ საკანონმდებლო ბაზისს ბიზნესისთვის, რათა ქვეყანაში არ შეიქმნას დამატებითი დაბრკოლებები სამთავრობო სექტორის მხრიდან.

მექსიკა

მექსიკაში განახლებადი ენერგიის წარმოების პერსპექტივები ყურადღების ცენტრშია მას შემდეგ, რაც ქვეყნის ენერგეტიკული სექტორი სახელმწიფო კომპანია CFE-ს მიერ იყო მონოპოლიზებული, რაც ზღუდავდა კერძო ჩართულობას 75 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, 2013 წლის დეკემბერში დამტკიცდა ახალი კონსტიტუციური რეფორმა, რომელმაც კერძო ინვესტიციების ლიბერალიზაციას შეუწყო ხელი და ენერგეტიკის სექტორი გარდაქმნა კონკურენტუნარიან ბაზრად. ამის შემდეგ, 2014 წელს მთლიანმა ინვესტიციებმა ამ სექტორში შეადგინა $2.4 მილიარდი („ამერიკის საერთაშორისო ვაჭრობის ადმინისტრაციის“ ინფორმაციით). მექსიკაში განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარების მთავარი ინსტრუმენტია 2008 წელს მიღებული კანონი „განახლებადი ენერგიის განვითარებისა და ენერგიის ტრანზიციის ფინანსირების შესახებ“ (Law for the Development of Renewable Energy and Energy Transition Financing

LAERFTE). ამ კანონის მიხედვით, მექსიკამ მოახდინა 2013-2017 წლების ენერგიის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაცია, რომლის მიხედვით 2014 წლისთვის ენერგიის 35% წილი უნდა მოდიოდეს განახლებად წყაროებზე (იგულისხმება ქარის, მზის, მინი-ჰიდრო, ბიომასის, გეოთერმული და ტალღების ენერგია, ასევე დიდი ჰიდროელექტრო სადგურები და სადაოა, მაგრამ ბირთვული ენერგიაც). მექსიკას აქვს მდიდარი მზის ენერგიის რესურსები, განსაკუთრებით ე.წ. მზის სარტყელის რეგიონში, სადაც მზის გამოსხივება არის უფრო მეტი, ვიდრე 2 200 კილოვატსაათი/კვადრატულ მეტრზე ყოველწლიურად, რაც შედარებისთვის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გერმანიის ამჟამინდელი მზის ენერგიის მოცულობა. 2015 წლის აგვისტოში, ქვეყნის მზის ენერგიის ასოციაციამ (ANES) 2025 წლისთვის დააანონსა 3 გიგავატი მზის ენერგიის წარმოება.

ურუგვაი

მაღალი მშპ-ისა და ენერგიის ინდუსტრიული მოხმარების ზრდის შედეგად, ურუგვაის მოთხოვნა ენერგიაზე განუწყვეტლივ იზრდება. ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი ეროვნული სასარგებლო წიაღისეული და ვინაიდან მას აქვს ჰიდროელექტრო სადგურები, ისინი ვერ ფუნქციონირებენ წელიწადის მშრალ პერიოდში, რაც აიძულებს ქვეყანას, შეისყიდოს ელექტროენერგია არგენტინისგან დაახლოებით $400-ად ერთ მეგავატ-საათზე. 2008 წელს, ნაციონალურმა კონგრესმა განსაზღვრა „ურუგვაის ენერგეტიკული პოლიტიკა“ (Política Energética Uruguay 2030) 2030 წლისთვის, რომლის მიხედვითაც 2015 წელს ენერგიის მოთხოვნის 15% უნდა დაკმაყოფილებულიყო განახლებადი წყაროებიდან (ქარის, ბიომასის და მიკრო-ჰიდრო პროექტები). უკვე 2013 წელს მოცემული მიზანი გადაიხედა და მთავრობის ამბიციური მიზანი უკვე 90% გახდა 2015 წლისთვის. თუმცა, 2015 წლის ივნისში, გონსალო კასარავილას, სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ ელექტროსადგურ UTE-ს თავმჯდომარის, განცხადებით, ამ სამიზნე წერტილმა 2016 წლის ბოლოსკენ გადაიწია. ურუგვაის აქვს უზარმაზარი ქარის რესურსები და ის 2014 წელს „მსოფლიო ქარის ენერგიის ასო-

ციაციამ“ დაასახელა ყველაზე სწრაფად მზარდ ქარის ენერგიის ბაზრად. ქვეყანა აწარმოებს 600 მეგავატ ენერგიას და დამატებითი 600 მეგავატის სადგურები ახლა მშენებლობის პროცესშია. EY Renewable Energy Country Attractiveness Index-ის წინასწარი გათვლებით, ურუგვაი გახდება ქარის ენერგიის გლობალური ლიდერი, რადგან მთლიანი ენერგიის მოცულობა 2017 წელს მიაღწევს 30%-ს. UTE-ს განცხადებით, ქვეყანა შეძლებს, აწარმოოს თავისი ენერგიის 38% ქარის წყაროებიდან 2017 წლის ბოლოსთვის. ქვეყნის მთავრობა ხელს უწყობს ასევე ოკეანის მიღმა არსებული კომპანიების შემოსვლას (მაგალითად, ქვეყანაში უკვე არის Nordex და Gamesa). აუქციონების საშუალებით, 2013 წელს დაახლოებით 21 პროექტი დაჯილდოვდა კონტრაქტებით. დაახლოებით $2 მილიარდი დაიხარჯება ქარის ენერგიის სადგურის ასაშენებლად, რაც ქვეყნის ისტორიაში იქნება ყველაზე დიდი ინვესტიცია. 2014 წლის მარტში დასრულდა 140 მეგავატიანი პამპას ქარის ენერგიის სადგური, რომელმაც მუშაობა დაიწყო 2016 წელს და გახდა ყველაზე დიდი სადგური ქვეყანაში. გარდა ქარისა და ბიომასისა, ქვეყანაში ასევე არის საკმარისი მზის გამოსხივება. UTE-ს განცხადებით, „Plan Solar”-ის ფარგლებში, 2013 წელს მზის გამოსხივებით წარმოებული ენერგია 362 მეგავატ/საათიდან გაიზარდა 653 მეგავატ/საათამდე 2014 წელს (Norton Rose Fulbright, 2016).

ზემოთ მოცემული ცალკეული ქვეყნების მოკლე მიმოხილვა მართლაც შთამბეჭდავია, ვინაიდან რეგიონში განახლებადი ენერგიის წარმოებისთვის ყველა შესაძლო რესურსი არსებობს. თუმცა, სინამდვილეში სიტუაცია ამ მხრივ არ არის ისეთი პოზიტიური ან ოპტიმისტური, როგორც გვეჩვენება, ან როგორც ზოგიერთი სტატისტიუკური მონაცემები გვიბიძგებს, რომ დავიჯეროთ. არსებობს არაერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდება განახლებადი ენერგიის იმპლემენტაციასა და მათ გავლენას გარესამყაროსა და საზოგადოებაზე (Wharton, 2016). ამ კონტექსტში, მთავარ პრობლემას წარმოადგენს რეგიონში არსებული ენერგეტიკული განვითარების პოლიტიკა. უმეტეს შემთხვევაში, ენერგეტიკის პოლიტიკამ და სტრატეგიებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამორიცხა განახლებადი ენერგიის წარმოება, ვინაიდან ეს საკ-

მაოდ ძვირი ჯდება ან ქვეყანას არ გააჩნია მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც რეგიონში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ნავთობი, გაზი და დანერგეს ჰიდროენერგიის მოპოვება, ამან გახადა 'კონვენციური' ენერგიის წყაროების გამოყენება უფრო მარტივი, იაფი და ტექნიკურად შესაძლებელი, ვიდრე განახლებადი ენერგიის მომპოვებელ ტექნოლოგიებში ინვესტიციისას იქნებოდა. სხვა, უფრო გავრცელებული ახსნა არის ის, რომ განახლებადი ენერგიის გამოყენების განვითარება რეგიონში ძლიერი აქტორების ინტერესებს ეწინააღმდეგება, განსაკუთრებით დიდი ენერგეტიკული კონცერნების. შესაბამისად, დღეს ლათინური ამერიკის განახლებადი ენერგიის სექტორში დომინირებს ამგვარი ენერგიის მხოლოდ ორი ფორმა: ჰიდრო და ბიოსაწვავი, რომელიც შესაბამისად ქმნის მთელი განახლებადი ენერგიის 36% და 62%-ის წილს. განახლებადი ენერგიის სხვა წყაროები მთლიანი ენერგიის წარმოების მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ენერგიის ეს ორი ფორმა ყოველთვის არ არის ადეკვატური და ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი "განახლებადობა" და "სტაბილურობა" (Janssen & Rutz, 2011). პირველ რიგში, ჰიდროენერგიის ასეთი ფართო გამოყენება აიხსნება ლათინური ამერიკის ქვეყნების სურვილით, იყვნენ უფრო ნაკლებად დამოკიდებული სასარგებლო წიაღისეულზე. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრაზილია, პარაგვაი და ცენტრალური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა, ამ ენერგიის წილი 90%-ია. ამან შექმნა გარკვეული პრობლემები, კერძოდ, როდესაც შედარებით მშრალი პერიოდია, ენერგიის გამომუშავების მასშტაბები მკვეთრად ეცემა. უფრო მეტიც, ჰიდროენერგიის წარმოებამ გამოიწვია გარემოს პრობლემები ამაზონის ტროპიკულ ტყეებში. მაგალითისთვის, ტუკურუის ჰიდროელექტრო სადგურმა დატბორა დაახლოებით 2 400 კვადრატული მეტრი ფართობის ტროპიკული ტყე და გამოიწვია 30 000-მდე ადგილობრივის იძულებითი მიგრაცია საკუთარი ტრადიციული საცხოვრებლიდან (Fearnside, 2011). რაც შეეხება ბიოსაწვავს, მისი წილი განახლებადი ენერგიის წყაროებში ეცემა რეგიონალურ დონეზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სტატისტიკური მონაცემები არ განასხვავებს ტრადიციულ

და ინდუსტრიულ/თანამედროვე ბიოსაწვავს. ტრადიციულ ბიოსაწვავში იგულისხმება ენერგიის ისტორიული მოხმარება (მაგ. შეშის ან ბალახის წვით გათბობა), მაშინ, როდესაც ინდუსტრიული/თანამედროვე ფორმები გულისხმობს ისეთი ბიოსაწვავის წარმოებას, როგორიცაა ეთანოლი და შაქრის ლერწამი. ორივე ბიოსაწვავის სახეობა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, სამოქალაქო ჯგუფისა და კონკრეტული მთავრობების წარმომადგენლების კრიტიკის ქვეშ მოექცა. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ინდუსტრიული ბიოსაწვავი არ ამცირებს სათბურის ეფექტის გამომწვევ გაზებს და გარემოს უქმნის საფრთხეს მაშინ, როდესაც ტრადიციული ბიოსაწვავის მოპოვება ტყეების გაჩეხვას იწვევს. შესაბამისად, ცხადია, რომ დღევანდელი სიტუაცია განახლებადი ენერგიის წყაროებთან დაკავშირებით ლათინურ ამერიკაში უფრო ცუდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს (Meisen & Krumpel, 2009).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ლათინური ამერიკის რეგიონში განახლებადი ენერგიის მოპოვება ერთ-ერთი პრეროგატივაა. ქვეყნების გარკვეული ნაწილი (მაგ. ჩილე, კოსტა რიკა და სხვ.) ასეთი ენერგიის წყაროებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტად სახავს. თანაც, რეგიონი გახლავთ უნიკალური იმით, რომ განახლებადი ენერგიის არაერთი წყაროსთვის არის შესაფერისი, რაც მსოფლიოს სხვა რეგიონებს არ გააჩნიათ (მაგ. მზის, ჰიდრო, ქარის ენერგია, ბიომასა და სხვ.). თუმცა, მიუხედავად პოტენციალისა, რეგიონში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის ცვლილების მიმართ სკეპტიციზმი შეინიშნება. ე. წ. "კონვენციური" ენერგიის წყაროები (ნავთობი და გაზი) დღემდე რჩება მთავარ მამოძრავებლად, რასაც ხელს უწყობენ დიდი ენერგეტიკული კომპანიები. თანაც უნდა აღინიშნოს განახლებადი ენერგიის წყაროების წილის სიმცირე იმასთან შედარებით, თუ რა პოტენციალი გააჩნიათ ქვეყნებს. შესაბამისად, რთულია არსებული პირობების შეცვლა. ამის საპირისპიროდ, გაზრდილი ინვესტიციები

იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ განახლებადი ენერგია გახდება რეგიონში ტრენდი და მოწინავე, ვინაიდან ეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან თანხვედრაშია. ლათინური ამერიკის ენერგეტიკული პოლიტიკის კომპლექსურობიდან გამომდინარე, განახლებადი ენერგია მაინც მნიშვნელოვანი საკითხია როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო სისტემაში.

REFERENCES:

1. Bello. (2016, December 10). The Power of the Adrean sun. Retrieved from The Economist: http://www.economist.com/news/americas/21711307-power-andean-sun-latin-america-set-become-leader-alternative-energy

2. Candiales, C. (2015, August 19). Why Renewable Energy in Latin America is a Winner. Retrieved from Renewable Energy World: http://www.renewableenergyworld.com/articles/2015/08/why-renewable-energy-in-latin-america-is-a-winner.html

3. Fearnside, P. (2011, March). Environmental Impacts of Brazil's Tucuruí Dam: Unlearned Lessons for Hydroelectric Development in Amazonia. Environmental Management, pp. 377-396.

4. Janssen, R., & Rutz, D. D. (2011, October). Sustainability of biofuels in Latin America: Risks and opportunities. Energy Policy, pp. 5717-5725.

5. Meisen, P., & Krumpel, S. (2009, December). Renewable Energy Potential of Latin America. Retrieved from Global Energy Network Institute: http://www.geni.org/globalenergy/research/renewable-energy-potential-of-latin-america/Potential%20of%20Renewables%20in%20Latin%20America-edited-12-16%20_Letter_.pdf

6. Norton Rose Fulbright. (2016). Renewable energy in Latin America. London: Norton Rose Fulbright. Retrieved from http://www.nortonrosefulbright.com/files/renewable-energy-in-latin-america-134675.pdf

7. Ortiz, G. (2011, July 16). Latin America holds one fifth of world's oil. Retrieved from Al Jazeera: http://www.aljazeera.com/indepth/features/2011/07/201171613719358164.html

8. Wharton. (2016, August 19). The Bright Outlook for Renewable Energy in Latin America. Retrieved from Wharton - University of Pennsylvania: http://knowledge.wharton.upenn.edu/article/bright-outlook-renewable-energy-latin-america/

THE ENERGY POLICY OF LATIN AMERICA: PERSPECTIVES OF GENERATING AND EXPLOITING OF ALTERNATIVE ENERGY SOURCES

Amza Chargazia, Nestan Jachvliani,
Bachelor Students, TSU

RESUME

The region of Latin America is one of the energetically richest regions worldwide. Recently, there is a wide interest toward using and producing the alternative sources of energy. Some of the countries in the region (for instance, Chile, Costa Rica, Uruguay and etc.) create the suitable legislative basis for fulfilling the aim of increasing the alternative energy exploitation. The remarkable example is Costa Rica, which ran purely on renewable power for last 8 months in 2016. The rates in Latin America are impressive, but there are occasions that obstruct the development of this sphere, thus, the existing energy configuration (aka 'conventional' energy) and the relations between countries in the region. Moreover, there is a serious skepticism towards the expenses and stability of alternative energy resources (for example, the suitable natural condition). Nevertheless, the general situation in Latin America is being improved and this process can be explained by the global activities and interests towards using pure energy sources.

Keywords: Latin America, renewable energy sources, solar energy, biomass, 'conventional' energy, energy policy.

მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი-ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი

ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ ას. პროფესორი

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

შესავალი

მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი ესტონური მოდელის შემოღება საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია შიდა, ადგილობრივი, სამამულო ინვესტორებისათვის, ბიზნეს სექტორისათვის, რადგან რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადიდან თავისუფლდება. ახალი საკანონმდებლო სიახლის მიზანია საინვესტიციო გარმოს გაუმჯობესება, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და, საერთოდ, ინვესტიციების სტიმულირება. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი ესტონური მოდელი გულისხმობს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას. საუბარია იმაზე, რომ მოგება, რომელიც შეიქმნება ეკონომიკაში, დაიბეგრება მხოლოდ მისი განაწილების, დივიდენდად გაცემის შემთხვევაში. ხოლო, თუ მოხდება მოგების რეინვესტირება, კომპანიები მოგების გადასახადს არ გადაიხდიან.ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსის ადგილზე არსებული პოტენ-

ციალის მობილიზებას, პირველ რიგში კი ადგილობრივი ინვესტიციების წახალისებას.

რეზიუმე

მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი ეს არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვქონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო, დამატებით თანხა დავუტოვოთ ქვეყანას ბიზნესისათვის, რომელიც მობილიზებული იქნება ისევ ბიზნესში, გამოყენებას ჰპოვებს როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტირებისთვის. ეს უნიკალური მოდელია რეგიონში , რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ესტონური მოდელი, რეინვესტირება, ელექტრონული რეზიდენცია.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო გამოცდილებით დადასტურებულია რომ მცირე ქვეყნებისათვის, (როგორიც , მაგალითად, საქართველოა), მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, წარმოების გაფართოებას, დასაქმების ზრდას, მეტი დოვლათის შექმნას, რაც საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია. საკანონმდებლო სიახლის მიზანია: ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ეკონომიკური ზრდის დაჩქარება.

საქართველოში მოგების გადასახადის რეფორმამდე მოქმედებდა მოგების გადასახადის კლასიკური - ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი 15% გადაიხდება, როდესაც საწარმოს წარმოეშობა მოგება. დივიდენდის გაცემა დამფუძნებელ რეზიდენტ საწარმოზე არ იბეგრებოდა. მეორე ეტაპზე დაბეგვრა 5 %-ით ხდებოდა დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის. რეფორმის შედეგად, გადასახადის განაკვეთები იგი-

ვე დარჩა, პრაქტიკულად არ შეიცვალა დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა გადავადდა მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დროფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე დივიდენდის გაცემის მომენტამდე[1.გვ.8]. მოგების გადასახადის რეფორმა 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, რომლის მიხედვით ბიზნესი მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება და მხოლოდ დივიდენდი დაიბეგრება, გამონთავისუფლებული თანხის ძირითადი ნაწილი კი სწორედ ბიზნესის ხელშეწყობას და განვითარებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას მოხმარდება. გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის მოგების გადსახადს, თუკი არ გაანაწილებს მოგებას, ან არ გასწევს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან კავშირში არ მყოფ ხარჯებს.შედეგად, 2017 წლის ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან 500 მლნ ლარით ნაკლები შევა, ვიდრე ძველი დაბეგვრის წესის პირობებში შევიდოდა, რომლის დასაბალანსებლად მთავრობას ან ბიუჯეტის ხარჯები უნდა შეემცირებინა, ან სხვა წყაროებიდან უნდა გაეზარდა შემოსავლები. ამიტომ მთავრობამ ხარჯები 2016 წელთან შედარებით დაახლოებით 800 მლნ ლარით გაზარდა და მის დასაფინანსებლად აქციზის გადასახადი გაზარდა. თუმცა, მხოლოდ აქციზის ზრდა საკმარისი არ არის და 2017 წელს (2016 წელთან შედარებით) მთავრობა ალბათ 400 მლნ ლარით მეტ ვალს აიღებს.აქციზის გადასახადის ზრდა ორმა გარემოებამ განაპირობა: 1. „საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ მთავრობას საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების (გარდა აქციზისა) ზრდას და ახალი გადასახადის შემოღებას უკრძალავს, თუ ამას რეფერენდუმის გზით არ გააკეთებს. შესაბამისად, რადგან ეს კანონი გამონაკლისს უშვებს აქციზზე, მთავრობამ გამონაკლისით ისარგებლა.2. აქციზის გადასახადი ძირითადად დაწესებულია ისეთ პროდუქტებზე, რომლებზეც მოთხოვნა არაელასტიკურია. ეს ნიშნავს, რომ აქციზური საქონელი მომხმარებლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს და თუ მნიშვნელოვნად არ გაუძვირეს, მოხმარებას არ მოუკლებს ან ნაკლებად მოუკლებს.

იცვლება თუ არა საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული მოდელი? დიახ, იცვლება. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების აღიარება ხდებოდა მათი განხორციელებისთანავე(და არა როცა მოხდებოდა ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების შემოსვლა ან გადახდა) და ისინი აისახებოდა იმ პერიოდის ბუღალტრულ რეესტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებში, რომელსაც თარიღით მიეკუთვნებოდნენ[3.გვ.18]. მაგ. მოგების გადასახადით იბეგრებოდა სამეურნეო წელს მიღებული მოგება, რომელიც გადაიხდებოდა მომდევნო წლის 1 აპრილამდე. ამასთან ასევე ვიხდიდით საავანსოებს მიმდინარე წელში.

მაგალითი:

- კომპანიამ შეიძინა საქონელი დეკემბრის თვეში 10 ათას ლარად, რომლის რეალიზაციაც მოახდინა იმავე თვეში 16 ათას ლარად, მაგრამ მყიდველის მიერ თანხა არ ანაზღაურებულა იმ წელს:

- 2017 წლამდე - კომპანია იხდის მოგების გადასახადს 900 ლარს (მოგება 6000*15%). დარიცხვის მეთოდიდან გამომდინარე კომპანიას საქონლის რეალიზაციიდან მიუღებელი თანხა მაინც შემოსავლად ეთვლებოდა და იბეგრებოდა მოგების გადასახადით.

- 2017 წლიდან - კომპანია აღარ იხდის მოგების გადასახადს;

კომპანიები გადასახადით დაიბეგრებიან მხოლოდ მაშინ, როცა მოგებას განაწილებენ, **მაგალითი**:

- კომპანიამ შეიძინა საქონელი დეკემბრის თვეში 10 ათას ლარად, რომლის რეალიზაციაც მოახდინა იმავე თვეში 16 ათას ლარად, მყიდველის მიერ თანხა ანაზღაურდა იმავე თვეში, მაგრამ მიღებული მოგება არ განაწილებულა:

-2017 წლამდე - კომპანია იხდის მოგების გადასახადს 900 ლარს (მოგება 60 000 *15%)

-2017 წლიდან - კომპანია აღარ იხდის მოგების გადასახადს .

დაბეგვრის რეჟიმი შეეცვალა:

– რეზიდენტ საწარმოს;

– არარეზიდენტ საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით(მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოსთვის, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს შემოსავალს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის).

მაგალითი:

– არარეზიდენტმა საწარმომ, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება საქართველოში 2016 წლის მარტის თვეში შეიძინა საცხოვრებელი ბინა 70 ათას ლარად, რომელიც გაყიდა ნაღდი ანგარიშსწორებით 2017 წლის აპრილის თვეში 90 ათას ლარად.

არარეზიდენტი საწარმო: მოგების გადასახადის დეკლარაციას წარადგენს და გადაიხდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე 20 000 *15%((90 000 -70 000)*15%) ლარზე;

ვინ არ დაიბეგრება ახალი რეჟიმით

- ორგანიზაციები,

- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი პირები,

-ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირი ამ საქმიანობის ნაწილში,

-ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები, ახალი წესით დაიბეგრებიან 2019 წლიდან.

მოგების გადასახადით იბეგრება:

- განაწილებული მოგება;

- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

-ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დაბეგვრის ობიექტი - მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

მაგალითი:

კომპანია „ა“ დაფუძნდა 2017 წელს და დამფუძნებელმა შეიტანა საწესდებო კაპიტალში 100 ათასი ლარი. კომპანია ეწევა სავაჭრო საქმიანობას და 2017 წლის განმავლობაში იყიდა 40 ათასი ლარის საქონელი, რომელიც გაყიდა 70 ათას ლარად, ხოლო მყიდველებიდან აღნიშნული თანხა არ მიუღია. კომპანია „ა“-მ 2017 წლის დეკემბრის თვეში გაანაწილა (გასცა) წლის განმავლობაში მიღებული დარიცხული მოგება.

კომპანიას უფლება ქონდა დამფუძნებელზე გაენაწილებინა დივიდენდი და გაანაწილა 25500((70000-40000) -30000*15%) ლარის ოდენობით.

ამ შემთხვევაში განაწილებული მოგება უდრის 25 500, ხოლო მოგების გადასახადით დასაბაგერი თანხა იქნება 25 500/0,85=30 000 ლარს. [2.].

ესტონეური გამოცდილება მეტად საინტერესოა ინვესტორებისთვის ხელშეწყობის თვალსაზრისით. აქ უცხოელი ინვესტორებისათვის სპეციალურად შექმნილია ე.წ. „ელექტრონული რეზიდენცია“, რომელიც წააგავს ჩვეულებრივ საბანკო პლასტიკურ ბარათს ჩიპით. ინვესტორს შეუძლია მართოს კომპანიის ანგარიშები, გადასახადების გადახდა, და ხელი მოაწეროს დოკუმენტებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით ინტერნეტით უსაფრთხოდ დაუკავშირდეს ნებისმიერ სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებს. აღარ არის საჭირო ნოტარიუსები. ამით რჩება ბევრი დრო და დიდი ფული. აქციონერთა სათათბირო გადაწყვეტილებებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება ცალკეული დისტანციური ხმის მიცემით, ელექტრონული ბარათებით .

ბიზნესის კეთების ესტონურ გამოცდილებაში არ შეიძლება

არ აღინიშნოს იმ სიმარტივის შესახებ, რომელიც დამახასიათებელია **საბუღალტრო აღრიცხვისა და საგადასახადო ადმინისტრირებისათვის.** ბუღალტერია იმდენად მარტივია, რომ მისი წარმოება ახალდამწყებ სპეციალისტსაც შეუძლია. კომპანიის ყველა გადასახადის გადახდა წარმოებს „ერთი ფანჯრის", ანუ ერთიანი ანგარიშსწორების ანგარიშის პრინციპით. თუ კომპანიამ გადაიხადა სოციალური გადასახადი, მაგრამ მას ეკუთვნის დღგ-ს დაბრუნება, მაშინვე კეთდება ურთიერთანგარიშსწორება და თანხა უბრუნდება, თითქმის ერთ საათში განაცხადის მიღებიდან. ყოველივ ეს განსაკუთრებით ძალიან სასარგებლოა იმ ინვესტორებისათვის, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად საზღვარგარეთ აპირებენ.

რა თქმა უნდა, რეინვესტირებული მოგების გადასახადით დაუბეგრაობა ესტონეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა, თუმცა, იგი გააფრთხილებაა საგადასახადო ორგანოების მოტყუების მცდელობისათვის. საშუალო და მსხვილ კომპანიებში ტარდება სავალდებულო და საკმარისად მკაცრი აუდიტი. თუკი აღმოჩნდება მოგების დამალვის ფაქტი, სასჯელი ძალიან მკაცრია. ასე რომ, ბიზნესის კეთება წესების შესაბამისად უფრო მომგებიანია. ესტონური მოდელის თავისებურებაა ისიც, რომ ზოგიერთი ტიპის ხარჯი მოგების გადასახადით იბეგრება, რაც, სავარაუდოდ, ხარჯების გავლით მოგების შეფარულად განაწილების პრევენციაა. ეს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იმ ხარჯების ანალოგია, რომლებიც არ გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლებიდან და მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ხარჯები ან განაცემები , რომლებიც არ არის დაკავშირებული კომპანიის ბიზნესსაქმიანობასთან; ხარჯები ან განაცემები , რომლებიც არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული; გაცემული სესხები ან ავანსები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის და ა.შ.

კიდევ ერთი საინტერესო მნიშვნელოვანი უპირატესობა ესტონური გამოცდილებისა, რითაც იგი გამოირჩევა საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით , არის ის , რომ მისთვის და-

მახასიათებელია ნებართვების გაცემის სიჩქარე . მაგალითად, ესტონეთში, ქარხნის მშენებლობას ან სერიოზულ რეკონსტ-რუქციას დაახლოებით ერთი, ხოლო რუსეთში - საშუალოდ ხუთი წელი სჭირდება. ასეთი ხანგრძლივი პერიოდის განმა-ვლობაში მატულობს არამარტო საკრედიტო ტვირთი, არამედ მორალურად ძველდება მოწყობილობები და ტექნოლოგიები. კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემაა დიდი ოდენობით მაკონ-ტროლებელი ორგანოების არსებობა.ამ მხრივაც , ესტონეთში სიტუაცია ბევრად უფრო ადვილია. ყოველივე ეს მიგვანიშნებს მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის კიდევ ერთ უპირატესობებზე.

დასკვნა

ამრიგად,მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მო-დელი ეს არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვქონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო, დამატებით თანხა დავუტოვოთ ქვეყანას ბიზნესი-სათვის, რომელიც მობილიზებული იქნება ისევ ბიზნესში, გა-მოყენებას ჰპოვებს როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტირე-ბისთვის. ეს უნიკალური მოდელია რეგიონში , რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი „ეკონომიკა“, #1, 2017 წ.
2. www.rs. ge
3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი-ბასს 1, 1997წ.

REFERENCES:

1. Journal „Economics“, #1, 2017y.
2. www.rs. ge
3. International Accounting Standards, 1, 1997y.

THE ESTONIAN MODEL FOR CORPORATE TAXATION - AS ONE OF THE FACTORS FOR IMPROVING THE INVESTMENT ENVIRONMENT OF A COUNTRY

Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU As. Professor
Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor,

RESUME

Thus, the Estonian Model for Corporate Taxation considers the accrued corporate tax that enables us: to have the best investment environment, to leave money in a country, which will be mobilized also in business, being used in future as for domestic as well as for foreign investments. This is an unique model in the region, which will enhance to attract more new investments and in a large quantities.

Keywords: Investment; the Estonian Model; Reinvestment; Corporate Tax; Electronic Residence.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

გადაეცა ასაწყობად 27.01.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.02.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,75.